# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | ორშაბათი 19 იანვარი 2004 №9 (2028) | ფასი 50 თეთრი

## არარიგითი ხიზანიშვილი გენერლებმა შენიშნეს ზურაბი მანჩესტერს, ჩელსის და იუვენტუსს სურთ



22 წლის ზურაბ ხიზანიშვილი, ევროპული გრანდების სამიზნე გახდა. უსახელო და პატარა გუნდი არც „გლაზგო რეინჯერსია", მაგრამ ჩვენებურის გადაბირება მთლად ვეებერთელებს მოსდომებიათ.

მოკლედ, ასპროცენტიან ამბავს მოგახსენებთ — ხიზანიშვილი სერ ალექს ფერგიუსონის „მანჩესტერ იუნაიტედს" სურს: ლანკაშირელთა უძვირეს მცველ რიო ფერდინანდს რვათვიანი უქმობა ელის და ფერგიუსონსაც მისი შემცვლელი დასჭირდება.

ქართველი მცველი რომან აბრამოვიჩის „ჩელსისაც" სდომებია და ვინძლო ხიზანიშვილმა ლონდონის გაპრანჭულ უბანშიც ამოჰყავს თავი.

მაგრამ ამბავი ამით როდი მთავრდება — ხიზანიშვილზე თვალი ტურინის „იუვენტუსსაც" დაუდგამს.

ხიზანიშვილის აგენტი ათოლ სტილი გახლავთ, თუმც ეს გოლიათი გუნდები აქეთ იჩენენ ინტერესს და სტილიც საქმეში ჯერ არ ჩართულა. „რეინჯერსს" კი, რომელმაც ოდენ საკომპენსაციო თანხის საფასურად ჩაიგდო ხელში ნიჭიერი ქართველი, საკმაოდ სარფიანი გარიგების შანსი გაუჩნდა.



კობა გოგოლაძემ (მარჯვნივ) თავისი მეორე ამერიკული ქამარი მექსიკელ ხუან გარსიას წაართვა

## კობა გოგოლაძე ამერიკაში შტატებში ჩაჯდა

## ავსტრალიას ქალობა აკლია



მორეულ ეკვატორსიქითა ავსტრალიაში, სადაც ახლა ისე ცხელა, როგორც ჩვენთან ზაფხულში და იქნებ უფრო მეტადაც, ახლადაწყებული საჩოგბურთო სეზონი ფრთებს შლის და, აგერ, მელბურნიდან დიდი სლემის ოთხი ტიტულიდან პირველის მასპინძლობის სრულ მზადყოფნას იუწყებიან. ოზები წესრიგიანი და ფხიანი ხალხია, სპორტული ტურნირის ორგანიზება არ შეეშლებათ, თუმც ისე ჩანს, ოზური ოუფენი მთლად თვალისმომჭრელი სიკაშკაშით ვერ გაანათებს, ყოველ შემთხვევაში, ქალთა მხრიდან მაინც — ერთბაშად ოთხი ჩემპიონი, მათ შორის თანამედროვეობაში სწორუპოვარი სერენა უილიამსი აკლია და თუნდაც ამიტომ. დარჩენილ დიდგოგოებს კი თავისთავად სლემტიტულის მოხვეჭის მეტი შანსი უჩნდებათ. ფავორიტთა შორის უთუოდ იგულისხმება სერენას უფროსი დაიკო ვინუსი, ტრავმებისგან მოკეთებული და იმედაღვსილი კენარი შავგოგო. მისი ძირითადი მოცილე შავდების ტრავმიანობაში ქალთა ამქარის უსტაბაშად დამჯდარი ჟუსტინ ენენ-არდენი იქნება.

რაც შეეხებათ კაცებს... თუმცა მათზე უფრო ვრცლად მე-12 გვერდზე წაიკითხავთ.



ვინუს უილიამსი




ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოს გუშინ კიდევ ერთი ბინადარი შეემატა: აკაკი ჩხაიძე

# ციხის საავადმყოფო: ქართული ფეხბურთის სახლი

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ, რომელმაც ქვეყნის ბიუჯეტში ხუთშაბათს სადავო 741 984 ლარი გადაიხადა, ეს უქმეებიც პატიმრობაში, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გაატარა. ხუთშაბათსვე შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა ჟორდანიაზე სისხლის სამართლის დევნა შეწყვეტა და შესაბამისი შეტყობინება გენერალურ პროკურატურაში დასამოწმებლად გადაგზავნა, მაგრამ ფედერაციის პრეზიდენტის გათავისუფლებისგან პროკურატურა ჯერჯერობით თავს იკავებს. გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე ᲒᲘᲐ ᲯᲘᲥᲘᲐ, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით, ამბობს, რომ საპროცედურო საკითხები ჯერ არ მოგვარებულა*

— პროკურატურას კანონით 10-დღიანი ვადა აქვს, პატიმრის გათავისუფლების თაობაზე გამოძიების შუამდგომლობა რომ განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს. მერაბ ჟორდანიას საქმესთან დაკავშირებით ჩვენთან შეტყობინება უკვე შემოსულია, მაგრამ პროკურორებმა შესაბამისი დადგენილების მიღება ჯერ ვერ მოასწრეს. პროკურატურა კოლმეურნეობა არაა, პროკურორებს გადაწყვეტილების მიღება დავაჩქარებინოთ და დავამთავრებინოთ. გამოძიებამ თავისი სათქმელი უკვე თქვა, ახლა სიტყვა ჩვენზეა, ცოტაც გვადროვეთ, იქნებ გამომძიებლებს არ ვეთანხმებით. და საერთოდ, გამომძიებლებს რომ ჟორდანიას საქმეზე ამხელა ხმაური არ აეტეხათ, ის პატიმრობიდან შესაძლო იყო ისე გათავისუფლებულიყო, იმ დღეს კაციშვილს ვერ გაეგო. ახლა კი გამოდის, რომ გამოძიებამ თავისი საქმე გააკეთა და ჩვენ, პროკურატურაში კაციჭამიები ვართ და ჟორდანიას არ ვათავისუფლებთ.

— შეგიძლიათ გვითხრათ, ჟორდანია როდის გამოვა?

— ზუსტ რიცხვს ვერ გეტყვით. ძალიან მალე ყველაფერი მოგვარდება, შესაძლოა ის დღესვე გათავისუფლდეს

— და მაინც, შესაძლოა, გამოძიების დასკვნას პროკურატურა არ დაეთანხმოს?

— ხომ გითხარით, საქმე ჯერ უნდა განვიხილოთ. ამ წუთისთვის ეს ვერ მოვახერხეთ, ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა, უამრავი საქმე დაგვიგროვდა.

**ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ**

# რაღაც ხომ უნდა მოხდეს?!

## ანრი მიშელი და ნაკრები მერაბ ჟორდანიას გარეთ ელიან




**ᲛᲔᲠᲐᲑ ᲟᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ** კვლავაც სატუსაღოშია. არა და არ დაადგა საშველი სფფ-ის პრეზიდენტის გათავისუფლებას. ჟორდანიამ ბიუჯეტში „მისჯილი“ თანხა შეიტანა და გაჩნდა იმის მოლოდინი, რომ პარასკევს უკვე შინ უნდა ყოფილიყო...

მაშინ, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პარასკევის ბრიფინგზე ჟორდანიას გათავისუფლების მიმანიშნებელ განცხადებას აკეთებდა, პროკურატურაში არა და არ დაადგა საშველი სფფ-ის თავკაცის გათავისუფლების ფურცელზე ბეჭდის დასმას და პროკურორის ხელის მოწერას. ბევრს ეგონა, პრეზიდენტს შაბათს ან კვირას გაუშვებენო, თუმც ჟორდანიას ახლობლობას ამ უქმეებზეც ამაოდ მოუხდათ ცდა.

დრო კი არ ითმენს. მერაბ ჟორდანიას სატუსაღოდან გამოსვლა დღესდღეობით ერთობ მნიშვნელოვანია საქართველოს ნაკრებისთვის. ათ დღეში კიევში მსოფლიოს ჩემპიონატის ჩვენი შესარჩევი ჯგუფის კალენდარი უნდა შედგეს, იმ დღემდე კი გადაწყვეტილ-მოგვარებული უნდა იყოს ნაკრების თავკაცის საკითხი. ეს ამბავი კი უპრეზიდენტოდ არ გამოდის.

ფაქტია, ფრანგი ანრი მიშელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ფეხბურთის ფედერაციის პირველ პირთან აწარმოოს მოლაპარაკება. ამის მიმანიშნებელი განცხადება მიშელმა 2 იანვარს თბილისში ყოფნისას გააკეთა. თქვენები ჩემთვის მისაღებ პირობებს დამპირდნენ. აქაურობით კმაყოფილი ვარ, საბოლოო პასუხს მალე მოვიფიქრებ და ალბათ ის თქვენთვის სასურველი იქნება — თქვა მიშელმა თბილისში ვიზიტისას და ფრანგის ნათქვამი ის „ალბათ“ სწორედ ჟორდანიას პატიმრობის შედეგი იყო, თორემ მიშელს უკვე ხელი ექნებოდა მოწერილი კონტრაქტზე. ისიც ფაქტია, რომ ფრანგი და მისი თურქი აგენტი თუთუმლუ უპრეზიდენტოდ დარჩენილ ფედერაციასთან ურთიერთობის საბოლოოდ გარკვევას ერიდებიან. ეს რომ ასეა, სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტის და გენერალური მდივნის ჩანს, მიშელი ჟორდანიას გათავისუფლებას ელოდება.

საქართველოს ნაკრებისთვის კი ამ ეტაპზე მწვრთნელის ყოლა ერთობ მნიშვნელოვანია. კარს მომდგარ კვიპროსულ ტურნირს რომ თავი დავანებოთ, ჩვენთვის სასურველი კალენდრის შედგენის იოტისხელა შანსი რჩება. ფედერაციამ ხომ მწვრთნელთან კონსულტაციისას უნდა შეიმუშაოს სასურველი კალენდრის ესა თუ ის ვარიანტი, თორემ ქართული ფედერაციის წარმომადგენლებისთვის კიევში ჩასვლა ოდენ ფორმალობა იქნება.

**ᲞᲐᲐᲢᲐ ᲫᲒᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ**

# გაცილა სახელად მგონიზმი გაიღვიძებს, მხოლოდ სძინავს

*ახლანდელი „რეინჯერსს“ თუ სული უდგას, პირველ რიგში ეს ზურაბ ხიზანიშვილის და შოთა არველაძის დამსახურებაა – თუ ბრიტანულ წყაროებს ჩავუჯიკჯიკებთ, ასეთ დასკვნამდე მივალთ. ბოლო ტურშიც „რეინჯერსმა“ ქართველის წყალობით მოიგო – გამარჯვებისა არველაძემ შეაგდო, ვინც „მოზერუელთან“ მატჩში საუკეთესო გახლდათ*



— ნამატჩევს ალექს მაკლიშმა თქვა, შოთამ გოლი-ბრილიანტი გაიტანაო...

— ასეთი კომპლიმენტისთვის მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ისე, მაკლიში ისეთია, თუ ვინმემ კარგად ითამაშა, ქებას არ დაამადლის — მხოლოდ მასმედიის საშუალებით კი არა, ფეხბურთელების ქებას მათთან უშუალო საუბარშიც არ ერიდება.

— გოლი ნუნუ კაპუშუს პასით გაიტანე — ბოლო დროს მიხაელ მოლსი სასტარტოში იშვიათად ხვდება და თავდასხმაში შენი პარტნიორი ახლა კაპუშუა?

— კი, მაგრამ ალბათ კვლავ მოლსი იქნება. კაპუშუ შემტევია, მაგრამ ფორვარდი მაინც არ ეთქმის — თვითონაც შეეძლო გატანა, მაგრამ ბურთი მე გადმომაწოდა — ფორვარდისთვის კი აუცილებელია ბაცილა — ცოტა ეგოისტი უნდა იყო.

— „რეინჯერსი“ შთამბეჭდავად კვლავაც ვერ თამაშობს...

— ჯერჯერობით მართლაც ცუდად ვთამაშობთ, მაგრამ საცაა რონალდ დე ბური დაგვემატება და მისი იმედიც გვაქვს — მომდევნო ტურში დე ბური ალბათ სამატჩო განაცხადში იქნება, თუმც ფორმის დასაბრუნებლად დრო კიდევ დასჭირდება.

— ჩემპიონობისთვის „რეინჯერსი“ ალბათ ვეღარ იბრძოლებს — ლიგის და ასოციაციის თასებზე დე ბურის დახმარებით რა შანსი აქვს „რეინჯერსს“?

— ასეთი თამაშით ძნელია თასების მოგება, მაგრამ ალბათ გავაღვიძებთ იმ ძალას, რომელიც სადღაც ჩაიძირა.

— „რეინჯერსში“ უკვე ლიდერად გამოიკვეთე — გრძნობ, რომ „რეინჯერსში“ ქარიზმატულ ფეხბურთელად ყალიბდები?

— მეორე პლანზე არც არასდროს მიგვრძნია თავი. ერთი ის იყო, რომ წინა სეზონში 3-4 მატჩი ვერ ვითამაშე კონკურენციის გამო, თორემ სულ ძირითადში ვარ და ვთამაშობ.

— ნაკრების კვიპროსულ ტურნირზე წასვლაზე უარს იტყვი?

— იქ წასვლა რატომ უნდა ვიუარო? თუ არ ვცდები, უეფას დღე უწევს ამ ტურნირის ერთ-ერთ ტურს და „რეინჯერსმა“ უნდა გამომიშვას. თუმცა ახლა გადაჭრით ვერ გეტყვით, წავალ თუ არა კვიპროსზე.

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲥᲘᲚᲐᲫᲔ**

**ᲘᲢᲐᲚᲘᲐ**

ᲡᲔᲠᲘᲐ A. XVII ᲢᲣᲠᲘ

ᲑᲠᲔᲨᲐ 0:1 ᲛᲘᲚᲐᲜᲘ

**ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ**

ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘᲒᲐ. XVIII ᲢᲣᲠᲘ

ᲑᲔᲜᲤᲘᲙᲐ 3:2 ᲑᲝᲐᲕᲘᲨᲢᲐ

**ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ**

I ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ. XXI ᲢᲣᲠᲘ

ᲛᲐᲠᲡᲔᲚᲘ 3:2 ᲚᲐᲜᲡᲘ

**ᲑᲔᲚᲒᲘᲐ**

ᲘᲣᲞᲘᲚᲔᲠᲚᲘᲒᲐ. XVIII ᲢᲣᲠᲘ

ᲚᲣᲕᲘᲔ 1:1 ᲕᲔᲡᲢᲔᲠᲚᲝ

**ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ**

ᲞᲠᲘᲛᲔᲠᲐᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ. XX ᲢᲣᲠᲘ

ᲑᲔᲢᲘᲡᲘ 1:1 ᲠᲔᲐᲚᲘ

# რუსებმა დინამო დაინახეს, დინამომ მეტოქე

*ესენგეს თასისადმი გულგრილობით კიევის „დინამომ" და მოსკოვის ცსკ-მ ამ ტურნირს გვარიანი ზიანი მიაყენეს. შეჯიბრის პრესტიჟის შენარჩუნების მსურველებმა კი ნათელი წერტილების ძიება დაიწყეს და ასეთად ჩვენებური „დინამო" მიიჩნიეს. რუსული მასმედია საქებარ სიტყვებს არ იშურებს დინამოელთა მისამართით.*

*„ქართველებმა მოსალოდნელ გამარჯვებას მოულოდნელი ანგარიშით და სასიამოვნო სანახაობით მიაღწიეს" – დაახლოებით ამ სიტყვებით იწყებენ დინამოელთა ქებას რუსული საგენტოები.*



ვიტალი დარასელია

ყირგიზული „ჟაშტიკი" არ აღმოჩნდა ის მეტოქე, რომელთან გამარჯვება თბილისელებს აქტივში ჩაეთვლებათ. მატჩის პირველ ნახევარში ვიტალი დარასელიამ ორჯერ გაისროლა და ფაქტობრივად ორ წუთში (მე-13 და მე-15) გადაწყვიტა შეხვედრის ბედიც. მეორე ტაიმში „დინამომ" გაილაღა და გოლების წვიმაც დაიწყო — იაშვილი (49), ალექსიძე (53), კვირკველია (58), ბურდული (78, 88).

მიუხედავად მართლაც შთამბეჭდავი გამარჯვებისა, თბილისელებს ჯგუფში მთავარი გამოცდის ჩაბარება რიგის „სკონტოსთან" გუშინდელ მატჩში უწევდათ.

„დინამომ" შეხვედრა ასეთი შემადგენლობით დაიწყო: გვარამაძე, კანდელაკი, შაშიაშვილი, კვირკველია, ახალაია, გოგობერიშვილი, დარასელია, ბურდული, ანჩაბაძე, ალექსიძე, იაშვილი.

„სკონტომ" ოთხი საგოლე მომენტიდან ორის გამოყენება მოახერხა, „დინამომ" 2-ჯერ მეტიდან მხოლოდ ორი გაიტანა. წერეთლის არყოფნა ძალიან დაეტყო დაცვას. თუ რომელიმე რგოლს უჭირდა, სწორედ დინამოელთა უკანა ხაზს. რიგელთა ორივე გოლი ქართველთა დაცვის შეცდომის შედეგი იყო. თუმცა მანამდე ქართველ ფეხბურთელებს საქმის მოთავება მართებდათ. მე-6 წუთზე ანჩაბაძე-ალექსიძის მწვავე კომბინაციას რატის დარტყმა მოჰყვა, რომელიც ძელმა აისხლიტა, დასწრებაზე იაშვილმა ითამაშა და ანგარიშიც გაიხსნა. სამ წუთში დარასელიამ გაისროლა ჯარიმიდან, მეკარემ გაჭირვებით მოიგერია ბურთი. ამის შემდეგ 2-ჯერ მეკარესთან პირისპირ გავიდა იაშვილი, მაგრამ ამჯერადაც გოლკიპერმა იმარჯვა. 25-ე წუთზე ანჩაბაძე-ალექსიძის ლამაზ კომბინაციას ამ უკანასკნელის შეუჩერებელი, სახიფათო დარტყმა მოჰყვა. ეს მომენტი მთლიანად შეხვედრის ულამაზესი ეპიზოდიც იყო. პირველ ტაიმში დინამოელთა ბოლო გაელვება ალექსიძის მოხდენილი დარტყმა იყო, რომელიც კვლავ მეკარის ნადავლი გახდა. „დინამო" ქართული ფეხბურთის ჩვეულ სენს ვერ გადაურჩა და ტაიმის მიწურულს 2 გოლი გაუშვა. ჯერ მიხოლაპსმა ისარგებლა მცველების დაბნეულობით, შემდეგ კი კორლალიძემ ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნისას შეცდომაზე დაიჭირა დინამოელები. აქვე იმასაც დავძენთ, რომ „სკონტოს" ორივე ქართელმა 90 წუთი ითამაშა და ისინი თავისიანებში საუკეთესონიც იყვნენ.

მეორე ნახევარში „სკონტომ" დაცვას მიხედა. რიგელებს მე-60 წუთამდე ვერაფერს აკლებდნენ დინამოელები. შუშაკმა ცვლილებებს მიმართა, ანჩაბაძე კარლოსმა შეცვალა, იაშვილი — მელქაძემ.

გააქტიურდა დინამოელთაგან საუკეთესო დარასელია. მის შორეულ დარტყმას მეკარე გადაელობა, მელქაძემ დასწრებაზე ვერ ივარგა. ისევ დარასელიას ჩაწოდება და ამჯერად ალექსიძე ბურთს ვერ უხვედრებს ფეხს. ეს მომენტიც დაიკარგა. 79-ე წუთზე კვირკველიას ფლანგურ ჩაწოდებას მელქაძემ ოსტატურად შეაგება თავი და ანგარიშიც გათანაბრდა. 82-ე წუთზე ალექსიძის დარტყმისას გადარჩა „სკონტო", ხოლო 84-ე წუთზე ბუტკუსის შეტევისას „დინამო" ძელმა იხსნა.

ახლა „დინამოს" ყაზახურ „ირტიშთან" ხვალინდელ მატჩშიც ჯგუფიდან გასასვლელად ფრეც ჰყოფნის.

თავად დინამოელებიც არ უარყოფენ, რომ ურთულესი მატჩი ჩაატარეს და შეხვედრას ასე აფასებენ:

**ივო შუშაკი:** „კმაყოფილი ვარ შედეგითაც და თამაშითაც. გასათვალისწინებელია, რომ ჩვენ მზადების პირველ ეტაპზე ვართ. „სკონტო" კი, რომელმაც ჩემი სიმპათიები დაიმსახურა, მეორე ტურნირს თამაშობს. გარდა ამისა, მე საერთოდ ლატვიურ ფეხბურთსაც ვაფასებ. „დინამომ" მომენტების სიმრავლითაც აჯობა მეტოქეს და ენთუზიაზმითაც. ჩვენ ამ ტურნირზე სათამაშო პრაქტიკის შესაძენად ჩამოვედით და ყველაფერს ვილონებთ ჯგუფიდან გასასვლელად."



ივო შუშაკი

„სკონტოსთან" მატჩში **ვიტალი დარასელია** და ლადო ახალაია გამოირჩნენ. დარასელიას არაერთხელ ეუხეშნენ და ჩვენც პირველ რიგში მისი ჯანმრთელობით დავინტერესდით..

— მართალია, საკმაოდ ბევრჯერ მეუხეშნენ, მაგრამ ეგ არაფერი, ამაზე მეტად დაღლილობამ შემაწუხა, რაც იმითაა განპიროვნებული, რომ „სპარტაკის" მანეჟი, სადაც ვვარჯიშობდით და პირველი მატჩი ჩავატარეთ, საგრძნობლად პატარაა ცსკა-ს მანეჟთან შედარებით. ეს განსაკუთრებით დახურულ სივრცეში იგრძნობა. ამიტომაც გაგვიჭირდა. თანაც „სკონტოსაც" ნუ დავუკარგავთ, საკმაოდ ნორმალური და ბრძოლისუნარიანი გუნდია.

— ჯგუფიდან გასასვლელად „ირტიშთან" ფრეც გყოფნით...

— ფრე კი გვყოფნის, მაგრამ გუნდი, რომელიც ამაზე ფიქრობს, მუდამ ისჯება და ამიტომ ჩვენც მოსაგებად გავალთ. თანაც დანარჩენი თამაშები ერთ მოედანზე გვექნება და ყველანაირი სირთულეებიც მოგვეხსნება.

**ლადო ახალაიამ** ფუტკარივით იმუშავა დაცვაში და სულ მცირე, 5-ჯერ მაინც მოიგო საჰაერო დუელი ათლეტურ რიგელებთან.

— ესაა, დაცვაში თამაში ჩემი საქმე არააო?

— არაა და რა ვქნა. წინ გაცილებით უკეთ ვგრძნობ თავს, მაგრამ ახლა უკანა ხაზს უჭირს და მეც იმას ვასრულებდი, რაც მწვრთნელმა დამავალა.

— წინ წასვლა რომ არც გიცდია...

— არც ეს ყოფილა მწვრთნელის დავალება. ჩემი ფრთა ვინმეს რომ ჩაებარებინა, სიამოვნებით ჩავერთვებოდი შეტევებშიც.

— მომდევნო მატჩზე რას იტყვი?

— უნდა მოვიგოთ. დღეს ამ ტურნირზე ჩვენი ყველაზე პრინციპული მატჩი ვითამაშეთ და არა იმიტომ, რომ „სკონტო" დაუმარცხებელია, უბრალოდ, ფსიქოლოგიურად ძნელია 7:1 მოგების შემდეგ სათანადო კონცენტრაცია. ჩვენ მოვიგებთ და ჯგუფში პირველ ადგილზე დავრჩებით.

**დავით ერაძე**



ლადო ბურდული



ლადო ახალაია

## A ჯგუფი

17 იანვარი

**რეგარ თადაზი** (ტაჯიკეთი) 0:1 **ფახთაქორი** (უზბეკეთი)

0:1 სოლიევი (73)

**ცსკა** (რუსეთი) 2:2 **გომელი** (ბელარუსი)

1:0 როდინი (4), 1:1 ბლიზნიუკი (13), 2:1 მაზალოვი (15), 2:2 ლუკაშენკო (43)

18 იანვარი

**ფახთაქორი 1:2 ცსკა**

1:0 ტაჯიევი (18), 1:1 იანოვსკი (32), 1:2 სამოდინი (85)

**გომელი 2:1 რეგარ თადაზი**

1:0, 2:0 ლუკაშენკო (12,18), უმარბაევი (29)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| გომელი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ფახთაქორი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| რეგარ თადაზი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |

## B ჯგუფი

17 იანვარი

**ჟაშტიკი** (ყირგიზეთი) 1:7 **დინამო** (საქართველო)

0:1, 0:2 დარასელია (13, 15), 0:3 იაშვილი (49), 0:4 ალექსიძე (53), 0:5 კვირკველია (58), 1:5 ჩიკიშევი (68), 1:6, 1:7 ბურდული (73, 88პ)

**სკონტო** (ლატვია) 2:1 **ირტიში** (ყაზახეთი)

1:0 ნიხოლაპსი (34), 1:1 ნურდაულეტოვი (52), 2:1 ბუიტკუსი (78)

18 იანვარი

**დინამო 2:2 სკონტო**

1:0 იაშვილი (6), 1:1 მიხოლაპსი (39), 1:2 კორლალიძე (45), 2:2 მელქაძე (78)

**ირტიში 4:1 ჟაშტიკი**

1:0 ივანოვი (28), 2:0 ჟეილიტბაევი (31), 3:0 აგაევი (44), 4:0 ივანოვი (48), 4:1 რაჯაბალიევი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 2 | 1 | 1 | 0 | 9:3 | 4 |
| სკონტო | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ირტიში | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| ჟაშტიკი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:11 | 0 |

## C ჯგუფი

17 იანვარი

**დინამო** (უკრაინა) 1:1 **ნისა** (თურქმენეთი)

1:0 ხაცკევიჩი (44), 1:1 ურაზოვი (84)

**ფლორა** (ესტონეთი) 1:0 **პიუნიკი** (სომხეთი)

1:0 ზახოვაიკო (33პ)

18 იანვარი

**ნისა 0:2 ფლორა**

0:1 ვიკმასი (55), 0:2 სიდორენკოვი (64)

**პიუნიკი 0:1 დინამო**

0:1 მელაშჩენკო (14)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფლორა | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| დინამო | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ნისა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| პიუნიკი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |

## D ჯგუფი

17 იანვარი

**კაუნასი** (ლიტვა) 0:0 **შერიფი** (მოლდოვა)

**რუსეთი 1:0 აზერსუნი** (აზერბაიჯანი)

1:0 მელნიკოვი (20)

18 იანვარი

**რუსეთი 0:2 კაუნასი**

0:1 ბეზიკორნოვასი (34), 0:2 რიმკიავიუსი (54)

**აზერსუნი 0:0 შერიფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაუნასი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| შერიფი | 2 | 0 | 2 | 2 | 0:0 | 2 |
| აზერსუნი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |



*ესენგეს თასზე მოთამაშე „სკონტოს“ ქართველმა ლეგიონერებმა ნაღდად დაამახსოვრეს თავი მცირერიცხოვან მოსკოვურ აუდიტორიას. ზურაბ მენთეშაშვილი და ლევან კორღალიძე აშკარად გამოირჩეოდნენ ქართველების წინააღმდეგ. კორღალიძემ სულაც მოხდენილი გოლით „დახვრიტა“ მეგობრები „სკონტო“ – „დინამოს“ გუშინდელი მატჩისას.*

*ლევანმა ორიგინალურად აღნიშნა გოლი – ჯერ მალაყი გააკეთა, მერე კი კუთხურის ალმით ავტომატით სროლის იმიტაცია გააკეთა.*

*ლევან კორღალიძეს ნამატჩევს სასტუმრო „კოსმოსში“ დავუკავშირდით*

# კორღალიძის პრემიერა

## რა დროშა მოგვცა ლევანმა

— ძალიან გახარებული და ბედნიერი ვარ, ჩემს ნომერში ტელეფონის ზარი არ წყდება, ნაცნობმეგობრები მირეკავენ და მილოცავენ, მაგრად ითამაშეო. იშვიათად, ჩემი თავის კმაყოფილი ვიყო, მაგრამ დღეს მართლაც ყველაფერი გამომივიდა, იმაზე კი დამწყდა გული, თამაში რომ ვერ მოვიგეთ.

— **გამოდის, ბოლომდე გინდოდა „დინამოს“ გაწირვა.**

— „დინამოში“ ბევრი მეგობარი მყავს, მათ დიდ პატივს ვცემ, მაგრამ საქმე საქმეა, პროფესიონალი ვალდებულია, მოედანზე მოსაგებად გავიდე, ასეთ დროს მეტოქეს მნიშვნელობა არა აქვს.

— **საკმაოდ ორიგინალურად აღნიშნე გოლი. ყოველთვის ასე „ისვრი“ დროშის ტარით თუ მექანიკურად გააკეთე ყოველივე?**

— არა, ჩემი გუნდიდან ყველამ იცოდა, როგორ მოვიქცეოდი გოლისას. თუმც აქამდე ეს არასდროს გამიკეთებია. ჩვენს გუნდში ვერპაკოვსკისი იქცეოდა ასე. გაიტანდა გოლს, დაიჭერდა დროშის ტარს და ჩვენ „გვესროდა“, ჩვენც, ვითომ ტყვიები გვხვდებოდა, ვეცემოდით. ვერპაკოვსკისმა კიევის „დინამოში“ წასვლის წინ ეს „როლი“ მე გადმომილოცა და დღეს პრემიერა მქონდა. ეს „სპექტაკლი“ გამორჩევით მოსწონს ლატვიურ პუბლიკას და გუშინ მოსკოვშიც დიდი ტაში დაგვიკრეს, მოკლედ ფეხბურთის თამაშის გარდა სხვა რაღაცეებსაც ვახერხებთ.

— **მომავალ მატჩებშიც აპირებ იგივეს გაკეთებას?**

— რა თქმა უნდა. გოლი გავიტანო და დროშის ამოღებას რა უნდა...

— **მოსკოვურ ტურნირს არაერთი აგენტ-სკაუტი ესწრება. დებიუტი ჩინებული გქონდა, ვინმე ხომ არ დაინტერესებულა შენით?**

— კონკრეტულად ჩემამდე ჯერ არავინ მოსულა, თუმც „სკონტოს“ თავკაცმა სტარკოვსმა მითხრა, ძალიან მაგრად გამოგივიდა ყველაფერი, შენს თაობაზე რამდენიმე აგენტმა სიტყვა ჩამომიგდო და ტურნირის ყველა თამაშში ასე უნდა გაიგიჟო თავიო.

— **იქნებ ამ სიტყვებით მომავალი მატჩებისთვის შეგაგულიანა სტარკოვსმა?**

— არა, მისგან სტიმულს ყოველთვის ვგრძნობ. სტარკოვსი ფეხბურთელების შექებას არასდროს ერიდება და სათქმელს ყოველთვის პირდაპირ ამბობს. იმედი მაქვს, მართლაც დაინტერესდებიან ჩემით „სკონტოზე“ გაცილებით სოლიდური გუნდები და კონტრაქტით განსაზღვრული კიდევ ერთი წლით რიგაში დარჩენა აღარ მომიწევს.

— **შენი გუნდი ფაქტობრივად მეოთხედფინალშია. შორს შეუძლია „სკონტოს“ წასვლა?**

— წლეულს ძირითადი შემადგენლობის ერთბაშად ექვსი ფეხბურთელი დაგვაკლდა. ოთხი საოპერაციოა, ორს კი პირველი მატჩის წინ სიცხემ აუწია, ამიტომ გადახალისებული შემადგენლობით ვთამაშობთ. თუმცა, ფაქტობრივად, იგივე ვითარება იყო შარშანაც, მაგრამ ფინალში გავედით.

— **„დინამომ“ რა შთაბეჭდილება დატოვა შენზე?**

— ნორმალური. ბოლომდე იბრძოლეს ბიჭებმა.

— **გამორჩევით რომელი დინამოელი მოგეწონა?**

— ვერავის გამოვყოფ, „დინამომ“ უფრო გუნდური ფეხბურთი ითამაშა. ეს თვისება ქართულ კლუბებს ყოველთვის აკლდათ და ცოტა გაოცებულიც დავრჩი შუშაკის გუნდის თამაშით.

— **„დინამოს“ საესენგო შანსებს როგორ შეაფასებ?**

— ჩვენსაზე არაფრით ნაკლები. ვისურვებდი, ფინალში ჩემი ქვეყნის ჩემპიონს შევხვდე.

**ბაადა ძვანტალიანი**

# ისევ ერთად

## სილაგაძე და ჩალაძე თათრეთის მერე ყალმუხეთმა დაიჩემეს

*ყაზანის „რუბინიდან“ წასული ლევან სილაგაძე რამდენიმე დღეა, კიევის „არსენალში“ ვარჯიშობს. უკრაინელი „მეთოფეები“ საახალსეზონოდ თურქეთში ემზადებიან. სილაგაძის გარდა ვიაჩესლავ გროზნი კიდევ სამ ქართველ ფეხბურთელს აკვირდება — ლოკომოტიველ ირაკლი ვაშაკიძეს, კოლხ თემურ მალანიას და სიონელ ბორის გონჩაროვს. ვაშაკიძის წაყვანა გროზნის შარშანაც უნდოდა, თუმც მაშინ თბილისის „დინამომ“ ფეხბურთელის გაშვება არ ისურვა.*

სამიოდ დღის წინ „არსენალმა“ პირველი ამხანაგური მატჩი გამართა. კიეველთა მეტოქე ჰოლანდიური „ჰელმონდი“ გახლდათ. ვიაჩესლავ გროზნიმ ძირითად შემადგენლობაში ორი ქართველი დააყენა, გელა შეყილაძე და ლევან სილაგაძე. ვაშაკიძე-მალანია-გონჩაროვის სამეული კი მეორე ტაიმში ათამაშა. უკრაინელებმა 2:1 მოიგეს და გამარჯვების გოლი ჰოლანდიელებს სილაგაძემ გაუტანა ვაშაკიძის თავური პასით.

თითქოს ლევან სილაგაძის „არსენალში“ ჩარიცხვას წინ არაფერი უდგას, მაგრამ ელისტის „ურალანის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ გუშინდელ ინფორმაციას თუ ვენდობით, ლევანი, ასევე ყოფილ რუბინელ დავით ჩალაძესთან ერთად, სწორედ „ურალანში“ გააგრძელებს კარიერას. ყალმუხური კლუბის ხელმძღვანელობა უკვე შეთანხმებულა „რუბინთან“ ქართველების ტრანსფერის თაობაზე. იქვე ნათქვამია, რომ „ურალანში“ თამაშზე თანხმობა სილაგაძე-ჩალაძემაც განაცხადეს.

ასე რომ, გამორიცხული არაა, საქართველოს ნაკრების ორი კანდიდატი ერთწლიანი პაუზის შემდეგ რუსეთის პირველ დივიზიონს დაუბრუნდეს. შარშან ხომ „რუბინმა“ მათი მეშვეობითაც მოიპოვა პრემიერლიგის საგზური.

**კახა შალამბერიძე**



ლევან სილაგაძე



დავით ჩალაძე



# ჰო თუ არა?

## ხიზანეიშვილს ესპანეთში ეტყვიან

**გუშინ** მოსკოვის „დინამომ“ თურქული შეკრება დაასრულა და შინ დაბრუნდა. მოსკოვშია „დინამოს“ ქართველი მცველი ოთარ ხიზანეიშვილიც.

ჩეხი იაროსლავ გჟებიკის გუნდმა შეკრება ჰოლანდიურ „ტილბურგთან“ საკონტროლო მატჩით დაასრულა. „დინამომ“ ორი შემადგენლობით ითამაშა და ჩვენებურიც მეორე ტაიმში გამოჩნდა მოედანზე. 90-წუთიანი სპარინგი კი უგოლოდ დამთავრდა.

მოსკოველები რამდენიმე დღე საკუთარ ბაზაზე ივარჯიშებენ და 24 იანვარს ესპანეთში წავლენ, სადაც ორ კვირას დაჰყოფენ. გადაწყვეტილია, რომ გუნდს ესპანეთში ოთარ ხიზანეიშვილიც წაჰყვება. ეს ამბავი მან გუშინდელი სატელეფონო საუბრისას დაგვიდასტურა. იაროსლავ გჟებიკმა რამდენიმე ფეხბურთელი უკვე დაიწუნა, დანარჩენებს კი მეორე შეკრებაზეც დააკვირდება. სწორედ ამის შემდეგ გაირკვევა ხიზანეიშვილის ბედიც.

**კახა შალამბერიძე**

# სპარტაკი დინამოს შვილებს აგროვებს

**თბილისური „სპარტაკი“** საგაზაფხულო ეტაპისთვის მზადებას აგრძელებს. უმაღლესი ლიგის დებიუტანტის ახალი მწვრთნელი მურთაზ ხურცილავა შეგირდებს დღეში ორჯერ ავარჯიშებს და თან ახალწვეულებს სინჯავს, რომელთა ნაკლებობასაც ნამდვილად არ უჩივის. აქვე ვთქვათ, რომ „სპარტაკს“ დღეს, ყველაზე მეტად მეკარის პოზიციაზე უჭირს. აქამდე სპარტაკელი ზურაბ მამალაძე ხომ „დინამოს“ დაუბრუნდა და ახლა თანამეგობრობის თასზე სათამაშოდ მოსკოვშია. ქართული ფეხბურთის ცნობილი სახელებიდან „სპარტაკში“ ჯერჯერობით არავინ გამოჩენილა. კლუბის ხელმძღვანელობა მომავლისკენ იყურება და ახალგაზრდა ფეხბურთელებზე აკეთებს აქცენტს. თუმც მურთაზ ხურცილავას გუნდში ორი დიდი დინამოელის — ალექსანდრე ჩივაძისა და თენგიზ სულაქველიძის ვაჟები — სანდრო და თენგიზი ვარჯიშობენ. „სპარტაკშია“ თბილისის „დინამოდან“ განათხოვრებული 19 წლის ნახევარმცველი კობა შალამბერიძეც.

გუშინ მურთაზ ხურცილავამ გუნდი ორად გაყო და ორკარა ათამაშა. მატჩი 3:3 დასრულდა. უახლოეს დღეებში ამხანაგური მატჩების გამართვა სხვა გუნდებთანაცაა დაგეგმილი.

**ლუკა თალაკვაძე**

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXII ტური

**ვულვერჰემპტონი 1:0 მანჩესტერ იუნ.**

1:0 მილერი (67)

ვულვერჰემპტონი: ოუქსი, ირვინი, კრადოკი, ბატლერი, ნეილორი, ნიუტონი, ინსი, რაე, კენედი, კ. მილერი, ივერსენი (განია 80)

მწვრთნელი: დეივ ჯონსი

მანჩესტერ იუნ: ჰოვარდი, ოში, რ. ფერდინანდი (უესლი ბრაუნი 50), მ. სილვესტრი, კ. ფორჩუნი, ფლეტჩერი (ბელიონი 65), როი კინი, ფ. ნევილი (ფორლანი 68), სქოულზი, კ. რონალდო, ვან ნისტელროი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: ბატლერი, განია

მსაჯი: დურსო

29 396 მაყურებელი

**ტოტენჰემი 2:1 ლივერპული**

1:0 კინი (25პ), 2:0 პოსტიგა (54), 2:1 კიუელი (75)

ტოტენჰემი: კელერი, კარი, დოჰერტი, ე. გარდნერი, ტარიკო, მ. ბრაუნი, ანდერტონი, ს. დალმა (ჯეკსონი 46), ს. დევისი, პოსტიგა (ზამორა 78), რობი კინი

მწვრთნელი: დევიდ პლიტი

ლივერპული: პ. ჯოუნსი, ანშო, ჰიიპია, ბისკანი (ფინანი 66), ჯ. ტრაორე (რიისე 61), დენი მერფი, ჰამანი, კიუელი, შეირუ, ოუენი, ჰესკი

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

გაფრთხილება: კარი, ჰამანი

მსაჯი: რენიე

36 104 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 2:1 ლიდსი**

1:0 ორმეროდი (36), 2:0 ფილიპსი (43), 2:1 კილგალონი (75)

საუთჰემპტონი: ნიემი, დოდი, ჰალი (კენტონი 80), მიხაელ სვენსონი, ჰიგინბოთემი, ფ. ფერნანდესი (ტელფერი 85), ა. სვენსონი, დელაპი, პრატონი, ორმეროდი, ფილიპსი (ბიტი 86)

მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი

ლიდსი: პ. რობინსონი, გ. კელი, ზ. კამარა, კილგალონი, ჰარტი, პენანტი, ჯ. მორისი (ბრიჯისი 65), ბაკე, ს. ჯონსონი, მილნერი, ა. სმიტი

მწვრთნელი: ედი გრეი

გაფრთხილება: ა. სვენსონი, კამარა

მსაჯი: ვაილი

31 976 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი 1:1 ბლექბერნი**

1:0 ანელკა (50), 1:1 ფლიტკროფტი (55)

მანჩესტერ სიტი: ჯეიმსი, ჟიხაი, რ. დანი, დისტინი, ტ. სინკლერი (ტიატო 77), სიბიერსკი, ბოსველტი, ჯ. ბარტონი, ტარნატი, ანელკა, მაკენი (რაიტ-ფილიპსი 70)

მწვრთნელი: კევინ კიგანი

ბლექბერნი: ფრიდელი, ნაილი, ბაბელი, ნ. იოჰანსონი, გრეშკო, ემერტონი, ფლიტკროფტი, თუგაი, დუგლასი, იორკი, ენდი კოული

მწვრთნელი: გრემ სუნესი

გაფრთხილება: ბოსველტი, ჟიხაი, ფლიტკროფტი

მსაჯი: დინი

47 090 მაყურებელი

**ევერტონი 0:1 ჩარლტონი**

0:1 სტიუარტი (41)

ევერტონი: მარტინი, პისტონე, სტაბსი, ანსუორთი, ნეისმიტი, რუნი, კარსლი (კ. კემპბელი 83), გრავესენი, კილბეინი, დ. ფერგიუსონი, ჯეფერსი (რაძინსკი 58)

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

ჩარლტონი: კიელი, კიშიშევი, ფიში, პერი, ჰრეიდარსონი, გ. სტიუარტი (იანგი 90), ჰოლანდი, იუელი, კონჩესკი, კ. კოული (ჯ. იოჰანსონი 75), დი კანიო (ჯ. ფორჩუნი 87)

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

გაფრთხილება: კარსლი, ანსუორთი, ფერგიუსონი, რაძინსკი, პერი, კიშიშევი

მსაჯი: რაილი

36 322 მაყურებელი

**ბოლტონი 1:0 პორტსმუთი**

1:0 დევისი (53)

ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი, ტომე, ნგოტი, ბერნესი, ოკოჩა (იანაკოპულოსი 90), კამპო, ნოლანი, ჯორკაეფი (პედერსენი 84), ხავი მორენო (ბა 62), კ. დევისი

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

პორტსმუთი: ჰისლოპი, პასანენი, დე ზეუვი, პრიმუსი (ჰარპერი 77), სმერტინი, რ. ჰიუზი (მეთიუ ტეილორი 77), ბერკოვიჩი, ბერგერი, სტეფანოვიჩი, შერინგემი, იაკუბუ

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

გაფრთხილება: ოკოჩა, ჰიუზი

გაძევება: სტეფანოვიჩი (90)

მსაჯი: დოუდი

26 558 მაყურებელი

**მიდლსბრო 3:3 ლესტერი**

1:0 ჟუნინიო პაულისტა (8), 1:1, 1:2 დიკოვი (49, 65), 1:3 ბენტი (76), 2:3 კერტისი (90ს.კ.), 3:3 მაკარონე (90)

მიდლსბრო: შვარცერი, მილსი, კუპერი (შ. დევისი 31), რიგოტი, კედრუ, ნემეტი, ზენდენი (მენდიეტა 61), ბოატენგი, დოუნინგი, ჟუნინიო პაულისტა, ჟობი (მაკარონე 61)

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

ლესტერი: უოქერი, კერტისი, დაბიზასი, შიმეკა, დავიდსონი, სკოუკროფტი, მაკკინლი (გილესპი 90), ჯ. სტიუარტი, გაპი, დიკოვი (ჰინეტი 83), მ. ბენტი (ლ. ფერდინანდი 83)

მწვრთნელი: მიკი ადამსი

გაფრთხილება: ზენდენი, მაკარონე, სტიუარტი, დავიდსონი, მაკკინლი, დაბიზასი, დიკოვი

მსაჯი: ნაითი

27 125 მაყურებელი

**ასტონ ვილა 0:2 არსენალი**

0:1, 0:2 ანრი (29, 53პ)

ასტონ ვილა: სორენსენი, დილანი, მელბერგი, იონსენი, ჯ. სამუელი, ჰენდრი (დე ლა კრუზი 86), უიტინგემი, ჰიცლსპერგერი, ბერი (რიდგიველი 86), ოლბოკი (კრუჩი 86), პ. ანხელი

მწვრთნელი: დევიდ ოლირი

არსენალი: ლემანი, ლორენი, ს. კემპბელი, სიგანი, ეშლი კოული, ლიუნგბერგი (პარლოუ 76), ვიეირა, ჟილბერტო სილვა, პირესი (ედუ 77), ანრი, კანუ (კ. ტურე 76)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: დილანი, მელბერგი, უიტინგემი, ბერი, ვიეირა

მსაჯი: ჰალსი

39 380 მაყურებელი

**ჩელსი 0:0 ბირმინგემი**

ჩელსი: კუდიჩინი, გ. ჯონსონი (მელხიოტი 81), დესაი, გალასი, ბრიჯი, ჯ. კოული (მუტუ 61), ლამპარდი, მაკელელე, გრონკიაერი (დაფი 46), ჰასელბაინკი, გუდიონსენი

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

ბირმინგემი: მაიკ ტეილორი, კენა, პარსი, კანინგემი, კლემენსი, სევიჯი, დ. ჯონსონი, ბ. ჰიუზი (კიროვსკი 81), ტებილი, ჯონი (კარტერი 89), მორისონი (ლაზარიდისი 66)

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

გაფრთხილება: კოული, გ. ჯონსონი, სეივჯი, ტევილი

მსაჯი: უინტერი

41 073 მაყურებელი

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 არსენალი | 22 | 15 | 7 | 0 | 42:14 | 28 | 52 | 10 | 8 | 2 | 0 | 20:7 | 13 | 26 | 12 | 7 | 5 | 0 | 22:7 | 15 | 26 |
| 2 მანჩესტერი | 22 | 16 | 2 | 4 | 40:15 | 25 | 50 | 11 | 8 | 2 | 1 | 24:7 | 17 | 26 | 11 | 8 | 0 | 3 | 16:8 | 8 | 24 |
| 3 ჩელსი | 22 | 14 | 4 | 4 | 40:17 | 23 | 46 | 11 | 7 | 2 | 2 | 20:8 | 12 | 23 | 11 | 7 | 2 | 2 | 20:9 | 11 | 23 |
| 4 ჩარლტონი | 22 | 10 | 7 | 5 | 31:23 | 8 | 37 | 10 | 4 | 3 | 3 | 15:14 | 1 | 15 | 12 | 6 | 4 | 2 | 16:9 | 7 | 22 |
| 5 ლივერპული | 21 | 9 | 5 | 7 | 31:23 | 8 | 32 | 10 | 5 | 1 | 4 | 16:12 | 4 | 16 | 11 | 4 | 4 | 3 | 15:11 | 4 | 16 |
| 6 ფულემი | 21 | 9 | 4 | 8 | 33:29 | 4 | 31 | 11 | 6 | 2 | 3 | 18:12 | 6 | 20 | 10 | 3 | 2 | 5 | 15:17 | -2 | 11 |
| 7 ნიუკასლი | 21 | 7 | 9 | 5 | 27:22 | 5 | 30 | 11 | 5 | 3 | 3 | 15:6 | 9 | 18 | 10 | 2 | 6 | 2 | 12:16 | -4 | 12 |
| 8 საუთჰემპტონი | 22 | 8 | 6 | 8 | 21:18 | 3 | 30 | 12 | 6 | 2 | 4 | 13:8 | 5 | 20 | 10 | 2 | 4 | 4 | 8:10 | -2 | 10 |
| 9 ბირმინგემი | 21 | 8 | 6 | 7 | 19:25 | -6 | 30 | 10 | 4 | 3 | 3 | 10:13 | -3 | 15 | 11 | 4 | 3 | 4 | 9:12 | -3 | 15 |
| 10 ბოლტონი | 22 | 7 | 8 | 7 | 26:33 | -7 | 29 | 11 | 3 | 6 | 2 | 12:9 | 3 | 15 | 11 | 4 | 2 | 5 | 14:24 | -10 | 14 |
| 11 ტოტენჰემი | 22 | 8 | 3 | 11 | 26:31 | -5 | 27 | 12 | 6 | 1 | 5 | 20:16 | 4 | 19 | 10 | 2 | 2 | 6 | 6:15 | -9 | 8 |
| 12 ასტონ ვილა | 22 | 7 | 6 | 9 | 21:27 | -6 | 27 | 11 | 6 | 3 | 2 | 15:10 | 5 | 21 | 11 | 1 | 3 | 7 | 6:17 | -11 | 6 |
| 13 მიდლსბრო | 21 | 6 | 7 | 8 | 20:26 | -6 | 25 | 12 | 3 | 4 | 5 | 11:15 | -4 | 13 | 9 | 3 | 3 | 3 | 9:11 | -2 | 12 |
| 14 ევერტონი | 22 | 6 | 6 | 10 | 25:29 | -4 | 24 | 12 | 5 | 4 | 3 | 16:11 | 5 | 19 | 10 | 1 | 2 | 7 | 9:18 | -9 | 5 |
| 15 სიტი | 22 | 5 | 8 | 9 | 31:33 | -2 | 23 | 11 | 2 | 6 | 3 | 17:15 | 2 | 12 | 11 | 3 | 2 | 6 | 14:18 | -4 | 11 |
| 16 ბლექბერნი | 22 | 6 | 5 | 11 | 32:36 | -4 | 23 | 10 | 3 | 1 | 6 | 16:19 | -3 | 10 | 12 | 3 | 4 | 5 | 16:17 | -1 | 13 |
| 17 პორტსმუთი | 22 | 6 | 4 | 12 | 25:33 | -8 | 22 | 10 | 6 | 0 | 4 | 22:12 | 10 | 18 | 12 | 0 | 4 | 8 | 3:21 | -18 | 4 |
| 18 ლესტერი | 22 | 4 | 8 | 10 | 31:38 | -7 | 20 | 11 | 2 | 5 | 4 | 13:17 | -4 | 11 | 11 | 2 | 3 | 6 | 18:21 | -3 | 9 |
| 19 ვულვზი | 21 | 4 | 6 | 11 | 19:43 | -24 | 18 | 10 | 4 | 4 | 2 | 13:17 | -4 | 16 | 11 | 0 | 2 | 9 | 6:26 | -20 | 2 |
| 20 ლიდსი | 22 | 4 | 5 | 13 | 19:44 | -25 | 17 | 11 | 2 | 4 | 5 | 9:16 | -7 | 10 | 11 | 2 | 1 | 8 | 10:28 | -18 | 7 |

# მგლებმა მეთოფეებს ტახტი დაუბრუნეს



პოლ ინსი

**გასულ უქმეებზე** პრემიერლიგაში ლიდერი შეიცვალა. საკვირველია, მაგრამ ამ ამბავში დამნაშავე სწორედ ის გუნდი გამოდგა, რომლის გამოც ინგლისში ამბობენ, უკვე გაზარდნილიაო.

პრემიერლიგის ბოლო გუნდმა პირველი გუნდი დაამარცხა და საფეხურით მაღლა აიწია, ისე, რომ ლიდერიც ერთი საფეხურით ჩამოსწია დაბლა. „ვულვზის" მიერ „მანჩესტერის" ძლევა კენი მილერის ბრწყინვალე გოლით მოხერხდა. მილერმა კარგად აკრიფა სიჩქარე, კოხტად მოაცურა ვესლი ბრაუნი და ახლო კუთხეში გაიტანა. მთელი სეზონის გამცდენი და მომჯობინებული ბრაუნი მთლად დაწყობილად ვერ ირჯებოდა. თუმცა ჩემპიონს არც ეს ამართლებს და არც რაიან გიგზის არყოფნა, მით უმეტეს, რომ მოგება თუ არა, ფრე მაინც შეეძლოთ. დამენ ფლეტჩერს და რუუდ ვან ნისტელროის ნაღდად უნდა გაეტანათ. მაგრამ „ვულვზი" გმირულად თამაშობდა — იშვიათი უნარი და მონდომება გამოამჟღავნა.

მგელთა შორის იყო ორი ყოფილი, მანჩესტერელი: დენის ირვინი და პოლ ინსი. ამ უკანასკნელმა თავისი ძველებურებიც კი გაიხსენა და ძელი დაუზანზარა ტიმ ჰოვარდს. სიბრაზისგან გალურჯებულმა სერ ალექს ფერგიუსონმა დეივ ჯონსს ნაჩქარევად მიულოცა და „არსენალის" საკვირაო თამაშის მოლოდინში გაუჩინარდა.

„მანჩესტერმა" კი ჯერ კიდევ წინა შაბათს შეწყვიტა ექვსმოგებიანი სერია და ახლა ზედიზედ მეორე ტურია გოლი ვერ გაუტანია.

ამით კი, რა თქმა უნდა, მეორე სალამოსვე იხეირეს მეთოფეებმა, რომლებმაც მეტად კეთილმოწყობილად მოიგეს „ვილა პარკზე". ტიერი ანრიმ თითო ტაიმში თითო გოლი გაუტანა „ასტონ ვილას": აქედან მეორე პენალტით, რომელიც ნვანკვო კანუმ მოინადირა. „არსენალი" კვლავაც ლიდერია და კვლავაც ელიან როდის დამარცხდება.

„ტოტენჰემმა" „ლივერპულს" მოუგო, რაც ჟერარ ულიესთვის ახალ პრობლემათა საწყისად იქცა: მეხუთე ადგილზე გაჭრილი ლივერპულელები უკვე 5 ქულით ჩამორჩებიან საჩემპიონო ლიგის საგზურისთვის მებრძოლ „ჩარლტონს".

„ტოტენჰემის" მთავარმა ამცილებელმა, პორტუგალიელმა ელდერ პოსტიგამ სეზონში პირველად მოსძებნა კარი, თუმცა ამ დროს მისი გუნდი უკვე იგებდა რობი კინის პენალტით, რომელიც ირლანდიელმა თავად გამოსტყუა იგორ ბისკანს და სეზონში რიგით მეოთხე ლივერპულელ მეკარეს გაუტანა.

წაგო მეორე ლივერპულურმა გუნდმაც, „ლივერპულის" კონკურენტმა „ჩარლტონმა" გუნდში დაბრუნებული გრემ სტიუარტის გოლით მოიგო „გუდისონ პარკზე". „ევერტონი" მცველთა შეცდომის გამო დაისაჯა, თუმც ტრადიციულად ბევრს უტევდა და დანკან ფერგიუსონს კარის ხაზიდან გამოუტანეს თავური. ორმა ტანჯულმა, „სიტიმ" და „ბლექბერნმა" თითოგოლიანი ფრე გაახერხეს: ნიკოლა ანელკას ლამაზ დარტყმულს გარი ფლიტკროფტმა, ძველმა სიტელმა მუშური მიაყოლა ხუთ წუთში. „სიტის" 1 ნოემბრის შემდეგ არ მოუგია. ჯიგრიანი ფრე კი „რივერსაიდზე" გამოვიდა, სადაც ჟუნინიოს გოლით ადრევე დაწინაურებული „ბორო" თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე ორი ბურთით აგებდა „ლესტერთან" და წამატებულ დროში გაქვითა ანგარიში. ამას დაუმატეთ რვა ყვითელი ბარათი და ჟოზეფ დეზირე ჟობის ვერგატანილი პენალტი, ჯონ კერტისის მიერ მე-40 წუთზე თავის კარში ჩაჭრილი მენდიეტას კროსი, მასიმო მაკარონეს ცაცია დარტყმული და მიხვდებით, რაც იყო.

მთელს ამ ამბავში „ჩელსი" მესამე დარჩა. მოიგებდა თუ წააგებდა მაინც ასე იქნებოდა. კლაუდიო რანიერის ფეხბურთელებმა კი ვერც მოიგეს და არც წააგეს. არადა, ნაღდად მოსაგები თამაში ჰქონდათ. ჯო კოულმა ძელს გაარტყა, უილიამ გალასის მოქნეული მცველმა ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა, ხოლო ფრენკ ლამპარდს და ჯიმი ჰასელბაინკს სტუმართა ნასესხებმა მეკარე მაიკ ტეილორმა ისეთ ეპიზოდებში აუღო, დიდ მეკარეებს შეშურდებოდათ.

**ირაკლი გამყრელიძე**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| შირერი (ნიუკასლი) | 16 |
| ანრი (არსენალი) | 15 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერ იუნ.) | 14 |
| საჰა (ფულემი) | 13 |
| ანელკა (მანჩესტერ სიტი) | 11 |

**XXIII ტური**

31 იანვარი

არსენალი — სიტი
ბირმინგემი — ნიუკასლი
ბლექბერნი — ჩელსი
ჩარლტონი — ბოლტონი
ფულემი — ტოტენჰემი
ლიდსი — მიდლსბრო
ლესტერი — ასტონ ვილა
ლივერპული — ევერტონი
მანჩესტერი — საუთჰემპტონი
პორტსმუთი — ვულვზი

## პირველი დივიზიონი

### XXVIII ტური

**ბრედფორდი 0:1 კარდიფი**

0:1 ლენგლი (72)

**ბარნლი 1:1 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 ბლეიქი (68), 1:1 [illegible] (78)

**დერბი ქაუნთი 2:1 ჯილინგემი**

1:0 ვენსანი (14), 2:0 ედვარდსი (61), 2:1 ჯონსონი (69)

**იფსვიჩი 6:4 ქრიუ**

1:0, 2:0 მილერი (3, 9), 2:1 ეშტონი (35), 2:2 მაკგრილი (48ს.კ.), 3:2 კუქი (55), 3:3 რიჩარდსი (66ს.კ.), 4:3 როიზერი (72), 5:3 კუნაგო (76), 5:4 რობინსონი (82), 6:4 კუქი (88)

**მილუოლი 2:1 სანდერლენდი**

0:1 სტიუარტი (30), 1:1, 2:1 დიჩიო (39, 62)

**ნოტინგემი 0:1 რედინგი**

0:1 მიურეი (41)

**პრესტონი 2:4 უიგანი**

0:1 რობერტსი (1), 1:1 ეტუჰუ (30), 1:2 ელინგტონი (45), 1:3 ტილი (72), 1:4 ელინგტონი (80), 2:4 ალექსანდერი (86)

**როტერჰემი 4:4 იფსვიჩი**

1:0 ბატლერი (28), 1:1 რობერტსი (29), 1:2 მაკკენზი (33), 2:2 ბატლერი (42), 2:3 ჰაკერბი (45პ), 3:3 ბატლერი (65), 4:3 მულინი (75), 4:4 ფრენსისი (89)

**შეფილდ იუნ. 3:3 ვესტ ჰემი**

1:0 პეშისოლიდო (5), 1:1 კარიკი (19), 1:2 ჰარლი (22), 1:3 ჰერვუდი (37), 2:3 შოუ (72), 3:3 ჯაგიელკა (90)

**უოლსოლი 1:6 ქოვენთრი**

0:1 მორელი (6), 1:1 ვრაკი (45), 1:2 მაკშეფრი (48), 1:3 მორელი (57), 1:4 ჯოუჩიმი (70), 1:5 როპერი (76ს.კ.), 1:6 მაკშეფრი (82)

**უოტფორდი 1:5 კრისტალ პალასი**

0:1 ჯონსონი (9), 0:2 რუტლეჯი (39), 0:3 ჯონსონი (45პ), 1:3 ჰელგუსონი (58), 1:4 გრეი (73), 1:5 ფრიდმანი (90)

**უიმბლდონი 0:1 სტოკი**

0:1 ნოელ-უილიამსი (54)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვიჩი | 28 | 15 | 8 | 5 | 45:26 | 53 |
| ვესტ ბრომვიჩი | 28 | 14 | 9 | 5 | 39:23 | 51 |
| შეფილდი | 27 | 14 | 7 | 6 | 45:30 | 49 |
| სანდერლენდი | 28 | 13 | 8 | 7 | 36:24 | 47 |
| იფსვიჩი | 28 | 13 | 7 | 8 | 53:43 | 46 |
| უიგანი | 28 | 12 | 10 | 6 | 39:30 | 46 |
| პრესტონი | 28 | 12 | 7 | 9 | 43:35 | 43 |
| ვესტ ჰემი | 28 | 10 | 12 | 6 | 39:28 | 42 |
| რედინგი | 28 | 12 | 6 | 10 | 32:34 | 42 |
| კარდიფი | 28 | 11 | 8 | 9 | 46:37 | 41 |
| მილუოლი | 28 | 10 | 10 | 8 | 31:27 | 40 |
| სტოკი | 28 | 11 | 6 | 11 | 36:35 | 39 |
| ქრიუ | 28 | 11 | 6 | 11 | 37:38 | 39 |
| ქოვენთრი | 28 | 8 | 12 | 8 | 36:33 | 36 |
| კრ. პალასი | 28 | 9 | 8 | 11 | 37:41 | 35 |
| უოლსოლი | 28 | 9 | 8 | 11 | 29:35 | 35 |
| როტერჰემი | 28 | 8 | 10 | 10 | 30:39 | 34 |
| ჯილინგემი | 27 | 9 | 6 | 12 | 32:42 | 33 |
| ბარნლი | 28 | 7 | 9 | 12 | 38:48 | 30 |
| უოტფორდი | 28 | 7 | 9 | 12 | 29:39 | 30 |
| ნოტინგემი | 27 | 7 | 7 | 13 | 34:37 | 28 |
| დერბი | 27 | 6 | 9 | 12 | 28:44 | 27 |
| ბრედფორდი | 28 | 6 | 5 | 17 | 21:40 | 23 |
| უიმბლდონი | 28 | 5 | 3 | 20 | 27:54 | 18 |

## მეორე დივიზიონი

### XXVII ტური

ბარნსლი — ბორნმუთი 1:1; ბრისტოლი — ჩესტერფილდი 4:0; ლუტონი — სტოკპორტი 2:2; ოლდემი — შეფილდ უენსდი 1:0; პიტერბრო — ბრენტფორდი 0:0; პლიმუთი — რაშდენი 3:0; პორტ ვეილი — გრიმსბი 5:1; ქუინზ პარკი — ბრაიტონი 2:1; სუინდონი — კოლჩესტერი 2:0; ტრანმერი — ჰარტლპული 0:0; რექსემი — ნოტსი 0:1; უიკომბი — ბლეკპული 0:3

## მესამე დივიზიონი

### XXVII ტური

კარლაილი — იოვილი 2:0; ჰადერსფილდი — ბოსტონი 2:0; ჰალი — ოქსფორდი 4:2; კიდერმინსტერი — დარლინგტონი 1:1; ლეიტონი — მენსფილდი 3:1; ლინკოლნი — ტორკი 1:3; მაკლსფილდი — კემბრიჯი 0:1; ნორთჰემპტონი — იორკი 2:1; როჩდეილი — როვერსი 2:2; სკანთორპი — ბერი 0:0; საუთენდი — დონკასტერი 0:2; სუონსი — ჩელტენემი 0:0

## კონფერენს ლიგა

### XXVII ტური

ალდერშოტი — ტელფორდი 3:1; ბარნეტი — დაგენემი 2:4; ექსეტერი — მარგეიტი 1:1; ფორესტ გრინი — ჩესტერი 2:1; გრეივსენდი — ჰალიფაქსი 1:0; ლეიფი — ფარნბორო 0:2; მორეკემბი — ჰერეფორდი 2:2; სკარბორო — უოქინგი 2:2; შრიუსბერი — აკრინგტონი 0:0; სტივენეიჯი — ბარტონი 1:0; ტემუორთი — ნორსვიჩი 2:1

## იტალია

### სერია A. XVII ტური

**მოდენა 1:1 ლაციო**

0:1 ლოპესი (24), 1:1 კამპედელი (61)
მოდენა: ბალოტა, პივოტო, ჩევოლი, გრანდონი, კამპედელი, მარასკო, მილანეტო (მუსიჩი 80), დომიცი, ბალესტრი, მაკინვა (ალეგრეტი 83), ვიniaროლი (ტალდო 76)
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
ლაციო: პერუცი (სერენი 55), ოდო, სტამი, ფ. კოუტუ, ფავალი, დაბო (სეზარი 87), ლივერანი, დ. სტანკოვიჩი, მუცი, კორადი, კ. ლოპესი (ფიორე 65)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: პივოტო, ჩევოლი, კამპედელი, მუცი, სტანკოვიჩი
მსაჯი: რაკალბუტო
14 000 მაყურებელი

**უდინეზე 1:1 პარმა**

1:0 ფერარი (23ს.კ.), 1:1 ადრიანო (80)
უდინეზე: დე სანტისი, ბერტოტო, სენსინი, კროლდრუპი, ალბერტო (კასტრომანი 81), პაზიენცა, მუნტარი, პიერი (გუტიერესი 87), იანკულოვსკი, იორგენსენი, ფავა
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
პარმა: ს. ფრეი, მ. კასტელინი (სერიჩი 79), პ. კანავარო, მ. ფერარი, ჟუნიორი, ბარონე, დონადელი (ადრიანო 46), მარკიონი (როზინა 73), ბრეშიანო, ე. ფილიპინი, ჯილარდინო
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: ბერტოტო, ფერარი, როზინა, კროლდრუპი, ალბერტო
მსაჯი: პელეგრინო
15 000 მაყურებელი

**რომა 3:1 სამპდორია**

0:1 ბაცანი (6), 1:1 კარეუ (10), 2:1, 3:1 ტოტი (61, 67)
*ფლაკიმ ვერ გაიტანა პენალტი (72, მეკარე)*
რომა: ძოტი, ძებინა, დელასი, პანუჩი, მანსინი, ემერსონი, დაკური, ფ. ლიმა (კანდელა 58), ტოტი, ა. კასანო (ტომაზი 46), კარეუ (დაგოსტინო 86)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
სამპდორია: ანტონიოლი, საკეტი, მ. კონტე, ფალკონე (კაროციერი 46), კ. ძენონი, დიანა (ჩიპრიანი 62), ვოლპი, დონატი (პალომბო 69), დონი, ბაცანი, ფლაკი
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: კაროციერი, კონტე, ძოტი, კაროციერი
გაძევება: კაროციერი (90)
მსაჯი: აიროლდი
52 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 4:2 სიენა**

1:0 დელ პიერო (15პ), 2:0 ტრეზეგე (37), 3:0, 4:0 დელ პიერო (59პ, 63), 4:1, 4:2 ვენტოლა (71პ, 80)
იუვენტუსი: ბუფონი, ბირინდელი (ტუდორი 50), ფერარა, მონტერო, ძამბროტა, კამორანეზი, ა. კონტე (იულიანო 73), აპია (ტაკინარდი 65), ნედვედი, დელ პიერო, ტრეზეგე
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
სიენა: ჯ. როსი, ჩირილო, დელი კარი (მენეგაცო 70), მინანი, კუფრე, დავერსა, ვერგასოლა, გიგუ, ტადეი (ლაზეტიჩი 70), ტ. ფლო, კიეზა (ვენტოლა 46)
მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო
გაფრთხილება: ტრეზეგე, ტადეი, ფლო
მსაჯი: ბოლონინო
30 000 მაყურებელი

**ინტერი 0:1 ემპოლი**

0:1 როკი (90)
ინტერი: ტოლდო, ი. კორდობა, ადანი (ბრეშე 63), გამარა, ხ. ძანეტი, ალმეიდა (ლამუში 87), ემრე, პასკუალე, ვან დერ მეიდე (ფარინოსი 63), ო. მარტინსი, ხ. კრუზი
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
ემპოლი: ბუჩი, ბელერი (პრატალი 76), კრიბარი, ვარგასი, ლუკინი (ტავანო 73), გრელა, ფიჩინი, ბუშე, ვანუკი (კაპელინი 84), დი ნატალე, როკი
მწვრთნელი: ატილიო პეროტი
გაფრთხილება: კორდობა, ემრე, კრიბარი, ემრე
გაძევება: ემრე (62)
მსაჯი: პაპარესტა
30 000 მაყურებელი

**ბოლონია 3:1 კიევო**

1:0 სინიორი (2), 2:0 ტარე (17), 2:1 სანტანა (33), 3:1 ნერვო (44)
ბოლონია: პალიუკა, ძაკარტო, ძანკი, გამბერინი, მორეტი, ნერვო (ტერცი 90), ნაკატა, ლ. კოლუჩი, ბელუჩი (ჟუარესი 76), სინიორი (მეგნი 67)
მწვრთნელი: კარლო მაცონე
კიევო: მარკეჯანი, ფ. მორო, ბარძალი, დანა, ს. ლანა, სანტანა, ძანკეტა (დ. ფრანჩესკინი 68), პეროტა, სემიოლი (ლუსიანო 54), ამაური (პელისიერი 57), ფ. კოსატო
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: ლანა, დანა, პეროტა, პალიუკა
გაძევება: ძანკი (75)
მსაჯი: დატილო
18 000 მაყურებელი

**რეჯინა 1:3 ლეჩე**

0:1 ბოჟინოვი (3), 0:2 ჩევანტონი (4), 1:2 კოცა (26), 1:3 ბოჟინოვი (60)
*ჩევანტონმა ვერ გაიტანა პენალტი (70, მეკარე)*
რეჯინა: ბელარდი, ჟირანეკი, ტორიზი, სოტილი, მესტო, ბაიოკო, ჯაკომო ტედესკო, ფალზინი (გ. მარტინესი 65), კოცა (ლეონი 69), დი მიკელე, სტელონე (დალ აკუა 58)
მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე
ლეჩე: სიჩინიანო, სივილია, ვოვო, სტოვინი, აბრუცეზე, კასეტი, ლედესმა, ბოლანო (რულო 70), ტონეტო, ჩევანტონი, ბოჟინოვი (კონანი 66)
მწვრთნელი: დელიო როსი
გაფრთხილება: ბოლანო, აბრუცეზე, ლედესმა, სივილია, ტედესკო
გაძევება: სოტილი (75)
მსაჯი: როდომონტი
20 000 მაყურებელი

**ანკონა 0:0 პერუჯა**

ანკონა: მარკონი, სოლიანო, მალტალიატი, მილანეზე, ზავანო, კარუზი, დ. ანდერსონი (სარტორი 80), რაპაიჩი (სომეზე 46), ბერეტა, პანდევი (დეგანო 74), გრაბი
მწვრთნელი: ნედო სონეტი
პერუჯა: კალაჩი, ნასტოსი, დი ლორეტო, ინოფო, ზე მარია, ჯოვანი ტედესკო, ობოდო (ჯანდომენიკო 88), ფუზანი (კ. მანფრედინი 55), გროსო, მარჯოტა (ძერბინი 68), ბოტროიდი
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: ობოდო, ინოფო, ზავანო, კარუზი, მანფრედინი
მსაჯი: პალანჩა
11 000 მაყურებელი

**ბრეშა — მილანი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

# წითელი ბურთი, თეთრი მინდორი

მაშ ასე, პირველი წრე დასრულდა ანუ ეგრეთ წოდებული ზამთრის ჩემპიონი გამოვლენილია. მართალია, ზამთრის ჩემპიონობა ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ ჩემპიონატის შუაწელში სხვებთან შედარებით უპირატესობაა — შენ კი არ უნდა დაეწიო, ამაზე სხვებმა უნდა იმტვრიონ თავი. ზამთრის ჩემპიონი გახლავთ „რომა", რომელმაც „სამპდორიას" გვარიან ბრძოლაში 3:1 მოუგო და იტალიის ახალი რეკორდი დაამყარა — პირველი წრე 42 ქულით აქამდე არავის დაუმთავრებია. რომაელთა გამარჯვება კი ფრანჩესკო ტოტიმ გამოჭედა, მან მეორე ტაიმში ორი გოლი შეაგდო.

თუ გახსოვთ, ამ შეხვედრის წინ ეჭვის თვალით უპირველეს ყოვლისა „რომას" დაცვას უყურებდნენ — ვალტერ სამუელის დისკვალიფიკაციას კრისტიან კივუს და მეკარე ივან პელიცოლის ტრავმები ემატებოდა. და სწორედ დაცვის შეცდომამ მისცათ გენუელებს მე-5 წუთზე ანგარიშის გახსნის საშუალება, მაგრამ „რომას" ჩამორჩენა ხუთწუთიანი გამოდგა — ანტონიო კასანოს ჩაკიდული იონ კარეუმ თავით სტუმრების კარში შეაგდო. შემდეგ რომაელთა ბრაზილიელმა ამანტინო მანსინიმ როგორღაც მოახერხა დაახლოებით ხუთი თუ ექვსი მეტრიდან ბურთი კარში ვერ შეეგდო, რასაც ერთ ხანში „სამპდორიას" პროტესტი მოჰყვა — ტრაიანოს დელასმა აიმო დიანა თითქოს საჯარიმოში წააქცია, ოღონდ მსაჯს ყურადღება არ მიუქცევია — ამის შემდეგ კი საპირისპირო კართან შეიქმნა პენალტისმაგვარი სიტუაცია: კასანო მოცელეს და მსაჯმა ისევ არ დაუსტვინა.

მეორე ტაიმში რომაელი მეკარის, კარლო ძოტის შეცდომით კინალამ ფრანჩესკო ფლაკიმ ისარგებლა, ხოლო ხანი რომ გამოხდა, უკვე კარეუმ მისცხო ტოტის პასს აკრობატულად, თუმცა უზუსტოდ. მერე ძოტიმ იყოჩაღა, ბოლოს კი ტოტის დრო დადგა — „რომას" თილისმამ ჯერ მანსინის პასს მიჰკრა გაფრენილი თავური, შემდეგ კი ჩინებული ინდივიდუალური თამაშით მიაღწია საწადელს.

ხოლო მსაჯს მაინც მოუწია პენალტის დანიშვნა: ძოტიმ ფლაკი დასცა საჯარიმოში, პენალტით დაისაჯა, მაგრამ მდგომარეობა თავად გამოასწორა. პენალტი ფლაკიმ დაარტყა, ძოტიმ კი მოიგერია. სულ ბოლოს მაურიციო კაროციერიმ ტოტის წინააღმდეგ იუხეშა მეტისმეტად, რისთვისაც მოედნიდან გააძევეს.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ტურინში წითელი ბურთის და თეთრი მინდვრის გადამკიდე „იუვენტუსისა" და „სიენას" ფეხბურთელები უფრო ჯაჯგურობდნენ, ვიდრე ფეხბურთს თამაშობდნენ. მათ წინაშე მთავარ ამოცანად ბურთის მორევა უფრო, იდგა ვიდრე სხვა რამ, თოვა კი ერთი წამით არ შეწყვეტილა. თამაშამდე მოედანი ისე იყო დათოვლილი, რომ საკითხი მატჩის ჩატარება-არჩატარებაზე იდგა, მაგრამ საბოლოოდ შეხვედრა ჩატარდა და „იუვემ" ჯაჯგურშიც იყოჩაღა — ალესანდრო დელ პიერომ ჰეთ-თრიქი შეასრულა, მატჩის ანგარიშად კი 4:2 დადგა. საინტერესოა, რომ ამ დღეს „სიენა" მიმდინარე სეზონში პენალტით პირველად დაისაჯა, მაგრამ კიდევ უფრო საინტერესო ამბავი „სან სიროზე" მოხდა, სადაც „ინტერმა" „ემპოლისთან" 0:1 წააგო. მატჩის ერთადერთი გოლი 91-ე წუთზე მეხივით გავარდა, ხოლო დასკვნა ერთადერთია: „ინტერი" კრიზისშია!

მთელი გასული კვირის განმავლობაში „ინტერისა" და კრისტიან ვიერის უკვე დაუფარავ კონფლიქტზე წერდა მსოფლიო პრესა. მოგეხსენებათ, იტალიის თასზე „უდინეზესთან" ვიერიმ თვითნებურად არ მიიღო მონაწილეობა, ხოლო გუშინ „ემპოლისთან" [illegible] ალბერტო ძაკერონიმ დასაჯა.

პირველ ტაიმში იყო მომენტი, როდესაც ჟულიო კრუზმა რვა მეტრიდან ბურთი მკერდით დაიგდო და წესით ის ბადეში უნდა შევარდნილიყო, მაგრამ რატომღაც ხარიხას გადაახტა. კრუზის გარდა მომენტები ჰქონდა ივან კორდობასა და ობაფემი მარტინსს, ხოლო თურქი ემრე ჯერ უხეშობისთვის „გააყვითლეს", შემდეგ კი პროტესტისთვის „გააწითლეს".

ხოლო „ინტერის" ქომაგთა დიდმა ჯგუფმა პროტესტის ნიშნად სტადიონი ცოტა ადრე რომ დასტოვა, მატჩის ერთადერთი გოლი ვერ ნახა — ფრანჩესკო ტავანომ ჯოვანი პასკუალეს ჩაუქროლა და ტომაზო როკის საგოლე პასი მიაწოდა.

**პაპუნა ძედია**



REUTERS

იუვენტუსი — სიენა. ალესანდრო დელ პიერომ სამი გოლიდან ორი პენალტით გაიტანა

## სერია B

### XXIII ტური

**ფიორენტინა 2:1 კალიარი**
1:0, 2:0 რიგანო (15, 53პ), 2:1 ალბინო (75)

**ალბინოლეფე 1:0 ნაპოლი**
1:0 პოსანცინი (53)

**ბარი 2:1 პალერმო**
1:0 კორდოვა (28), 1:1 კორინი (34), 2:1 დე როსა (40)

**ჯენოა 1:1 პიაჩენცა**
0:1 კოლომბო (41), 1:1 ფოლიო (69)

**ლივორნო 1:2 ვიჩენცა**
0:1 ტამბურინი (11), 1:1 პროტი (55), 1:2 მოსკარდი (85)

**მესინა 1:1 ტორინო**
1:0 ძანოლო (25), 1:1 რუბინო (67)

**სალერნიტანა 1:3 ატალანტა**
0:1 პაცინი (3), 1:1 პერნა (32), 1:2 პინარდი (45), 1:3 პაცინი (55)

**ტერნანა 3:0 პესკარა**
1:0, 2:0 ძამპანა (18, 65), 3:0 ფრიკი (82)

**ტრევიზო 3:1 ასკოლი**
1:0 განჩი (3), 2:0 კიაპარა (48), 2:1 ინაჩიო პია (64), 3:1 განჩი (85)

**ტრიესტინა 1:0 ვენეცია**
1:0 ფერნანდესი (71ს.კ.)

**ვერონა 1:0 კომო**
1:0 მიპალჩია (90)

**აველინო — კატანია**
*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატალანტა | 23 | 11 | 12 | 0 | 32:15 | 45 |
| ტერნანა | 23 | 13 | 5 | 5 | 36:22 | 44 |
| პალერმო | 23 | 11 | 9 | 3 | 32:16 | 42 |
| მესინა | 23 | 9 | 10 | 4 | 31:23 | 37 |
| პიაჩენცა | 23 | 10 | 7 | 6 | 23:19 | 37 |
| ლივორნო | 23 | 8 | 11 | 4 | 27:22 | 35 |
| კალიარი | 23 | 9 | 7 | 7 | 39:27 | 34 |
| ტორინო | 23 | 8 | 9 | 6 | 31:23 | 33 |
| ტრიესტინა | 23 | 8 | 8 | 7 | 31:31 | 32 |
| ტრევიზო | 23 | 7 | 10 | 6 | 27:25 | 31 |
| ასკოლი | 23 | 8 | 7 | 8 | 29:29 | 31 |
| ფიორენტინა | 23 | 7 | 10 | 6 | 26:29 | 31 |
| კატანია | 22 | 8 | 6 | 8 | 29:26 | 30 |
| სალერნიტანა | 23 | 8 | 6 | 9 | 20:24 | 30 |
| პესკარა | 23 | 7 | 8 | 8 | 19:26 | 29 |
| ალბინოლეფე | 23 | 7 | 7 | 9 | 22:28 | 28 |
| ნაპოლი | 23 | 4 | 15 | 4 | 17:18 | 27 |
| ვიჩენცა | 23 | 5 | 11 | 7 | 20:22 | 26 |
| ვერონა | 23 | 5 | 9 | 9 | 26:31 | 24 |
| ვენეცია | 23 | 4 | 11 | 8 | 19:24 | 23 |
| ბარი | 23 | 5 | 7 | 11 | 24:32 | 22 |
| ჯენოა | 23 | 4 | 10 | 9 | 19:31 | 22 |
| კომო | 23 | 4 | 7 | 12 | 16:30 | 19 |
| აველინო | 22 | 0 | 8 | 14 | 16:38 | 8 |

## სერია C1/A

მე-19 ტური: არეცო — პრატო 1:0; პადოვა — ლუკეზე 1:0; პავია — ვარეზე 0:1; პისტოიეზე — ნოვარა 1:0; პრო პატრია — ჩიტადელა 2:0; ს. ტორესი — რეჯანა 1:0; სპალ — პიზა 0:0; სპეცია — ჩეზენა 1:1. *რიმინი — ლუმეცანე დღეს გაიმართება*

## სერია C1/B

მე-19 ტური: კატანძარო — ლანჩანო 1:0; ფერმანა — ბენევენტო 0:2; ფოჯა — აკირეალე 1:3; ჯულიანოვა — პეზარო 1:1; აკილა — პატერნო 1:1; სამბენედეტეზე — ტერამო 1:0; ტარანტო — კიეტი 0:0; ვიტერბეზე — მარტინა 3:1. *სორა — კროტონე 0:0-ზე ჩაიშალა*

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 რომა | 17 | 13 | 3 | 1 | 36:7 | 29 | 42 | 9 | 8 | 0 | 1 | 22:4 | 18 | 24 | 8 | 5 | 3 | 0 | 14:3 | 11 | 18 |
| 2 იუვენტუსი | 17 | 12 | 3 | 2 | 38:18 | 20 | 39 | 9 | 7 | 1 | 1 | 25:10 | 15 | 22 | 8 | 5 | 2 | 1 | 13:8 | 5 | 17 |
| 3 მილანი | 15 | 11 | 3 | 1 | 27:8 | 19 | 36 | 7 | 5 | 1 | 1 | 13:5 | 8 | 16 | 8 | 6 | 2 | 0 | 14:3 | 11 | 20 |
| 4 ინტერი | 17 | 9 | 4 | 4 | 28:12 | 16 | 31 | 9 | 5 | 2 | 2 | 17:6 | 11 | 17 | 8 | 4 | 2 | 2 | 11:6 | 5 | 14 |
| 5 პარმა | 17 | 9 | 4 | 4 | 26:19 | 7 | 31 | 8 | 5 | 2 | 1 | 13:4 | 9 | 17 | 9 | 4 | 2 | 3 | 13:15 | -2 | 14 |
| 6 ლაციო | 17 | 9 | 2 | 6 | 25:21 | 4 | 29 | 8 | 6 | 0 | 2 | 16:8 | 8 | 18 | 9 | 3 | 2 | 4 | 9:13 | -4 | 11 |
| 7 უდინეზე | 17 | 7 | 5 | 5 | 20:18 | 2 | 26 | 9 | 3 | 3 | 3 | 8:7 | 1 | 12 | 8 | 4 | 2 | 2 | 12:11 | 1 | 14 |
| 8 სამპდორია | 17 | 6 | 6 | 5 | 20:20 | 0 | 24 | 8 | 4 | 1 | 3 | 11:10 | 1 | 13 | 9 | 2 | 5 | 2 | 9:10 | -1 | 11 |
| 9 კიევო | 17 | 6 | 4 | 7 | 18:21 | -3 | 22 | 8 | 2 | 2 | 4 | 7:11 | -4 | 8 | 9 | 4 | 2 | 3 | 11:10 | 1 | 14 |
| 10 ბოლონია | 17 | 5 | 5 | 7 | 19:24 | -5 | 20 | 9 | 4 | 2 | 3 | 14:15 | -1 | 14 | 8 | 1 | 3 | 4 | 5:9 | -4 | 6 |
| 11 ბრეშა | 16 | 4 | 7 | 5 | 26:28 | -2 | 19 | 8 | 2 | 4 | 2 | 16:14 | 2 | 10 | 8 | 2 | 3 | 3 | 10:14 | -4 | 9 |
| 12 სიენა | 16 | 4 | 6 | 6 | 24:20 | 4 | 18 | 8 | 4 | 2 | 2 | 14:4 | 10 | 14 | 8 | 0 | 4 | 4 | 10:16 | -6 | 4 |
| 13 მოდენა | 17 | 4 | 5 | 8 | 13:23 | -10 | 17 | 8 | 3 | 2 | 3 | 7:8 | -1 | 11 | 9 | 1 | 3 | 5 | 6:15 | -9 | 6 |
| 14 რეჯინა | 17 | 3 | 8 | 6 | 16:28 | -12 | 17 | 9 | 2 | 5 | 2 | 8:10 | -2 | 11 | 8 | 1 | 3 | 4 | 8:18 | -10 | 6 |
| 15 ლეჩე | 17 | 3 | 3 | 11 | 19:34 | -15 | 12 | 8 | 2 | 2 | 4 | 10:13 | -3 | 8 | 9 | 1 | 1 | 7 | 9:21 | -12 | 4 |
| 16 ემპოლი | 17 | 3 | 3 | 11 | 11:30 | -19 | 12 | 8 | 2 | 2 | 4 | 6:10 | -4 | 8 | 9 | 1 | 1 | 7 | 5:20 | -15 | 4 |
| 17 პერუჯა | 17 | 0 | 10 | 7 | 19:31 | -12 | 10 | 9 | 0 | 8 | 1 | 14:15 | -1 | 8 | 8 | 0 | 2 | 6 | 5:16 | -11 | 2 |
| 18 ანკონა | 17 | 0 | 5 | 12 | 7:30 | -23 | 5 | 9 | 0 | 4 | 5 | 4:13 | -9 | 4 | 8 | 0 | 1 | 7 | 3:17 | -14 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 14 |
| ტოტი (რომა) | 11 |
| ვიერი (ინტერი) | 9 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 9 |

**XVIII ტური**

25 იანვარი

მილანი — ანკონა
პარმა — ბოლონია
კიევო — ბრეშა
მოდენა — ინტერი
ემპოლი — იუვენტუსი
ლეჩე — ლაციო
სიენა — პერუჯა
სამპდორია — რეჯინა
რომა — უდინეზე

# ისევ ვერ მოიგო

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი. XX ტური

**ვალიადოლიდი 0:0 ვალენსია**

ვალიადოლიდი: ბიზარი, პენია, მარკოსი, ჯონათანი, ტორეს გომესი, ხესუსი, ოსკარი, რიკეტი (დ. ჩირიჩი 82), ფ. სალესი, მაკუკულა, სოუზა
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
ვალენსია: კანისარესი, კურო ტორესი, რ. აიალა, მარჩენა (პელეგრინო 64), კარბონი, ალბელდა, ბარახა, ვისენტე (რუფეტე 82), ხორხე ლოპესი (ხისკო 73), ანგულო, მისტა
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: მაკუკულა, მარჩენა, ხესუსი, ბარახა, ტორეს გომესი
მსაჯი: გონსალეს ვასკესი
13 200 მაყურებელი

**ბარსელონა 1:1 ბილბაო**

1:0 კლუივერტი (63), 1:1 გურპეგი (86)
ბარსელონა: ხორკერა, რაიციგერი, მარკესი, ვან ბრონკჰორსტი, ოლეგერი, ხავი (ხერარდი 46), კოკუ, დავიდსი, ლუის გარსია (კლუივერტი 46), რონალდინიო, სავიოლა (კვარესმა 86)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
ბილბაო: არანსუბია, ა. კარანკა, ლუის პრიეტო, იესტე (ხონანი 77), ხავი გონსალესი, ირაოლა (ორბაისი 59), გურპეგი, დელ ორნო, ტიკო (ურსაისი 69), ესკერო, ხ. ეჩებერია
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
გაფრთხილება: ვან ბრონკჰორსტი, გურპეგი, ხერარდი, არანსუბია, დავიდსი, ურსაისი
მსაჯი: ესკინას ტორესი
57 659 მაყურებელი

**მურსია 2:2 სელტა**

0:1 ლუქსენი (7), 0:2 მილოშევიჩი (45), 1:2 კინტანა (68), 2:2 კარანტა (80)
მურსია: ბონანო, ლოეშბორი, კლავერო (რიჩი 71), ხუანმა, კუადრადო, განსედო, ფრედი (კინტანა 64), იენსენი, მიჩელი (ხულიო ალვარესი 46), დ. კარანკა, ლუის გარსია
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
სელტა: კავალიერო, სილვინიო, ბერიზო (კასერესი 64), ანხელი, მენდესი, სერხიო, ვაგნერი (ხონათანი 87), ხოსე იგნასიო, ლუქსენი, მილოშევიჩი, ხესული (ჯოვანელა 71)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: მენდესი, ხესული, ლუქსენი, ლუქსენი
გაძევება: ლუქსენი (63), იენსენი (84)
მსაჯი: მორენო დელგადო
9 000 მაყურებელი

**დეპორტივო 4:1 სარაგოსა**

0:1 ვალერონი (4ს.კ.), 1:1 ტრისტანი (23), 2:1 ვალერონი (49), 3:1 ტრისტანი (78), 4:1 სერხიო (88)
დეპორტივო: მოლინა, რომერო, სესარი, ჟორჟე ანდრადე, მაურო სილვა, სკალონი (მანუელ პაბლო 46), ვიქტორი, ვალერონი, დუშერი (სერხიო 81), ტრისტანი (პანდიანი 83), ლუკე
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
სარაგოსა: ლაინესი, რებოსიო, ალვარო, მილიტო, გალეტი, სავიო, პონციო, კორონა (ველისკა 59), დავიდ პირი, ხენერელო, ვილა (დრულიჩი 59)
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
გაფრთხილება: ვიქტორი, გალეტი, სკალონი, ხენერელო
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
21 000 მაყურებელი

**ატლეტიკო 2:1 სევილია**

1:0 ტორესი (43), 2:0 ნიკოლაიდისი (75), 2:1 რეიესი (81პ)
ატლეტიკო: ხუანმა, გარსია კალვო, სერხი, გასპარი, დე ლოს სანტოსი, სიმეონე, აგილერა (სანტი 79), ნანო (ხორხე 68), იბაგასა (მუსამპა 89), ფ. ტორესი, ნიკოლაიდისი
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
სევილია: ესტებანი, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, დანიელ ალვესი, ხ. რედონდო, პაბლო ალფარო, ტორადო (კარლოსი 84), მარტი, დარიო სილვა (ორნოსი 71), ანტონიტო
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: დე ლოს სანტოსი, ტორადო, რეიესი, სერხი, ხავი ნავარო, ნიკოლაიდისი, გარსია კალვო, ხანიელ ალვესი, ხუანმა, მუსამპა
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
55 000 მაყურებელი

**ოსასუნა 1:1 ალბასეტე**

0:1 ვიაუდი (4), 1:1 ალოიზი (34)
ოსასუნა: სანსოლი, ანტონიო ლოპესი, კრუჩაგა, ხოსეჩო, უნაი, პუნიალი (ალფრედო 70), პაბლო გარსია, ვალდო, მუნიოსი, ალოიზი, ბაკაიოკო (ივან როსადო 58)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
ალბასეტე: ალმუნია, ოსკარი, კრისტიან დიასი, პენია, პაბლო, ვიაუდი, პარი (პაბლო გარსია 57), ალვარო (სიმეონი 75), დელპორტი, არანდა, პაჩეკო (მიკელი 81)
მწვრთნელი: სეზარ ფერანდო
გაფრთხილება: ბაკაიოკო, ხოსეჩო, ვიაუდი, ალმუნია
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
13 600 მაყურებელი

**ვილიარეალი 2:0 მალაგა**

1:0 არუაბარენა (67), 2:0 ანდერსონი (86)
ვილიარეალი: რეინა, არუაბარენა, მარტი, ბელეტი, კიკე ალვარესი, ხავი ვენტა (ს. ანდერსონი 46), ბალესტეროსი, რიკელმე, ბატალია, ვიქტორი (როხერი 89), გიარე (კოლოჩინი 81)
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
მალაგა: კალატაიუდი, როხასი, ხოსემი, ლიტოსი (ლეკო 76), ფ. სანსი, ხერარდო, მანუ (ინსუა 63), დუდა, მიგელ ანხელი, დიეგო ალონსო, კანაბალი
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: ბელეტი, როხასი, კიკე ალვარესი, ლიტოსი, სანსი
მსაჯი: პუენტეს ლეირა
16 000 მაყურებელი

**მალიორკა 1:1 რასინგი**

1:0 კოლსა (47), 1:1 რეგუერო (77)
მალიორკა: ლეო ფრანკო, ფ. ნინიო, ლუსენჰოფი, ოლაიზოლა (მოია 60), პოლი, ნაგორე, კოლსა, ფინიდი, ტონი გონსალესი (ხესუს პერერა 54), ბრუგინკი (ნადალი 71), კორეა
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
რასინგი: რიკარდო, პაბლო კასარი, აიოზე, მორა (რაულ მარტინი 72), ხუანმა, მორანი, რეგუერო, ანდერსონ სილვა (ხონათანი 50), მატაბუენა, ხავი გერერო, ბენაიუნი (აფეკი 68)
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
გაფრთხილება: ლუსენჰოფი, ანდერსონ სილვა, პოლი, ნაგორე, პაბლო კასარი, ხავი გერერო, ხუანმა, რეგუერო
მსაჯი: ლიზონდო კორტესი
15 000 მაყურებელი

**სოსიედადი 3:1 ესპანიოლი**

1:0 კარპინი (7), 2:0 ნიჰათი (87), 3:0 გაბილონდო (88), 3:1 კრუიფი (90)
სოსიედადი: ალბერტო, კვარმე, არანსაბალი, შურერი, პოტილიონი, ხაბი ალონსო (ალკისა 60), კარპინი, არანბურუ, გაბილონდო, კოვაჩევიჩი, ნიჰათი
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
ესპანიოლი: ლემენსი, დავიდ გარსია (ვინიალი 53), ლოპო, დომორო, პოჩეტინიო, მორალესი (ოსკარი 83), დე ლა პენია, მაქსი, ალექს ფერნანდესი (ველამასანი 60), კრუიფი, ტამუდო
მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი
გაფრთხილება: შურერი, კრუიფი, ხაბი ალონსო, დე ლა პენია, კვარმე, მორალესი
მსაჯი: ტეიშეირა ვიტიენესი
24 500 მაყურებელი

**ბეტისი — რეალი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

„ბარსელონამ“ ვერ მოიგო — რამდენიმე წლის წინ ამ ფრაზას უფრო რიხიანად ვიტყოდით, ვიდრე ახლა ვამბობთ, რაკილა „ბარსას“ ვერმოგება ჩვეულებრივ ამბად იქცა.

კატალონიელთა თურქი მეკარე რუშთუ აჭრილი იყო და როცა ათამაშებდნენ, შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. ამიტომ ფრანკ რაიკარდი კარის დაცვას ვიქტორ ვალდესს ანდობდა. „ბილბაოსთან“ მატჩის წინ კი ვალდესს გრიპი შეეყარა და უძლური შეიქნა. რაიკარდს თითქოს არჩევანი არც ჰქონდა, მაგრამ მაინც გამოძებნა — კარში მეორე გუნდიდან წამოყვანილი ხორკერა ჩააყენა. ჰოლანდიელს არჩევანმა გაუმართლა, ხორკერამ რამდენიმე ურთულესი ბურთი მოიგერია.

„ბარსას“ დაცვის ბურჯი კარლეს პუიოლიც აკლდა და რაიკარდმა მის მაგიერ ახალბედა ოლეგერი ათამაშა — ჰოლანდიელს ამაშიც გაუმართლა, რადგან ოლეგერმა მართლაც კარგად ითამაშა.

ამავე მატჩში ტურინიდან წამოყვანილი ედგარ დავიდსის დებიუტიც შედგა და „პიტბულიც“ ურიგოდ არ გარჯილა.

და მაინც — „ბარსელონამ“ ვერ მოიგო.

პირველ ტაიმში მასპინძელთაგან ორი კარგი მომენტი ჰქონდა რაიციგერს, ლუის გარსიას კი — საუკეთესო. ტაიმის მიწურულს არბიტრმა ტიკოსგან წესების დარღვევა ვერ შენიშნა — ბასკმა საჯარიმოში რონალდინიო წააქცია. სტუმრები კი კონტრშეტევებით ცდილობდნენ ფონს გასვლას.

შესვენების მერე „ბარსამ“ იერიშებს უმატა, თუმცა ყველა მოენტის აღწერას რა აზრი აქვს. ხოლო გოლი კატალონიელებმა წმინდა ჰოლანდიური იერიშით გაიტანეს —ედგარ დავიდსმა ჯოვანი ვან ბროკჰორსტს უპასა, ამან კი პატრიკ კლუივერტს, რომელმაც დაახლოებით პენალტის ნიშნულიდან გაიტანა კიდეც.

გოლიდან ორ წუთში ესკეროს ბრწყინვალე გარღვევა მეკარე ხორკერამ შეაჩერა, რაც გაფრთხილებად უნდა ქცეულიყო მასპინძელთათვის — „ბილბაო“ დანებებას არ აპირებდა. გაფრთხილება გაფრთხილებად დარჩა და „ბარსამ“ უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო. თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე გურპეგის დარტყმამ „ათლეტებს“ ბილბაოში ქულა წაალებინა.

„ბარსელონა“ ცხრილში რომელ ადგილზეც გინდა იყოს, მისი ამბავი ყოველთვის საინტერესოა, თორემ უფრო მნიშვნელოვანი, ცხადია, „ვალენსიას“ ფრე იყო. ლიდერმა ვერ მოიგო, მაშასადამე, მდევარს, მადრიდის „რეალს“, გადასწრების საშუალება მისცა.



კარლეს გურპეგს გოლის გატანაში ვერც ედგარ დავიდსმა შეუშალა ხელი

„ვალენსიამ“ ვერ მოიგო, ვთქვით, უფრო უპრიანი კი იქნებოდა გვეთქვა, არ წააგოო, რაკი ძალიან ახლოს იყო მარცხთან. ხოლო არ წააგო იმიტომ, რომ [illegible] მეკარე, რომელმაც [illegible]ლთა პორტუგალიელ ფორვარდ მაკულულას ორჯერ სასწაულად არ გაატანინა. ვალენსიელთანგან კი ერთი მისტას ჰქონდა კარგი შანსი და ეგ იყო და ეგ.

„ვალენსიას“ წაფორხილებამ საჩემპიონო რბოლას კიდევ უფრო დაუახლოვა „დეპორტივო“, რომელმაც 4:1 დასცა „სარაგოსა“.

ამ მატჩში ხუთივე გოლი გალისიელებმა გაიტანეს, რაკი მეხუთე წუთზე ანგარიში ხუან ვალერონმა გახსნა ავტოგოლით. ვალერონმა მალევე გამოასწორა შეცდომა და დიეგო ტრისტანს საპასუხო გაატანინა. ვალერონმა ესეც არ იკმარა და თავადვე გაიყვანა „დეპორტივო“ წინ, რის მერეც ტრისტანმა სადუბლედ დაარტყა. მატჩში გოლთა წვიმას კი წერტილი სერხიომ დაუსვა.

ისევ მოიგო „სოსიედადმა“, რითაც გასავარდნ ზონას თითქოს საბოლოოდ დააღწია თავი. გასავარდნად განწირულნი კი დღეისთვის ორნი ჩანან — „ესპანიოლი“ და „მურსია“. ამ ტურში ვერც ერთმა ვერ მოიგო. „ესპანიოლი“ სწორედ „სოსიედადთან“ დამარცხდა, „მურსიამ“ კი გმირობა ჩაიდინა. „სელტასთან “ ორი ბურთით აგებდა და გაათანაბრა. თუმცა ეს ერთი ქულა საეჭვოა, მურსიელთათვის გადამრჩენი გამოდგეს.

**კოტე ძეძელია**

### სეგუნდადივიზიონი

XX ტური

**ტერასა 2:2 ლას პალმასი**

1:0 გალეგო (21), 1:1, 1:2 რუბენი (25, 45), 2:2 მაიკელი (47)

**ლეგანესი 0:2 უელვა**

0:1 პერნია (64), 0:2 უჩე (80)

**ელჩე 1:1 კორდობა**

1:0 მოიზესი (2), 1:1 სილვიო გონსალესი (16პ)

**კადისი 2:0 ხერესი**

1:0 ოლი (36), 2:0 მარიო (47)

**სიუდად მურსია 0:1 ალავესი**

0:1 დე ლუკასი (72)

**რაიო ვალეკანო 1:1 სალამანკა**

1:0 ლეო ბიაჯინი (44), 1:1 ფ. აურელიო (90)

**ნუმანსია 0:1 ალხესირასი**

0:1 ზარატე (60)

**პოლი ეხიდო 1:0 ლევანტე**

1:0 აირა (82)

**სპორტინგი 2:0 ალმერია**

1:0 ბილიჩი (76), 2:0 მიგელი (81)

**ტენერიფე 0:1 მალაგა B**

0:1 გეიხო (46)

**ეიბარი 2:0 ხეტაფე**

1:0 ურზელა (26), 2:0 ლორენტე (82)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 20 | 11 | 4 | 5 | 28:17 | 37 |
| ნუმანსია | 20 | 10 | 5 | 5 | 30:15 | 35 |
| ლევანტე | 20 | 9 | 8 | 3 | 20:10 | 35 |
| ალავესი | 20 | 9 | 7 | 4 | 20:14 | 34 |
| კადისი | 20 | 9 | 4 | 7 | 26:19 | 31 |
| ეიბარი | 20 | 8 | 7 | 5 | 18:12 | 31 |
| ხეტაფე | 20 | 6 | 12 | 2 | 23:19 | 30 |
| ალმერია | 20 | 6 | 9 | 5 | 22:22 | 27 |
| უელვა | 20 | 5 | 11 | 4 | 20:18 | 26 |
| ელჩე | 20 | 6 | 8 | 6 | 26:29 | 26 |
| სალამანკა | 20 | 5 | 10 | 5 | 22:20 | 25 |
| სიუდად მურსია | 20 | 5 | 10 | 5 | 28:34 | 25 |
| კორდობა | 20 | 5 | 9 | 6 | 17:17 | 24 |
| ტერასა | 20 | 6 | 6 | 8 | 21:25 | 24 |
| ლეგანესი | 20 | 5 | 9 | 6 | 18:22 | 24 |
| ხერესი | 20 | 3 | 13 | 4 | 20:25 | 22 |
| რაიო | 20 | 6 | 4 | 10 | 25:32 | 22 |
| პოლი ეხიდო | 20 | 5 | 6 | 9 | 18:26 | 21 |
| ლას პალმასი | 20 | 3 | 11 | 6 | 26:31 | 20 |
| ტენერიფე | 20 | 3 | 11 | 6 | 14:20 | 20 |
| მალაგა B | 20 | 4 | 6 | 10 | 21:29 | 18 |
| ალხესირასი | 20 | 2 | 8 | 10 | 18:25 | 14 |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ვალენსია | 20 | 13 | 5 | 2 | 36:14 | 22 | 44 | 10 | 7 | 2 | 1 | 21:10 | 11 | 23 | 10 | 6 | 3 | 1 | 15:4 | 11 | 21 |
| 2 რეალი | 19 | 13 | 3 | 3 | 37:19 | 18 | 42 | 9 | 9 | 0 | 0 | 24:7 | 17 | 27 | 10 | 4 | 3 | 3 | 13:12 | 1 | 15 |
| 3 დეპორტივო | 20 | 12 | 4 | 4 | 36:16 | 20 | 40 | 11 | 8 | 1 | 2 | 22:9 | 13 | 25 | 9 | 4 | 3 | 2 | 14:7 | 7 | 15 |
| 4 ატლეტიკო | 20 | 10 | 4 | 6 | 28:23 | 5 | 34 | 11 | 8 | 2 | 1 | 19:7 | 12 | 26 | 9 | 2 | 2 | 5 | 9:16 | -7 | 8 |
| 5 ვილიარეალი | 20 | 9 | 6 | 5 | 27:22 | 5 | 33 | 10 | 5 | 4 | 1 | 16:10 | 6 | 19 | 10 | 4 | 2 | 4 | 11:12 | -1 | 14 |
| 6 ოსასუნა | 20 | 7 | 9 | 4 | 21:16 | 5 | 30 | 11 | 5 | 4 | 2 | 15:11 | 4 | 19 | 9 | 2 | 5 | 2 | 6:5 | 1 | 11 |
| 7 ბარსელონა | 20 | 7 | 7 | 6 | 27:26 | 1 | 28 | 11 | 3 | 5 | 3 | 13:10 | 3 | 14 | 9 | 4 | 2 | 3 | 14:16 | -2 | 14 |
| 8 ბილბაო | 20 | 7 | 6 | 7 | 24:25 | -1 | 27 | 9 | 6 | 1 | 2 | 14:6 | 8 | 19 | 11 | 1 | 5 | 5 | 10:19 | -9 | 8 |
| 9 რასინგი | 20 | 7 | 6 | 7 | 25:27 | -2 | 27 | 9 | 3 | 1 | 5 | 10:13 | -3 | 10 | 11 | 4 | 5 | 2 | 15:14 | 1 | 17 |
| 10 მალაგა | 20 | 8 | 2 | 10 | 24:27 | -3 | 26 | 9 | 5 | 2 | 2 | 16:9 | 7 | 17 | 11 | 3 | 0 | 8 | 8:18 | -10 | 9 |
| 11 ვალიადოლიდი | 20 | 6 | 8 | 6 | 23:26 | -3 | 26 | 10 | 5 | 4 | 1 | 12:7 | 5 | 19 | 10 | 1 | 4 | 5 | 11:19 | -8 | 7 |
| 12 სევილია | 20 | 6 | 7 | 7 | 28:24 | 4 | 25 | 9 | 5 | 2 | 2 | 15:9 | 6 | 17 | 11 | 1 | 5 | 5 | 13:15 | -2 | 8 |
| 13 სოსიედადი | 20 | 6 | 6 | 8 | 22:30 | -8 | 24 | 11 | 4 | 4 | 3 | 14:14 | 0 | 16 | 9 | 2 | 2 | 5 | 8:16 | -8 | 8 |
| 14 მალიორკა | 20 | 7 | 3 | 10 | 24:35 | -11 | 24 | 11 | 4 | 3 | 4 | 16:20 | -4 | 15 | 9 | 3 | 0 | 6 | 8:15 | -7 | 9 |
| 15 ბეტისი | 19 | 5 | 7 | 7 | 24:22 | 2 | 22 | 10 | 2 | 5 | 3 | 12:12 | 0 | 11 | 9 | 3 | 2 | 4 | 12:10 | 2 | 11 |
| 16 ალბასეტე | 20 | 6 | 3 | 11 | 22:26 | -4 | 21 | 10 | 5 | 1 | 4 | 15:9 | 6 | 16 | 10 | 1 | 2 | 7 | 7:17 | -10 | 5 |
| 17 სელტა | 20 | 4 | 9 | 7 | 28:34 | -6 | 21 | 9 | 1 | 3 | 5 | 8:19 | -11 | 6 | 11 | 3 | 6 | 2 | 20:15 | 5 | 15 |
| 18 სარაგოსა | 20 | 5 | 5 | 10 | 19:28 | -9 | 20 | 9 | 2 | 4 | 3 | 7:6 | 1 | 10 | 11 | 3 | 1 | 7 | 12:22 | -10 | 10 |
| 19 ესპანიოლი | 20 | 4 | 2 | 14 | 16:36 | -20 | 14 | 9 | 2 | 1 | 6 | 7:15 | -8 | 7 | 11 | 2 | 1 | 8 | 9:21 | -12 | 7 |
| 20 მურსია | 20 | 1 | 10 | 9 | 17:32 | -15 | 13 | 11 | 1 | 7 | 3 | 13:16 | -3 | 10 | 9 | 0 | 3 | 6 | 4:16 | -12 | 3 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რონალდო (რეალი) | 14 |
| ტორესი (ატლეტიკო) | 11 |
| მისტა (ვალენსია) | 10 |
| რაული (რეალი) | 9 |
| სალვა (მალაგა) | 9 |

### XXI ტური

25 იანვარი

ალბასეტე — ატლეტიკო
ბილბაო — დეპორტივო
სელტა — სოსიედადი
ესპანიოლი — ბეტისი
რასინგი — მურსია
რეალი — ვილიარეალი
სევილია — ბარსელონა
ვალენსია — ოსასუნა
სარაგოსა — მალიორკა
მალაგა — ვალიადოლიდი

# ლიონმა მონპელიე აქენწლა

## საფრანგეთი

I დივიზიონი. XXI ტური

**ბასტია 0:0 მონაკო**

**ბორდო 2:0 გენგამი**

1:0 ფრანსია (16), 2:0 ფრანკო (84)

**ლილი 0:1 ტულუზი**

0:1 ფორი (36)

**ლიონი 3:0 მონპელიე**

1:0 დორასო (9), 2:0 ლუინდულა (35), 3:0 ვიალე (90)

**ნანტი 4:0 აიაჩო**

1:0 ვაირუა (10), 2:0 ბერსონი (14), 3:0 მოლდოვანი (53), 4:0 ნზიგუ (82)

**ნიცა 0:1 ლე მანი**

0:1 კუზინი (40)

**პსჟ 0:0 მეცი**

**რენი 4:0 სოშო**

1:0, 2:0 ა. ფრეი (39, 64), 3:0 ფლაჩეზი (71ს.კ.), 4:0 კალსტრიომი (85)

**სტრასბური 0:2 ოსერი**

0:1 კაპო (18), 0:2 ჯ. სისე (90)

**მარსელი — ლანსი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

გასული უქმეები მაჩანჩალებისთვის იღბლიანი გამოდგა. პარიზში ჩასულ მეცელთა მეკარე ლუდოვიკ ბუტელმა მატჩის განმავლობაში არაერთი ბურთი მოიგერია და დედაქალაქელებს გატანა არ დაანება. ბუტელის პარიზელი კოლეგა ჟერომ ალონზო პირველ ტაიმში დაშავდა. შესვენების შემდეგ იგი ლიონელ ლეტიზიმ შეცვალა, რომელსაც სტუმარი პაპე ტიავი შეხვედრის მიწურულს პირისპირ გადაეყარა, მაგრამ ფორვარდმა მომენტი ჩააფლავა.

პსჟ-ზე შეიძლება ითქვას, რომ მეორე წრე ზოზინით დაიწყო. წინა ტურში „ლილს" გაჭირვებით სძლია, ახლა „მეცს" ვერაფერი დააკლო.

სათასო მატჩში მეორედივიზიონელ „სენტ ეტიენთან" მარცხს „ნიცამ" ზედ მეორეც მიაყოლა. ლაჟვარდოვანი სანაპიროს გუნდმა ამჯერად ქვემოსართულელ „ლე მანთან" წააგო. მასპინძლებს მთავარმეგოლე ლილიან ლანსლანდი აკლდათ. მის ნაცვლად „მონაკოდან" გადაბარგებულმა იტალიელმა მარკო სიმონემ ითამაშა, მაგრამ უხეიროდ. სტუმართა გამარჯვების გოლი დანიელ კუზინმა მიითვალა. საჯარიმოში ჩაგდებულ ბურთს მან ფეხი გამეტებით და ზუსტად უთავაზა.

„ლე მანს" „ტულუზა" არ ჩამორჩა, რომელმაც ლილიდან სამი ქულა წაიღო. ტულუზელებმა წინა კვირაში „მარსელიდან" ლუსიო და კოსტა ფერნანდო ექვსი თვით ითხოვეს და ნახევადაცვა გააძლიერეს.

შეხვედრის დასაწყისშივე მასპინძელთა ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე კრისტოფ ლანდრინი დაშავდა და შეცვალეს. ლილელთა გეგმები აქიდან აირია და მატჩის ბოლომდე დალაგება არ ეწერა. სტუმარმა სედრიკ ფორიმ სწრაფი კონტრშეტევის შედეგად გაიტანა. დამხვდურთა უამრავი მცდელობის მიუხედავად, მეტოქეს ქულა ვერ გამოჰგლიჯეს.

რენში ოლივიე მონტერუბიო და ალექსანდრ ფრეიმ „სოშო" გაწეწეს. მონტერუბიოს პასებით ფრეიმ დუბლი მიითვალა. მერე სოშოელებს გრეგორი პეისლი გაუძევეს და კაცნაკლულებს მაქსენ ფლაჩეზმა ჭრილობაზე მარილი მოაყარა, როცა საკუთარ კარში ბურთი ჩაჭრა. სტუმართა რბევა „რენის" ყმაწვილმა შვედმა ლეგიონერმა კიმ კალსტრიომმა დაასრულა.

„ნანტმა" კორსიკელები არ დაინდო. „აიაჩოს" მეკარე სტეფან ტრევიზანმა ბერსონის დარტყმული მოიგერია, მარამა ვაირუამ დაამატა და ანგარიში მალევე გახსნა. ტრევიზანმა რამდენიმე წუთის შემდეგ ბერსონს პირველ ცდაზე კვლავ არ გაატანინა, მაგრამ მეორე ჯერზე კუნძულელთა მეკარე უძლური იყო.

მასპინძელთა მობერებულმა ფორვარდმა ვიორელ მოლდოვანმა გოლის გემო მეორე ტაიმში გაიხსენა, გაბონელმა შივა ნზიგუმ კი „აიაჩო" დაამათა.

სტუმრად „მონაკოსთან" (0:3) მარცხის შემდეგ „ლიონმა" ჯავრი „მონპელიეზე" იყარა. პირველი გოლი ერიკ კარიერისა და ვიკაშ დორასოს მოხდენილ ბურთაობას მოჰყვა. შემდეგ ანტონი რეველიერმა გაილალა და პეგი ლუინდულას ისეთი პასი გაუჩარხა, ფორვარდს გატანა არ გასჭირვებია, შეხვედრის მიწურულს კი შეცვლაზე ოთხი წუთის შესულმა ჟულიენ ვიალემ „მონპელიეს" მეკარე მესამე გოლით დაასაჩუქრა.

„ბორდოს" აღმასვლა აშკარაა. ახალ მწვრთნელ მიშელ პავონის ხელში ჟირონდელები მაღლა-მაღლა მიიწევენ და მორიგი გამარჯვებით ექვსეულში შეძვრნენ. არადა, შემოდგომაზე ცხრილის ქვემოუბნელებში ერივნენ. მასპინძლებს ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი (დარშევილი, ჩამახი, ფეინდუნო) აკლდათ, მაგრამ სათადარიგოებმა ივარგეს. ბრუნო ბასტომ პაბლო ფრანსიას და სილვენ ფრანკოს გამოზომილი პასებით თითო გოლი გაატანინა.



ვიორელ მოლდოვანმა გოლის გემო გაიხსენა

ლიდერმა „მონაკომ", ჟიულისა და პრსოს მცდელობის მიუხედავად, კორსიკაზე „ბასტია" ვერ გატეხა. მასპინძლებმაც ყოჩაღად ითამაშეს და ერთხელ სტუმართა მცველმა ბურთი კარის ხაზიდანაც კი გამოიტანა.

**ბაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 21 | 15 | 4 | 2 | 38:14 | 49 |
| პსჟ | 22 | 12 | 6 | 4 | 27:16 | 42 |
| ოსერი | 22 | 13 | 2 | 7 | 36:18 | 41 |
| ლიონი | 21 | 11 | 5 | 5 | 35:20 | 38 |
| სოშო | 21 | 10 | 6 | 5 | 29:22 | 36 |
| ბორდო | 21 | 10 | 5 | 6 | 24:18 | 35 |
| ნანტი | 22 | 9 | 5 | 8 | 23:18 | 32 |
| ნიცა | 21 | 7 | 10 | 4 | 18:16 | 31 |
| მარსელი | 19 | 10 | 0 | 9 | 24:21 | 30 |
| ლანსი | 21 | 9 | 3 | 9 | 16:28 | 30 |
| რენი | 22 | 6 | 8 | 8 | 24:23 | 26 |
| სტრასბური | 22 | 7 | 5 | 10 | 34:35 | 26 |
| აიაჩო | 22 | 7 | 4 | 11 | 21:30 | 25 |
| ბასტია | 22 | 6 | 6 | 10 | 23:32 | 24 |
| მეცი | 21 | 6 | 5 | 10 | 16:21 | 23 |
| ლილი | 22 | 5 | 7 | 10 | 21:27 | 22 |
| მონპელიე | 20 | 6 | 3 | 11 | 27:35 | 21 |
| ტულუზი | 22 | 5 | 6 | 11 | 18:30 | 21 |
| გენგამი | 22 | 6 | 3 | 13 | 22:36 | 21 |
| ლე მანი | 22 | 4 | 7 | 11 | 18:34 | 19 |

II დივიზიონი. XXI ტური

ბეზანსონი — ლავალი 2:2; ამიენი — გენიონი 1:0; კაენი — ისტრი 2:1; კრეტეი — ლე ავრი 2:3; ნანსი — შატორუ 2:0; რუანი — გრენობლი 0:2; სედანი — ანჟერი 1:0; ტრუა — კლერმონი 2:0; ვალანსი — ნიორი 1:1; ლორიანი — სენტ ეტიენი 2:0

## შოტლანდია

პრემიერლიგა. XX ტური

**რეინჯერსი 1:0 მოზერუელი**

1:0 არველაძე (82)

რეინჯერსი: შ. კლოსი, ხიზანიშვილი, ბერგი, მური, ვანოლი, ნამუში (მორის როსი 88), მალკოლმი (მოლსი 63), არტეტა (ნერლინგერი 59), ნუნუ კაპუშუ, არველაძე, ლოვენკრანდსი

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

გაფრთხილება: მური, არველაძე

მსაჯი: ტომსონი

48 925 მაყურებელი

**დანდი იუნ. 3:2 აბერდინი**

1:0 რობსონი (20), 1:1 ბუთი (55პ), 1:2 არჩიბალდი (65ს.კ.), 2:2 მილერი (85), 3:2 დოდსი (90პ)

**კილმარნოკი 1:1 დანფერმლაინი**

1:0 მაკსვიგანი (29პ), 1:1 კროუფორდი (63)

**ლივინგსტონი 1:0 ჰიბერნიანი**

1:0 მაკელი (26)

**პარტიკი 1:2 დანდი**

1:0 როუსონი (31), 1:1 ნოვო (85), 1:2 სმიტი (89)

**ჰართსი 0:1 სელტიკი**

0:1 ს. პეტროვი (27)

# მარშალს ბრილიანტი მიართვეს

„რთული მატჩი იყო, მაგრამ შოთას ბრილიანტმა გოლმა გამარჯვება მოგვიტანა" — განაცხადა ნამატჩევს „რეინჯერსის" მენეჯერმა ალექს მაკლიშმა.

„მოზერუელს" აქამდე სამი მატჩი არ წაეგო და „ჩაფრებს" 82 წუთიც გაუძალიანდა. თუმც ისიც სათქმელია, რომ „რეინჯერსი" ერთობ უღიმღამოდ თამაშობდა.

რეინჯერსელთაგან შეტევაში ოდენ არველაძე და ნუნუ კაპუშუ ყოჩაღობდნენ. კრეიგ მურსაც ჰქონდა შანსი, მაგრამ მიკელ არტეტას კუთხურს თავი ისე შეუშვირა, მიზანს ააცილა. შემდეგ შოთამ სცადა გატანა და სტუმართა მეკარე გორდონ მარშალი დაბალ ბურთზე მოხდენილად გაიშოტა. სხვა რამ საინტერესო არაფერი მომხდარა — 82-ე წუთამდე „რეინჯერსმა" ოდენ ეს შესძლო. გოლი კი ასე გავიდა — კაპუშუმ და არველაძემ ისე ლამაზად გაითამაშეს ბურთი, რომ „მოზერუელის" დაცვა დააშტერეს, შოთა ფაქტობრივად პირისპირ დარჩა მარშალთან და მინდორზე გართხმულ მეკარეს ოსტატურად გადაუგდო ბურთი შორეულ კუთხეში — მატჩის საუკეთესო მოთამაშედაც არველაძე დაასახელეს.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 20 | 19 | 1 | 0 | 63:7 | 58 |
| რეინჯერსი | 20 | 15 | 2 | 3 | 44:18 | 47 |
| ჰართსი | 20 | 10 | 3 | 7 | 28:24 | 33 |
| დანფერმლაინი | 20 | 8 | 7 | 5 | 26:28 | 31 |
| ლივინგსტონი | 20 | 6 | 8 | 6 | 22:22 | 26 |
| მოზერუელი | 20 | 6 | 6 | 8 | 20:23 | 24 |
| დანდი იუნ. | 20 | 6 | 5 | 9 | 21:34 | 23 |
| ჰიბერნიანი | 20 | 6 | 4 | 10 | 20:34 | 22 |
| დანდი | 20 | 5 | 6 | 9 | 23:28 | 21 |
| კილმარნოკი | 20 | 6 | 3 | 11 | 25:42 | 21 |
| აბერდინი | 20 | 5 | 4 | 11 | 25:37 | 19 |
| პარტიკ თისლი | 20 | 2 | 3 | 15 | 20:40 | 9 |

I დივიზიონი. XXI ტური

ბრეჩინი — სენტ მირენი 2:0; ფოლკირკი — როსი 2:0; ინვერნესი — ეარი 2:1; ქუინი — რეითი 1:1. კლაიდი — სენტ ჯონსტონი გადაიდო

II დივიზიონი. XIX ტური

ალოა — დამბარტონი 3:0; არბროთი — ბერვიკი 1:2; ისტ ფაიფი — სტენჰაუზმური 1:0. მორტონი — ერდრი და ჰამილტონი — ფორფარი გადაიდო

III დივიზიონი. XIX ტური

ელგინი — ისტ სტირლინგი 3:0; გრეტნა — ქუინზ პარკი 0:1; მონტროუზი — პიტერჰედი 2:1; სტირლინგი — ქოუდენბითი 1:1. ალბიონი — სტრანრარი გადაიდო

## პორტუგალია

სუპერლიგა. XVIII ტური

**ბეირა მარი 2:2 მარიტიმუ**

0:1 ვენო (31), 1:1 ზემანი (55), 1:2 ალანი (79), 2:2 ჟოაუ პაულუ (83)

**სპორტინგი 2:0 აკადემიკა**

1:0 ლიდსონი (41), 2:0 ბარბოსა (90)

**ბრაგა 0:3 პორტუ**

0:1 მანიშე (13), 0:2 მასიელი (21), 0:3 მაკკარტი (45)

**ალვერკა 0:0 ჟილ ვისენტე**

**ფერეირა 1:1 ნასიონალი**

0:1 ბაიანო (69), 1:1 ჟუნიორი (85პ)

**რიუ ავე 1:1 მორეირენსე**

1:0 ნიკინია (38), 1:1 მონტანინი (42)

**ბენფიკა — ბოავიშტა**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

**ამადორა — ბელენენსეში**

*დღეს გაიმართება*

**ლეირია — გიმარაეში**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 18 | 15 | 3 | 0 | 42:11 | 48 |
| სპორტინგი | 18 | 14 | 1 | 3 | 35:17 | 43 |
| ბენფიკა | 17 | 10 | 4 | 3 | 34:17 | 34 |
| ბრაგა | 18 | 10 | 3 | 5 | 20:19 | 33 |
| ბეირა მარი | 18 | 9 | 4 | 5 | 28:22 | 31 |
| მარიტიმუ | 18 | 7 | 8 | 3 | 20:17 | 29 |
| ბოავიშტა | 17 | 7 | 6 | 4 | 15:11 | 27 |
| ნასიონალი | 18 | 7 | 3 | 8 | 27:19 | 24 |
| ჟილ ვისენტე | 18 | 5 | 7 | 6 | 25:21 | 22 |
| რიუ ავე | 18 | 5 | 7 | 6 | 19:16 | 22 |
| მორეირენსე | 18 | 5 | 5 | 8 | 15:23 | 20 |
| ალვერკა | 18 | 5 | 3 | 10 | 18:24 | 18 |
| ბელენენსეში | 17 | 4 | 6 | 7 | 21:29 | 18 |
| ლეირია | 17 | 5 | 3 | 9 | 21:30 | 18 |
| აკადემიკა | 18 | 4 | 3 | 11 | 14:23 | 15 |
| გიმარაეში | 17 | 3 | 5 | 9 | 18:25 | 14 |
| ფერეირა | 18 | 4 | 2 | 12 | 10:28 | 14 |
| ამადორა | 17 | 3 | 1 | 13 | 12:42 | 10 |

## ბელგია

იუპილერლიგა. XVIII ტური

**გენკი 1:0 ბრიუგე**

1:0 ვანდენბერგი (85)

**სტანდარდი 3:3 მუსკრონი**

1:0 ე. მპენზა (11), 1:1 დიუგარდენი (47), 1:2, 1:3 პიერონი (50, 56), 2:3 ე. მპენზა (89), 3:3 ტურაჩი (90)

**გენტი 2:1 ბევერენი**

1:0 დე ბრული (29), 1:1 დევერი (32ს.კ.), 2:1 ზეზეტო (77)

**ლიერსი 1:1 შარლერუა**

1:0 დე ვილდე (30), 1:1 დუფერი (44)

**მონსი 3:0 ბეერსხოტი**

1:0 ნიემი (40), 2:0 ლა პლაჩა (66), 3:0 ნიემი (90)

**სენტ ტრუიდენი 1:2 ლოკერენი**

1:0 დე კუელარი (7), 1:1 დუშ სანტუში (19), 1:2 ტაილსონი (44)

**ანტვერპენი 0:2 ანდერლეხტი**

0:1 დინდანე (65), 0:2 იაშჩუკი (83)

**სერკლ ბრიუგე 2:3 ჰეუსდენი**

0:1, 0:2 ბარკა (30, 41), 1:2 ჟბარი (67), 2:2 ვლახოსი (80), 2:3 დე კონდე (84)

**ლუვიე — ვესტერლო**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 18 | 16 | 1 | 1 | 47:14 | 49 |
| სტანდარდი | 18 | 12 | 3 | 3 | 37:16 | 39 |
| გენკი | 18 | 10 | 4 | 4 | 36:21 | 34 |
| მუსკრონი | 18 | 8 | 7 | 3 | 35:22 | 31 |
| ბრიუგე | 18 | 8 | 4 | 6 | 32:23 | 28 |
| სენტ ტრუიდენი | 18 | 7 | 6 | 5 | 22:23 | 27 |
| გენტი | 18 | 6 | 8 | 4 | 21:16 | 26 |
| ბევერენი | 18 | 8 | 0 | 10 | 25:29 | 24 |
| ვესტერლო | 17 | 6 | 6 | 5 | 19:23 | 24 |
| ბეერსხოტი | 18 | 6 | 5 | 7 | 16:21 | 23 |
| ლუვიე | 17 | 4 | 8 | 5 | 21:22 | 20 |
| ლიერსი | 18 | 4 | 8 | 6 | 18:21 | 20 |
| სერკლი | 18 | 4 | 8 | 6 | 15:24 | 20 |
| მონსი | 18 | 3 | 7 | 8 | 17:27 | 16 |
| ლოკერენი | 18 | 4 | 4 | 10 | 20:31 | 16 |
| ჰეუსდენი | 18 | 4 | 4 | 10 | 17:30 | 16 |
| შარლერუა | 18 | 2 | 6 | 10 | 10:20 | 12 |
| ანტვერპენი | 18 | 3 | 3 | 12 | 12:37 | 12 |

II კლასი. XX ტური

ტუბიკე — ეუპენი 3:1; გეელი — ტინენი 1:0; ოსტენდე — დესელი 0:0; ბრიუსელი — რონსე 3:0; რუზელარე — დენდერლეუ 4:2; ვარეგემი — ვირტონი 1:0; ვიგორ ჰამე — პატრო 1:0; ვიზეტი — დაინცე 1:4; აალსტი — სპორტინგი 2:1

## მექსიკა

კლაუსურა. I ტური

ხაგუარესი — ტიგრესი 4:2; მონტერეი — კრუზ ასული 0:0; მორელია — ირაპუატო 1:1; სან ლუისი — ნეკაქსა 0:2; ატლასი — პუებლა 1:1. ამერიკა — უნამ, პაჩუკა — კერეტარო, ატლანტე — ტოლუკა, სანტოსი — გვადალახარა და ტეკოსი — ვერაკრუსი დილით გაიმართა

## ამხანაგური მატჩები

**ეგვიპტე 1:1 ბურკინა ფასო**

0:1 დაგანო (35), 1:1 ბელალი (53)

**სენეგალი 2:1 სამხრეთ აფრიკა**

0:1 ნომვეტე (14), 1:1 პ. მ. დიოპი (29), 2:1 მაბიზელა (85ს.კ.)

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

## საბერძნეთი

ეროვნული ლიგა. XVI ტური

ირაკლისი — კალითეა 2:0; ეგალეო — პაოკ 0:0; პანილიაკოსი — ხალკიდონა 0:2; პროდეფტიკი — არისი 0:0; იონიკოსი — აეკ 0:1; პანათინაიკოსი — ოფი 1:0; პანიონიოსი — ქსანთი 1:0; აკრატიტოსი — ოლიმპიაკოსი 0:5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 17 | 13 | 2 | 2 | 40:11 | 41 |
| პანათინაიკოსი | 17 | 12 | 4 | 1 | 32:11 | 40 |
| პაოკ | 17 | 11 | 3 | 3 | 27:14 | 36 |
| აეკ | 17 | 9 | 5 | 3 | 35:17 | 32 |
| ეგალეო | 17 | 9 | 5 | 3 | 21:12 | 32 |
| ირაკლისი | 17 | 7 | 5 | 5 | 24:19 | 26 |
| ხალკიდონა | 17 | 7 | 5 | 5 | 24:21 | 26 |
| პანიონიოსი | 17 | 6 | 7 | 4 | 24:18 | 25 |
| ოფი | 17 | 5 | 4 | 8 | 17:29 | 19 |
| იონიკოსი | 17 | 5 | 3 | 9 | 20:26 | 18 |
| არისი | 17 | 4 | 4 | 9 | 16:25 | 16 |
| ქსანთი | 17 | 4 | 4 | 9 | 15:24 | 16 |
| პანილიაკოსი | 17 | 3 | 6 | 8 | 23:31 | 15 |
| კალითეა | 17 | 1 | 8 | 8 | 20:27 | 11 |
| პროდეფტიკი | 17 | 1 | 7 | 9 | 10:27 | 10 |
| აკრატიტოსი | 17 | 1 | 4 | 12 | 14:50 | 7 |

## თურქეთი

სუპერლიგა
გადადებული მატჩი

**ფენერბაჰჩე 4:1 რიზე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 17 | 13 | 4 | 0 | 42:15 | 43 |
| ფენერბაჰჩე | 17 | 10 | 5 | 2 | 40:22 | 35 |
| ტრაბზონი | 17 | 9 | 4 | 4 | 26:20 | 31 |
| დენიზლი | 17 | 9 | 3 | 5 | 31:20 | 30 |
| გალათასარაი | 17 | 8 | 5 | 4 | 27:23 | 29 |
| მალათია | 17 | 7 | 6 | 4 | 27:19 | 27 |
| გენჩლერი | 17 | 8 | 2 | 7 | 31:20 | 26 |
| გაზიანთეფი | 17 | 8 | 2 | 7 | 23:22 | 26 |
| დიარბაქირი | 17 | 7 | 4 | 6 | 25:22 | 25 |
| სამსუნი | 17 | 6 | 5 | 6 | 25:28 | 23 |
| ისთანბული | 17 | 6 | 3 | 8 | 27:25 | 21 |
| ანკარაგიუჯიუ | 17 | 5 | 4 | 8 | 22:30 | 19 |
| კონია | 17 | 3 | 9 | 5 | 23:29 | 18 |
| რიზე | 17 | 5 | 3 | 9 | 16:27 | 18 |
| სებათი | 17 | 3 | 5 | 9 | 18:28 | 14 |
| ბურსა | 17 | 2 | 7 | 8 | 14:22 | 13 |
| ადანა | 17 | 3 | 2 | 12 | 15:37 | 11 |
| ელაზიგსფორი | 17 | 2 | 5 | 10 | 19:42 | 11 |

# 70 ათასი და ერთი ფეხბურთელი



უგო ლონგო

„ლაციოს" მორიგი ფინანსური პრობლემა უდგას... თუ ედგა, ეს ჯერ გასარკვევია, მაგრამ ერთი ფაქტია: კლუბის პრეზიდენტმა უგო ლონგომ ქომაგებს და ადგილობრივ წვრილ ბიზნესმენებს კლუბის გადარჩენაში შეტანილი წვლილისთვის დიდი მადლობა გადაუხადა.

დღეს აქ ბევრნი ვართ და სხვათაგან ერთსულოვნება გამოგვარჩევს — მიმართა ლონგომ სამასამდე შეკრებილს — დღეს ჩვენი კლუბის ისტორიაში გადამწყვეტი მომენტი დგას.

ამოცანა ფულის აკრეფა გახლავთ. კაპიტალი 131 მილიონი დოლარით უნდა შეივსოს, რათა „ლაციოს" საუკეთესო ფეხბურთელების გაყიდვა არ მოუხდეს და საამისოდ მეწილეებს წინ 60 დღე აქვთ. ერთი სიტყვით, „ლაციომ", „რეალის" და „მანჩესტერ იუნაიტედის" მსგავსად კლუბის აქციათა დიდი ნაწილის წვრილი მფლობელებისთვის მიყიდვით უნდა გადაირჩინოს თავი. საუბარია 70 ათას მეწილეზე.

ხოლო ფეხბურთელთაგან მეწილეთა შორის მოხვედრა მხოლოდ ბრაზილიელმა სეზარმა ინება და თავისი გუნდისთვის ჯიბიდან 720 ათასი დოლარი ამოიღო. სხვა ფეხბურთელი კლუბის ფულით გადამრჩენთა შორის არ შეუნიშნავთ.

„ხოლო მომავალში აშკარაა, რომ კლუბს ძირითადი მეწილე დასჭირდება. ამწუთას ასეთი არავინ ჩანს, მაგრამ უნდა გამოჩნდეს ვიღაც, ვინც დიდძალ თანხას გაიღებს" — თქვა ლონგომ.

შეგახსენებთ, რომ „ლაციოს" პრობლემა მისი ყოფილი მეპატრონის, სერჯო კრანიოტის კომპანიის, „ჩირიოს" გაკოტრებამ გამოიწვია.

**ბაპუნა ბედია**




„ლაციოს" აქციონერები კლუბის გადასარჩენად ფულს არ ინანებენ

*ამ იანვარში მატეო ფერარის შესაძლო ტრანსფერით „იუვენტუსსა" და „პარმას" შორის დიდი საქმიანი ურთიერთობა ინყება, ამტკიცებენ იტალიური გაზეთები*

# იმის კრიზისი ამის ლხენაა

## ახალგაზრდა და საიმედო ფერარია

ისინი წერენ, რომ „სტადიო ტარდინიზე" შექმნილი კრიზისით თავიდან ბოლომდე „ბებერი ქალბატონი" ისარგებლებს, რის დასტურიც თითქოსდა არსებული გეგმის მეორე ეტაპია — ზაფხულზე ტურინელები მარკო მარკონის, ალბერტო ჯილარდინოს და მცველს დანიელე ბონერას შეიძენენ. სამივე ჩამოთვლილი მოთამაშე იტალიის 21-წლამდელთა ნაკრების წევრია, თუმცა, როგორც მოგახსენეთ, ეს ამბავი ზაფხულზე მოკვარახჭინდება, მანამდე კი როგორც ერთ, ასევე მეორე გუნდს თავისი დღევანდელი პრობლემა აქვს მოსაგვარებელი. კერძოდ, თურმე „იუვე" საიმედო და ახალგაზრდა ცენტრალურ მცველს ეძებდა და პრესის თანახმად, ასეთად ხსენებული ფერარი მიუჩნევია. მასში ამ კლუბის ტრანსფერთა ხელმძღვანელი ლუჩანო მოჯი 3,84 მილიონ გირვანქას იხდის, თუმცა „პარმა" დაახლოებით ორჯერ მეტს ითხოვს და რით დასრულდება ეს საქმე, უცნობია.




მატეო ფერარი

ხოლო „პერუჯაში" გადასული თუ დაბრუნებული ფაბრიციო რავანელი (მშობლიური ქალაქის გუნდთან ექვსთვიან კონტრაქტს მოაწერა ხელი) საქალალდო გასაჭირშია და გუშინ „ანკონასთან" ამიტომ ვერ ითამაშა. კერძოდ, ტრანსფერი შოტლანდიიდან იტალიაში ხორციელდება და შესაბამისად, საერთაშორისოა. შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ კი საამისოდ რომელიღაც დამატებითი საბუთი ვეღარ შეადგინა, მაგრამ პირობას დებს, რომ ოთხშაბათისთვის, ანუ კოპა იტალიაზე „იუვენტუსთან" შეხვედრამდე შეადგენს. ასე და ამგვარად, „იუვეს" ყოფილი ვარსკვლავი იტალიაში „იუვესთან" შეხვედრით ბრუნდება. შეგახსენებთ, რომ რავანელიმ ბრიტანეთში სამი გუნდი, „მიდლსბრო", „დერბი ქაუნთი" და „დანდი" გამოიცვალა.

**ბაპუნა ბედია**

# დი ვაიომ ვაიო?



მარჩელო ლიპი




მარკო დი ვაიო

მარჩელო ლიპი სერია A-ს დღევანდელ მდგომარეობას რომ უყურებს, გული იმედით ევსება და „იუვენტუსის" ზედიზედ მესამე სკუდეტოზე ლაპარაკობს.

„გასული ორი სეზონი თუ გახსოვთ, პირველი წრის ჩემპიონები მაშინაც არ ვყოფილვართ, მაგრამ ორივეჯერ ჩვენ გვერგო სკუდეტო. ვიმედოვნებ, რომ ეს ტენდენცია გაგრძელდება" — ამბობს ტაქტიკოსი, რომელიც აღარ აკონკრეტებს, რომ შარშანაც და შარშანწინაც მისი გუნდი მეოთხე ადგილზე იყო.

თუმცა, ჟურნალისტებმა „იუვესთან" დაკავშირებით უფრო დიდი ყურადღება აი, რას მიაქციეს — წინა კვირაში, იტალიის თასზე „პერუჯასთან" შეხვედრაში მარკო დი ვაიომ გოლი გაიტანა და არ იზეიმა. ეს გოლის „არ ზეიმი" იტალიურ ფეხბურთში საგანგებო მოვლენად იქცა, გავიხსენოთ კრისტიან ვიერი და მისი პრობლემები „ინტერის" ქომაგებთან სწორედ ამ მიზეზის გამო. გარდა ამისა, „პერუჯასთან" თამაშის შემდეგ დი ვაიოს ჟურნალისტებისთვის უთქვამს, რომ ძირითად შემადგენლობაში იშვიათად მოხვედრამ იგი უკვე დაღალა და გაანაწყენა, რაც უცნაურია, ვინაიდან სწორედ იმ დღეებში „სარბიელში" მოვაქართულეთ იტალიელი ფორვარდის ერთ-ერთი ინტერვიუ, სადაც იგი ამბობდა, რომ სათადარიგოთა სკამზე ხშირ ჯდომას სრულიად მომზადებული და გაგებით ხვდება.

„ასეთი რამეები პრესაში ხდება გუნდებში კი არა — თქვა ლიპიმ — გავიგე დი ვაიოს ინტერვიუს ამბავი და გარწმუნებთ, მასში საგანგებო ვერაფერი აღმოვაჩინე. საგანგებო მხოლოდ ინტერპრეტაცია შეიძლება იყოს."

**ბაპუნა ბედია**

# ჟარდელის ახალი სერია

**სერია A-ს** აუტსაიდერმა „ანკონამ" გუნდის გაძლიერების მიზნით ინგლისური „ბოლტონისგან" ოდესღაც ცნობილი ბრაზილიელი მარიო ჟარდელი იყიდა. გეხსომებათ, ჟარდელი „პორტუს" შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგაში ბრწყინავდა, მაგრამ ცოლთან გაყრის შემდეგ სულიერად გატყდა. თურქეთსა და ინგლისში გატარებული ულიმღამო პერიოდების შემდეგ 30 წლის მოთამაშე აგერ იტალიის სერია A-ს მიადგა. „ანკონაში" ჟარდელი თავის საყვარელ 9-ნომრიან მაისურს ჩაიცვამს. ეს მაისურა აქამდე პაოლო პოჯის ეცვა, მაგრამ პოჯი „ვენეციას" დაუბრუნდა.

გარდა ჟარდელისა, „ანკონამ" იყიდა ლუიჯი სარტორი „რომადან" და სადაცაა „ბლექბერნ როვერსიდან" დინო ბაჯოს შეიძენს.



მარიო ჟარდელი

# რიოს აპელაცია

## ერიკსონი ფერდინანდის სასჯელის განახევრებას ითხოვს



*რვა თვით დისკვალიფიცირებული რიო ფერდინანდი აპელირებას გეგმავდა და წესით, იმ მომენტისთვის, როდესაც თქვენ ეს გაზეთი გადაშალეთ, მისი ოფიციალური საჩივარი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ოფისში, სოჰო სკვერზე, უკვე მაგიდაზე უნდა იდოს კიდეც.*

მოგეხსენებათ, „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ინგლისის ნაკრების განაპირა მცველი 23 სექტემბერს დოპინგ-ტესტზე არ მისვლისთვის დასაჯეს. თავად ფეხბურთელი აცხადებს, რომ მისი დანაშაული მხოლოდ გულმავიწყობით იყო განპირობებული და არა დოპინგის კვალის დამალვის სურვილით. ფერდინანდს მხარში უამრავი ხალხი უდგას და მათ შორისაა ინგლისის ნაკრების შვედი მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი.

ერიკსონს მანჩესტერელ მცველთან დაკავშირებით სხვა გეგმა და იმედი აქვს. კერძოდ, ფერდინანდმა და მისმა ადვოკატთა ჯგუფმა დისკვალიფიკაციის ვადის განახევრებასაც რომ მიაღწიონ, გამოვა, რომ ფეხბურთელისთვის ევრო 2004-ზე თამაში შესაძლებელი გახდება. საქმე ის გახლავთ, რომ მოთამაშის დისკვალიფიკაციის ვადის ათვლა ხვალიდან, 20 იანვრიდან იწყება და თუ სოჰო სკვერზე რვა თვე ოთხამდე შეამცირეს, იგი 20 მაისიდან თავისუფალი გამოვა. შეგახსენებთ, პორტუგალიაში ინგლისი პირველ თამაშს 13 ივნისს თამაშობს საფრანგეთთან.

მაგრამ, მედალს მეორე მხარეც აქვსო, ამბობენ ენამწარენი, მოგეხსენებათ, ფერდინანდისთვის შეეძლოთ ორწლიანი დისკვალიფიკაციაც მიესაჯათ და თუ საქმე თავიდან გაიჩიჩქნება, იქნებ მოსამართლეთა სამეულს გონება გადაუტრიალდეს და სწორედ ასე მოიქცესო. როგორც ჩანს, თუ ფერდინანდის ვექილები სოჰო სკვერს რაიმე ახალ საბუთს შესთავაზებენ, საქმის განხილვა თებერვლის შუაში დაინიშნება, ხოლო თუ უბრალოდ, ახალი საბუთის გარეშე სთხოვენ უკვე ცნობილი ფაქტების კიდევ ერთხელ შეჯერებას, მაშინ განხილვას ცოტა უფრო ადრე, დღეიდან ორ კვირაში უნდა ველოდოთ. მაგრამ ასეა თუ ისე ვერდიქტს ისევ სამეული გამოიტანს.

„ბოდიშს ვუხდი ყველა ჩემს მხარდამჭერს დოპინგ-ტესტი რომ გავაცდინე, მე რომ წამლებს, გნებავთ ნარკოტიკს და გნებავთ დოპინგს ვგმობ, იმთავითვე ნათლად განვაცხადე და ამ დაგმობას ჩემი დისკვალიფიკაციის ვადის განმავლობაშიც დაუღალავად განვაგრძობ. ვგრძნობ, რომ მართალი ვარ, ჩემი შეცდომის გამომწვევ მიზნებზე ნათლად ვისაუბრე და ამიტომ ასეთი სასჯელი არ მერგებოდა. მინდა რაც შეიძლება მალე დავუბრუნდე „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და ინგლისის ნაკრებს. ხოლო თუ ჩემი დასჯა საქმეს წაადგება, თანახმა ვარ ვიტანჯო. მინდა კიდევ ერთხელ ვუძღვნა მადლობა ხალხს, ვინც ამ თვეების მანძილზე მხარში დამიდგა“ — განაცხადა თავად ფერდინანდმა.

ფერდინანდის სურვილს გაასაჩივროს განაჩენი, მიესალმა ფეხბურთელთა კავშირის შეფი გორდონ ტეილორი. მან ბრძანა:

„ვგონებ ფერდინანდმა დაგვანახა, რომ დოპინგ-ტესტის არსებობა სრულიად გულწრფელად დაავიწყდა და ამიტომ მიგვაჩნია, რომ ზედმეტი სიმკაცრით არის დასჯილი. არიან მოთამაშეები, რომლებმაც დოპინგი მიიღეს და უფრო ნაკლებად დაისაჯნენ ვიდრე ფერდინანდი, რომელსაც დოპინგი არ მიუღია“.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ აღმასრულებელი შეფი დევიდ გილი: „ამ ისტორიამ ყველას უნდა გვასწავლოს ჭკუა. რიომ იცის, რომ სერიოზულად შეცდა, როდესაც ვერდიქტს ხელადვე დაემორჩილა მაშინ როდესაც მისი გასაჩივრება შეეძლო. ახლა, ყველაფრის ძირფესვიანად შესწავლის შემდეგ ჩვენ ვიცით, რომ აპელაციას სერიოზული უპირატესობა აქვს“.

**ბაჰუნა ძედია**

# არ ვიცი რა ვაკეთო

## ტრაპატონის ჩინოვნიკობა მოუნდა



**იტალიის** ნაკრების მწვრთნელი, ჯოვანი ტრაპატონი ამბობს, რომ ამა წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაში სურს მუშაობა. მოგეხსენებათ, 64 წლის დონ ტრაპს სკუადრა აძურასთან კონტრაქტი ევრო 2004-ის შემდეგ ეწურება. ამასთან მას ადრე ნათქვამი ჰქონდა, რომ ხელშეკრულების განახლების სისწორეში დარწმუნებული არ იყო.

შეგახსენებთ, რომ ბოლო ხანს ბევრს ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, თითქოს ტრაპატონის ლონდონის „ტოტენჰემ ჰოთსპურთან“ ჰქონდა საქმე მოგვარებული, მაგრამ მხცოვანმა სპეციალისტმა ის ჭორები უარყო.

„ყოველწლიურად, ერთსა და იმავე დროს, ჭორების ტყვეობაში ვექცევი ხოლმე — თქვა ჯოვანი ტრაპატონიმ — მაგრამ ეგ არაფერი. მე შემიძლია დაბეჯითებით გამოვაცხადო საკუთარი სურვილი: მსურს ევროპის ჩემპიონატის შემდეგ იტალიის ფეხბურთის ფედერაციაში ვიმუშავო, ოღონდ კონკრეტულად რა უნდა ვაკეთო არ ვიცი, ეს მოსაფიქრებელია“.

მოგეხსენებათ, ტრაპატონი იტალიის ყველაზე წარმატებული მწვრთნელია, ოღონდ საკლუბო დონეზე, სანაკრებო კი ჯერ არაფერი მოუგია.

**ბაჰუნა ძედია**

# მადრიდული დარი-დური

### ზღაპრები

თავისუფალ დროს რონალდო და ფიგუ რას აკეთებენ? ბრაზილიელი პორტუგალიელს ზღაპრებს უყვება... მილანის „ინტერზე“. „ინტერი“ გადასარევი გუნდია, მილანი ბრწყინვალე ქალაქიაო, უთქვამს რონალდოს ფიგუსთვის. ეს რომ ასეა, თავად პორტუგალიელმა უთხრა ერთ იტალიურ გაზეთს.

„ჯერ არ ვიცი, მომავალ სეზონს რომელ გუნდში დავიწყებ. „რეალთან“ კიდევ ორწლიანი კონტრაქტით ვარ შეკრული, მაგრამ თუ კლუბის უფროსობა ზაფხულში ჩემზე უარს იტყვის, შესაძლოა, სხვაგან გადავიდე“.

გარდა ამისა, ფიგუმ ევრო 2004-ზეც ილაპარაკა, პორტუგალიის ჩემპიონობის კარგი შანსი აქვს, ჩვენმა თაობამ თავისი სიტყვა უნდა თქვასო, ფავორიტად კი რეალელს საფრანგეთის ნაკრები მიაჩნია.

### ბექემური

„მანჩესტერ იუნაიტედიდან“ ნიკი ბათის წასვლის შემდეგ „ტოტენჰემმა“ და „ნიუკასლმა“ ფეხბურთელის გადაბირება მოიწადინეს. ბათს ჯერ არ გადაუწყვეტია, რომელი გუნდის მაისურაში ამოყოს თავი, თუმც დევიდ ბექემს ყოფილი თანაგუნდელის სასარგებლოდ ფლორენტინო პერესის გასაგონად უთქვამს, კარგი მოთამაშეა, ეგებ მადრიდში ჩამოვიყვანოთ, ძალიან წაგვადგებაო. საეჭვოა, ამ საქმიდან რამე გამოვიდეს, რადგან კარლუშ კეიროშს პრეზიდენტისთვის მოუხსენებია, იანვარში ახალი ფეხბურთელების დამატება საჭირო არ არისო.

დევიდ ბექემმა თურმე თავისი ფეხების ამბავი ინგლისურ ჟურნალთან გათქვა. მადრიდში ჩასვლამდე არ ვიცოდი, თურმე მარცხენა ფეხი მარჯვენაზე მოკლე მქონიაო, ოღონდ ის კი აღარ დააზუსტა, სხვაობა რამდენი სანტიმეტრია. ალბათ ამიტომაც ურტყამს კარგად საჯარიმოებს, მოკლე ფეხის მხრიდან რომ ჩაუწვება ხოლმე...

### ბანკეტი

ესპანეთსა და ჩინეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30 წლისთავისადმი გაშლილ სუფრაზე (ჩინეთის საელჩოში) ფლორენტინო პერესი მიბრძანებულა. პერესს ჰკითხეს, მომავალ ზაფხულს აზიაში ტურნეს ისევ თუ გეგმავთო, რაზეც პრეზიდენტმა მიუგო, დიდი სიამოვნებით დავბრუნდები ჩინეთშიო. საკითხავი ისაა, რომელ ახალ ვარსკვლავით გამდიდრდება ზაფხულში „რეალი“ და ვისი მაისურები გაიყიდება ჩინეთში.



იპოვეთ განსხვავება



რონალდო ძილის წინ თანაგუნდელებს ზღაპრებს უყვება



*„ბარსა“ — „ბილბაოს“ მე-20 ტურის შეხვედრა 1:1 დასრულდა. „კამპ ნოუს“ მარად ოპტიმისტი ინჩადა ამ თამაშის დაწყების წინ, რა თქმა უნდა, საყვარელი გუნდის ძლევამოსილ გამარჯვებას ვარაუდობდა, მაგრამ ბასკმა სტუმრებმა პრიმერადივიზიონის გრანდთან თავი არ შეირცხვინეს. მათი სახიფათო იერიშები კი ალბერტ ხორკერამ, კატალონიელთა სათადარიგო მეკარემ საიმედოდ უკუაგდო. ახალბედა გოლკიპერს იქაური „ლიბრედირექტო“ გაესაუბრა*

# ხორკერას ერა

— კმაყოფილი ხართ თქვენი დებიუტით?

— დიახ, ძალიან კმაყოფილი ვარ. მართალია, უფრო მეტად გავიხარებდი, ეს მატჩი რომ მოგვეგო, მაგრამ... საერთო ჯამში მანიც კარგად ვითამაშეთ.

— რა გაიფიქრეთ, როდესაც გითხრეს, რომ მოედანზე გამოსვლა მოგიწევდათ?

— გადამეტებულადაც არ მინერვიულია. ყოველ ფეხბურთელს უნდა მიეცეს ძირითადში თავის გამოჩენის შესაძლებლობა.

— „კამპ ნოუს“ შეხვედრის პირველ წუთებში მართლაც დამაჯერებლად იცავდით „ბარსას“ კარებს. სასიამოვნოა, რომ ამ საბრძოლო განწყობის შენარჩუნება მთელი 90 წუთი მოახერხეთ...

— გმადლობთ. შესაძლოა მატჩის, დასაწყისის რამდენიმე ეპიზოდმა თამაშის ბედი გადაწყვიტოს. ამ დროს თუ მხნეობა დაკარგე, მატჩს სრულად ჩააგდებ. მით უმეტეს, როცა მეკარე ხარ, შენი პასუხისმგებლობა ერთიორად იზრდება და შესაბამისად, სხვაზე მეტად გმართებს მოედანზე მიმდინარე მოვლენებიდან არაფერი გამოგეპაროს.

— „ბარსელონას“ ძირითადში მოხვედრა ალბათ თქვენი დიდი ხნის ოცნებაა...

— ეიფორიაში ვიყავი, მაგრამ როგორც უკვე ვთქვი, მიუხედავად სიტუაციის სირთულისა, ზედმეტად არ ვღელავდი. ჯადოსნური „კამპ ნოუ“, ათეულ ათასობით ინჩასი, სადებიუტო შეხვედრა... მადლობა ღმერთს, რომ ბრწყინვალე ოცნება ჩემს კარში გაშვებული ბურთებით არ გავაცუდე.

— მოწინააღმდეგის შესახებ რას გვეტყოდით?

— მებრძოლი გუნდია. პირველიდან ბოლო წუთამდე მთელი სულით და გულით ომობენ, რამაც აზეირათ კიდეც — მეორე ტაიმის მიწურულს ჩვენების შეცდომით ისარგებლეს და თამაში გაათანაბრეს.

— „ბარსას“ მეორე გოლკიპერი, გამოცდილი რუშთუ თუ გეხმარებათ მეკარის ოსტატობის დახვეწაში?

— რუშთუ შესანიშნავი პიროვნებაა და თავისი საქმის მცოდნე დიდი პროფესიონალი. კარგი ურთიერთობა გვაქვს, ბევრ სასარგებლო რჩევას მაძლევს ხოლმე.

— მომავალშიც „ბარსელონაში“ დარჩენას აპირებთ?

— მართალი გითხრათ, ჯერ სხვა კლუბში სერიოზულ კარიერის დაწყებაზე არც მიფიქრია. სათადარიგოდ ყოფნა იმას არ ნიშნავს, რომ ხვალინდელ დღეზე ხელი საბოლოოდ ჩაიქნიო. ადრე თუ გვიან სიტუაცია აუცილებლად გამოსწორდება და ამიტომაც არ მსურს, „კამპ ნოუს“ ნაჩქარევად გამოვემშვიდობო.

# თქვენ რაღაც გეშლებათ

## ონილმა ულიეს დააფ[illegible]ინა

„ლივერპულის“ ჯაგლაგობით გატანჯული ფანები ჟერარ ულიეს გათავისუფლებას შემოდგომიდან ითხოვენ. ამ საქმეში, ცხადია, პრესაც არის გარეული და ჟურნალისტები ფრანგს მალიმალ უჩხიკინებენ, ეგებ მწვრთნელის სკამიდან როგორმე წამოვაგდოთო.

ისინი ულიეს სავარაუდო შემცვლელსაც ასახელებდნენ. „ლივერპულის“ მომავალ თავკაცად მარტინ ონილი მონათლეს, მაგრამ...

გაზეთებში ონილის გვარის ხშირხშირად კითხვამ ფრანგს ეჭვიანობის სენი შეჰყარა. „მარტინს პრესაში ალბათ კარგი მეგობრები ჰყავს“ — თქვა მოხსნის შიშით შეპყრობილმა.

ირლანდიელმა ეს შეურაცხყოფად მიიღო, ულიეს დაურეკა და უთხრა: „არანაირ მოლაპარაკებას, მით უმეტეს, თქვენს ზურგს უკან, „ლივერპულის“ ბოსებთან არ ვაწარმოებ და მათთან რაიმე კონტაქტი არ მქონია“.

მარტინ ონილმა მედიასთან საუბარში დასძინა: „ფრანგთან ბოდიშის მოსახდელად არ დამირეკავს, რადგან საბოდიშო არაფერი მქონდა. ისიც ავუხსენი, რომ ჩემი აგენტის ლივერპულელებთან შეხვედრის ამბავი მონაჩმახია. ეს აბსურდია, მე ხომ აგენტი არ მყავს!“

გარჩევის შემდეგ ჟერარ ულიემ განაცხადა: „ვწუხვარ, რომ ჩემი ნათქვამით მარტინს ვაწყენინე, მაგრამ ჩვენ ვისაუბრეთ და წყენა წარსულს ჩავაბარეთ“.

**ვაჟა ხუციშვილი**



ჟერარ ულიე



მარტინ ონილი

# არ შემადაროთ რონალდოს

**38 წლის** შფოთისთავი და ბრწყინვალე წარსულის მქონე თავდამსხმელი, რომარიო დე სოუზა ფარია მსოფლიო ფეხბურთის გამობრძმედილი ექსპერტი გახლავთ. პოპულარული ვეტერანი ხშირად ჩნდება სამხრეთამერიკული თუ ევროპული პრესის ფურცლებზე და მისი დასკვნა-განცხადებანიც ისეთივე ბასრია, როგორიც თავად რომარიო იყო დიდების ჟამს. ამას წინათ მობერებულ ვარსკვლავს ბრაზილიური VEJA ესაუბრა. ინტერვიუში 1994 წლის მუნდიალის გამარჯვებულმა ოდინდელი სანაკრებო პარტნიორი, რონალდო გააკრიტიკა. „არ ვიცი, რატომ თვლიან რონალდოს ფენომენად, ალბათ ისევ გოლთა სიმრავლის გამო. ჩემი აზრით კი, მან ამ ტიტულის დამსახურებისთვის ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთოს. თავად რონის საწინააღმდეგო პიროვნულად არაფერი მაქვს, მაგრამ ნამდვილად ცდებიან, როცა ცდილობენ, ჩვენ ერთმანეთთან შეგვადარონ“— დაასკვნა პირდაპირმა „რომიმ“. ბუნებრივია, VEJA-მ ამ განქიქების მერე უმალ ჰკითხა, ბოლო ათწლეულის საუკეთესო ფეხბურთელად ვის მიიჩნევთო. „რონალდინიოს. იგი



ყველასგან გამოირჩევა. საოცარი სისწრაფე, კარგი პასი, მოედნის უბადლო ხედვა... ერთი სიტყვით, ათწლეულის საუკეთესო ფეხბურთელი რონალდინიოა“ — ექსბარსელონელმა „ბრილიანტის გაუჩოსადმი“ განსხვავებული სიმპათიები გამოამჟღავნა.

რაც შეეხება პირადულ გეგმებს, რომარიომ მომავალში სამწვრთნელო კარიერა გადაჭრით უარყო: „გაგიჟდით? მერე ვინმე ჩემნაირი შეგირდი რომ შემხვდეს? წარმომიდგენია, რა ჯოჯოხეთიც იქნება. არა, ბატონო, მწვრთნელობა სხვა, გაცილებით უფრო მტკიცე ხასიათის ბიჭებისთვის მიჩუქნია. ამ საქმეს არავითარ შემთხვევაში ხელს არ მოვკიდებ“.

ჭირვეული ოკეანისგაღმელი სიმართლესთან ახლოსაა, რაც მან სხვადასხვა შლეგური ორგიებით, გემრიელ „ღამის პეპლებთან“ ბუღრაობით თუ სავარჯიშო მოედანზე სკანდალური საქციელით მწვრთნელებს დღე აყარა, იგივეს საკუთარ თავზე გამოცდა, რა თქმა უნდა, გულზე არ ეხატება. ბოჰემური მიდრეკილებებიც არ დაუმალავს: „წვრთნა-ვარჯიშებისადმი გადამეტებული ტრფიალით თავს ვერ მოვიწონებ. ეგებ ამით ახალგაზრდა თაობას ცუდ მაგალითს ვაძლევ, მაგრამ ფაქტია — ღამის ბარებს გაცილებით მეტად ვაფასებდი, ვიდრე მწვანე მინდორზე მომქანცველ სამუშაოს“.

მისი ოცნება 1000-გოლიანი მარაგით მსოფლიო ფეხბურთთან ღირსეული დამშვიდობებაა. „ჯერჯერობით 890 გავიტანე და მინდა, 1000-ზე ავიდე. იმედია, ამას მოვახერხებ. ცხადია, ვხვდები, რომ ჩემი საუკეთესო წლები წარსულს ჩაბარდა და ახლა მოედანზე ინჩასების ძველებურად გიჟური ფინტებით გადარევაზე აღარ ვფიქრობ. არც ნაკრებში თამაშს მივტირი. ერთი მიზანილა მამოძრავებს — მოწინააღმდეგის კარის ბადეში ბურთი შევაგორო.“ ბომბარდირის სიამაყით ამბობს ძველჩაუქი მსოფლიოს ჩემპიონი.

**ლადო ხომერიკი**

## მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

### ევროპა. I ჯგუფის კალენდარი

*ჩეხეთი, ჰოლანდია, რუმინეთი, ფინეთი, მაკედონია, სომხეთი, ანდორა*

**2004**

**18 აგვისტო**
მაკედონია — სომხეთი
რუმინეთი — ფინეთი

**4 სექტემბერი**
ფინეთი — ანდორა
ჰოლანდია — ჩეხეთი
რუმინეთი — მაკედონია

**8 სექტემბერი**
სომხეთი — ფინეთი
ანდორა — რუმინეთი

**9 ოქტომბერი**
ჩეხეთი — რუმინეთი
ფინეთი — სომხეთი
მაკედონია — ჰოლანდია

**13 ოქტომბერი**
ანდორა — მაკედონია
სომხეთი — ჩეხეთი
ჰოლანდია — ფინეთი

**17 ნოემბერი**
ანდორა — ჰოლანდია
სომხეთი — რუმინეთი
მაკედონია — ჩეხეთი

**2005**

**9 თებერვალი**
მაკედონია — ანდორა

**26 მარტი**
სომხეთი — ანდორა
ჩეხეთი — ფინეთი
რუმინეთი — ჰოლანდია

**30 მარტი**
ანდორა — ჩეხეთი
ჰოლანდია — სომხეთი
მაკედონია — რუმინეთი

**4 ივნისი**
სომხეთი — მაკედონია
ჩეხეთი — ანდორა
ჰოლანდია — რუმინეთი

**8 ივნისი**
ჩეხეთი — მაკედონია
ფინეთი — ჰოლანდია
რუმინეთი — სომხეთი

**17 აგვისტო**
მაკედონია — ფინეთი
რუმინეთი — ანდორა

**3 სექტემბერი**
ანდორა — ფინეთი
სომხეთი — ჰოლანდია
რუმინეთი — ჩეხეთი

**7 სექტემბერი**
ჩეხეთი — სომხეთი
ფინეთი — მაკედონია
ჰოლანდია — ანდორა

**8 ოქტომბერი**
ჩეხეთი — ჰოლანდია
ფინეთი — რუმინეთი

**12 ოქტომბერი**
ფინეთი — ჩეხეთი
ჰოლანდია — მაკედონია
ანდორა — სომხეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვაჟების ბადე

1/32 — 1/16 — 1/8 — 1/4 — 1/2

- როდიკი (1) — გონსალესი
- ულირაჰი — ბურგსმიულერი
- ლაბაძე — ჩელა
- ვერდასკო — დენტი (27)
- ელ აინაუი (18) — ბლანკო
- მელცერი — ბერენდი
- ფერერი — შიულერი
- კარლსენი — შალკენი (16)
- მასუ (12) — ნიემინენი
- საფინი — ვაალი
- დიუპუი — ტ. მარტინი
- კარლოვიჩი — ფიში (21)
- კლემანი (30) — დავიდენკო
- პასეანსი — ანდრეევი
- ერნანდესი — ლაპენტი
- ბლეიკი — მოია (7)
- აგასი (4) — ლარქემი
- მაჰუ — ბერდიჩი
- ბეკი — კუბეკი
- ენკვისტი — სპედია (29)
- კუერტენი (19) — ვან ლოტუმი
- ტურსუნოვი — ლიუბიჩიჩი
- გოლმარდი — პორტასი
- აკასუსო — შრიჩაფანი (13)
- გროსჟანი (9) — იუჟნი
- გემბილი — კარა
- ჰრბატი — სარეტა
- გაუდიო — რობრედო (20)
- ჯინეპრი (32) — ჰორნა
- გუჩიონე — ჯონსი
- ესკუდი — ლი
- სოდერლინგი — შიუტლერი (6)
- კორეა — სოლნიე
- მუტუ — არაზი
- ართურსი — კარანუშიჩი
- რუზეცკი — კოსტა (26)
- ფერკერკი (17) — კორეჩა
- სლოიტერი — ანჩიჩი
- სანტორო — ლუშაკი
- იოჰანსონი — ფილიპუსისი (10)
- ნოვაკი (14) — ო. როჰუსი
- რამირეს იდალგო — ვაჩეკი
- სალზენშტეინი — ვეინერი
- პაველი — მირნი (24)
- ლოპესი (28) — ა. მარტინი
- ი. იოჰანსონი — პოპი
- კიფერი — ვოლანდრი
- მონტანესი — ფერერო (3)
- ნალბანდიანი (8) — მელო
- მაიერი — გასკე
- სანჩესი — მუდი
- ჰანესკუ — ფერეირა (31)
- კალერი (22) — კ როჰუსი
- კანასი — დე შონა
- სანგუინეტი — სტეფანეკი
- ლისნარი — ჰენმანი (11)
- ჰიუიტი (15) — მამიტი
- მალისი — კუჩერა
- ნადალი — ტაბარა
- ასიონი — მანტია (23)
- ბიორკმანი (25) — სარგსიანი
- კუტსენკო — რეიდი
- მორისონი — ფან შეპინგენი
- ბოგომოლოვი — ფედერერი (2)

## ავსტრალიის ღია პირველობა 2004



ანდრე აგასი, როგორც ყოველთვის, ყოჩაღად ეგებება სეზონის დასაწყისს

# აგასიმ თითები გაატკაცუნა, როდიკმა კბილები გააკრაჭუნა

**ენდი როდიკს** აქვს ილაჯი, ლეიტონ ჰიუიტს ჯიგარი, როჯერ ფედერერს კი თითქმის ზებუნებრივი სინატიფე და მრავალფეროვნება.

მაგრამ ავსტრალიის ამ ღია პირველობას კვლავაც ყველაზე ყუმბარფორმაში ხვდება ტურნირის შარშანდელი და კიდევ სამგზის ჩემპიონი ანდრე აგასი.

მაშინ, როცა მისი ჭაბუკი მოცილენი ამ ადრესეზონისას ოდნავ მოჟანგულად გამოიყურებიან, შებერებულ არმენოამერიკელს კოოიონგის ტურნირზევე დაეტყო, მთელი არდადეგები შინ წვრთნასა და ალჭურვაში რომ გაუტარებია.

„ახალი სეზონის შეხვედრა უკვე მეთვრამეტედ მიხდება და მგონი უკვე კარგად ვისწავლე, თუ როგორ უნდა ავკრიფო საუკეთესო ფორმა პირველივე ტურნირისთვის“ — ამბობს ის.

და მისი ჩაუქი, მისხალ-მისხალ აწონილი კოოიონგური ჩოგნაობა ამის საუცხოო დადასტურება იყო.

როგორც ერთი ჩვენი დასავლელი კოლეგა წერს, მელბურნ პარკზე ამ 33 წლის მეოჯახე, ორშვილიანი კაცის გასაჩერებლად ყმაწვილთა თაობას რაღაც განსაკუთრებულის გამოყენება დასჭირდება.

უიმბლდონის შარშანდელმა ჩემპიონმა ფედერერმა ხუთშაბათს, აგასისთან კოოინგობაზე პაექრობისას ასეთი „განსაკუთრებული“ ვერაფერი მოიძია და 2:6, 4:6 დამარცხდა.

„ჩემი თამაშით კმაყოფილი ნაღდად არა ვარ — გულახდილად ამბობდა იმ მატჩის შემდეგ შვეიცარიელი — იმედი მაქვს, რომ მელბურნამდე დარჩენილ რამდენიმე დღეს ბოლომდე გამოვიყენებ და ხარვეზებს აღმოვფხვრი.“

იმას, რომ ფედერერი უფრო მრავალფეროვანი მეჩოგნეა და არსენალში მასზე მეტ დარტყმას მოიძევს, ამქრის ამჟამინდელი პირველოსანი ენდი როდიკიც აღიარებს. მაგრამ ენდიბოის თავისი უმძლავრესი მოწოდების იმედი აქვს და სამართლიანად ფიქრობს, რომ ეს მოწოდება ზედგამოჭრილია მელბურნული მაგარსაფრისთვის.

მის იმედებს შარშანდელი მოგონებებიც ამძაფრებს — ალბათ გეხსომებათ, რომ სამპრას-აგასიანთა დიადი თაობის მემკვიდრემ მაშინ იუნეს ელ აინაუისთან გადატანილი ხუთსეტიანი ბლოკბასტერის შემდეგ ნახევარფინალში გააღწია და ხელნატკენმა იქ ნერვების მომშლელად მშვიდ რაინერ შუტლერთან დათმო.

ასე რომ როდიკს მელბურნული ბრძოლების გემო უკვე გასინჯული აქვს და წლეულს ამის კვლავ საგემებლად კიდევ უფრო დაგეშილია.

„იცით ეს რა გრძნობაა — მსჯელობს ენდი — როცა მაგარი მშიერი ხარ, რაღაც ახალ სენდვიჩს ყუას მოაკბეჩ და უმალვე იმის სურვილი გიჩნდება, დარჩენილ ნაწილსაც უმალ გაუგო გემო... აი, ახლა ეგეთ დღეში ვარ და მიფრთხილდით!“

სარეიტინგსიო ჩამონათვალში აგასიზე წინ დგას და მხოლოდ როდიკსა და ფედერერს ჩამორჩება ხუან კარლოს ფერერო, ვინაც მის წინმდგომთა დარად კარიერის პირველი სლემტიტული გასულ სეზონში მოიპოვა.

მაგრამ წინასამელბურნო განწყობა მას სიდნეობის პირველსავე წრეში, 18 წლის ავსტრალიელ ქრის გუჩონესთან გამოვარდნამ წაუმურდლა და მთელი გასული კვირის განმავლობაში კოლობიჭს თავის ფინაჩ ფორმაზე მუშაობა ტურნირის მიღმა, სავარჯიშო კორტებზე უწევდა.

„ცხადია, უკეთესი იქნებოდა, სათამაშო რიტმისთვის მატჩების მსვლელობისას მიმეგნო, მაგრამ რა გაეწყობა“ — ამბობდა ფერერო.

მისგან განსხვავებით მშობლიური სლემტურნირის დაწყებას კარიერის მეოცე ტიტულითა და მისთვის ჩვეული კისკასი ჩოგნაობით ხვდება ოდენ მე-15 ნომრად განთესილი ლეიტონ ჰიუიტი.

„ჯერ-ჯერობით ყველაფერი კაცურადაა — თქვა მან გუშინწინ კარლოს მოიასთან მოგებული ფინალის შემდეგ — ეგ იმას არ ნიშნავს, რომ მელბურნშიც ყველაფერი ეგრე ალჩუზე დაჯდება, მაგრამ დიდი ტურნირის კარგი განწყობით დაწყება მაინც დიდი ამბავია.“

ჩვენ კი წერტილს აქ კიდევ უფრო დიდი ამბების მოლოდინში ვსვამთ.



არც ენდი როდიკი უჩივის უფორმობას

## ყველა ჩემპიონი 1960 წლიდან

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1960 | როდ ლეივერი | 1975 | ჯონ ნიუკომბი | 1989 | ივან ლენდლი |
| 1961 | როი ემერსონი | 1976 | მარკ ედმონდსონი | 1990 | ივან ლენდლი |
| 1962 | როდ ლეივერი | 1977(იანვარი) | როსკო ტანერი | 1991 | ბორის ბეკერი |
| 1963 | როი ემერსონი | 1977(დეკემბერი) | ვიტას გერულაიტისი | 1992 | ჯიმ კურიე |
| 1964 | როი ემერსონი | 1978 | გილერმო ვილასი | 1993 | ჯიმ კურიე |
| 1965 | როი ემერსონი | 1979 | გილერმო ვილასი | 1994 | პიტ სამპრასი |
| 1966 | როი ემერსონი | 1980 | ბრაიან თიჩერი | 1995 | ანდრე აგასი |
| 1967 | როი ემერსონი | 1981 | იოჰან კრიკი | 1996 | ბორის ბეკერი |
| 1968 | ბილ ბოური | 1982 | იოჰან კრიკი | 1997 | პიტ სამპრასი |
| 1969 | როდ ლეივერი | 1983 | მათს ვილანდერი | 1998 | პეტერ კორდა |
| 1970 | არტურ ეში | 1984 | მათს ვილანდერი | 1999 | ევგენი კაფელნიკოვი |
| 1971 | კენ როუზუოლი | 1985 | სტეფან ედბერგი | 2000 | ანდრე აგასი |
| 1972 | კენ როუზუოლი | 1986 | არ ჩატარებულა | 2001 | ანდრე აგასი |
| 1973 | ჯონ ნიუკომბი | 1987 | სტეფან ედბერგი | 2002 | ტომას იოჰანსონი |
| 1974 | ჯიმი კონორსი | 1988 | მათს ვილანდერი | 2003 | ანდრე აგასი |

## ავსტრალიის ღია პირველობა 2004

# ამჟარს ქალები მოაკლდნენ, იმ ქალს ხორცი და შანსი მოემატა

ტრავმიანობის გამო ქალთა წლევანდელი საავსტრალიო კრებული უჩვეულოდ სახელნაკლული და სუსტია.

მარტო ის ამბავი რად ღირს, რომ სხეულის ამა თუ იმ დაზიანებულმა ნაწილმა წლის პირველ სლემტურნირზე გამოსვლის საშუალება ერთბაშად ოთხ ჩემპიონს — სერენა უილიამსს, ჯენიფერ კაპრიატის, მონიკა სელეშსა და მარი პირსს არ მისცა.

უკანასკნელი შვიდი სლემტურნირიდან ხუთის მომგებ სერენას ჯერაც არ მოჰკეთებია შარშანდელი უიმბლდონიდან მტკივანი მუხლი, რაიც მოგვიანებით დასტაქართა მიერ გასაკვეთიც შეიქნა.

კაპრიატის ზურგის პრობლემები აქვს, პირსი მოუმზადებლობას იმიზეზებს, ხოლო სელეშმა ჯერ კიდევ შარშან განაცხადა, რომ მელბურნში ვერ ჩავიდოდა.

ისევ უარზეა ოდესღაც ავსტრალიის მოქალაქე და ოზეთის სახელით მოჩოგნავე აწ კი სერბი ელენა დოკიჩიც. დოკიჩი იქით იყოს, ბოლომდე ისიც არ არის გარკვეული, სრული ძალით ითამაშებს თუ არა მსოფლიოს მეორმეჩოგნე კიმ კლაისტერსი, ვინაც ათიოდ დღის წინ კოჭის სერიოზული ტრავმა მიიღო.

ასეთ ვითარებაში ტურნირის უცილობელ ფავორიტად ამქრის პირველოსანი და ეს-ესაა სიდნეობის მომგები ჟუსტინ ენენ-არდენი მიიჩნევა.

ჭინკა ჟუსტინი საავსტრალიოდ ფლორიდაში ემზადებოდა. მისი უმთავრესი წინასასეზონო ამოცანა ის იყო, სიფრიფანა ტანზე მეტი დაკუნთული ხორცი აესხა და ჯანიან გოგონებთან ხანგრძლივი განდაგანებისთვის გამოწრთობილიყო.

თუკი მისი სიდნეური გარჯით ვიმსჯელებთ, ფლორიდულ წრვთნას უკვალოდ არ ჩაუვლია.

შარშან ორი სლემტურნირის მოხვეჭამ და რეიტინგსიის სათავემდე აღზევებამ ჟუსტინს უდიდესი თვითრწმენა შესძინა.

„მე ახლა ყველაფრის მოგება შემიძლია“ — ამბობს იგი და მისთვის საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად მელბურნში მოქუჩებულ გოგონებს დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ.

ამის გაკეთებას კი უწინარესად ალბათ ვინუს უილიამსი და ლინდსი დევენპორტი შეეცდებიან.

ვინუსმა რაგინდარა სლემტიტული ბოლოჯერ 2001 წელს ნიუ იორკში იშოვა. მას შემდეგ ის თავისი უმცროსი დის ჩრდილქვეშ მოექცა და მხოლოდ უილბლო ფინალისტობას სჯერდებოდა. ამ ჯერზე სერენა შინაა და ვინუსსაც თითქოს მოხსნილი უნდა ჰქონდეს დედმამიშვილის „კომპლექსი“.

რაც შეეხება ლინდსის, ის ახლა ჩინებულ ფორმაშია და რომ არა წინა კვირაში სიდნეობაზე ნატკენი მარჯვენა მხარი, ეგებ ჟუსტინის თანაბარ ფავორიტადაც შეგვერაცხა.

თუმცა ასეა თუ ისე, თავად ლინდსი მაინც კარგ ხასიათზეა და იმედოვნებს, რომ ბევრი წამყვანი კოლეგის არყოფნა ერთიორად ზრდის მის შანსებს.

„ოღონდ ისიც უნდა ითქვას — ამბობს ლინდსი — რომ ამ გოგონების გარეშე ტურნირი თავის მიმზიდველობას დაკარგავს და აღარც ისეთი დაძაბული იქნება.“

**ლევან ძელაურაძე**



ჟუსტინ ენენ-არდენი ნახტომისთვის ემზადება



REUTERS მელბურნიდან

სერენას გარეშე დარჩენილ ვინუს უილიამსს დედა ორასინი უქომაგებს

## ქალების ბადე

ეროვნული ბიბლიოთეკა

1/32 — 1/16 — 1/8 — 1/4 — 1/2

- ენენ (1) — ლუკაშევიჩი
- ჰინი — გარბინი
- პენეტა — ან. სერა ძანეტი
- პერი — კუზნეცოვა (30)
- დანილიდუ (19) — ჰოპკინსი
- კალენსი — ბლეკი
- ერნანდესი — შეტი
- სანტანჯელო — სერნა (16)
- ზვონარიოვა (11) — ონდრაშკოვა
- ჩინკი — ვენტო-კაბჩი
- მორიგამი — პელეტიე
- პრატი — შონეზი (17)
- ტანასუგარნი (31) — გრანვილი
- დომინიკოვიჩი — მუსგრეივი
- ლუა — მარერო
- დრაგომირი — დევენპორტი (5)
- მორესმო (4) — ჩუანგი
- დელაკრუა — ჩერვანოვა
- კარგილი — მედინა გარიგესი
- ფედაკი — პისნიკი (26)
- ბოვინა (21) — კლეინოვა
- პერებინისი — შაული
- ბაშმანი — მოლიკი
- ალ. სერა ძანეტი — ჰანტუხოვა (15)
- პეტროვა (10) — კაპროსი
- სტოსური — ტალაია
- ლეონ გარსია — მანდულა
- რივსი — მალეევა (24)
- ზულუაგა (32) — ასაგოე
- ჟიდკოვა — დიას-ოლივა
- გრანდე — კრეიბასი
- იანკოვიჩი — დემენტიევა (7)
- სუგიამა (8) — პანოვა
- კაზანოვა — ობატა
- ობზილერი — სუხა
- კოსტანიჩი — დეში (29)
- შნიდერი (22) — ვიჯაჯა
- სტივენსონი — ბარტოლი
- ბირნეროვა — ვაკულენკო
- დულკო — სუარესი (12)
- სმაშნოვა-პისტოლეზი (14) — კუკალოვა
- გოლოვინი — მიქაელიანი
- პარა — სტრიჩოვა
- სპრემი — კრასნორუცკაია (23)
- რეიმონდი (25) — სანჩეს ლორენსო
- ბარნა — დრაკე
- დუშევინა — წენი
- ჰარკლროუდი — ვ. უილიამსი (3)
- მისკინა (6) — არვედსონი
- გალიარდი — პრუსოვა
- ფერგიუსონი — ეშლი
- მარტინეს გრანადოსი — შარაპოვა (28)
- სკიავონე (18) — ტორენს ვალერო
- ლიხოვცევა — რანდრიანტეფი
- ჰლატკოვა — ფორეცი
- სვენსონი — რუბინი (9)
- მარტინესი — ბრანდი
- კოენ ალორო — ფრეზერი
- სრებოტნიკი — რუანო პასკუალი
- ნაგიოვა — ფარინა ელია
- კუცერი — შნიდერი
- კურჰაიჩოვა — საფინა
- სეკუერა — კამერინი
- ვეინგარტნერი — კლაისტერსი (2)

## ყველა ჩემპიონი 1960 წლიდან

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1960 | მარგარეტ სმიტი | 1975 | ივონ გულაგონგი | 1989 | შტეფი გრაფი |
| 1961 | მარგარეტ სმიტი | 1976 | ივონ გულაგონგი | 1990 | შტეფი გრაფი |
| 1962 | მარგარეტ სმიტი | 1977(იანვარი) | კერი მელვილ რიდი | 1991 | მონიკა სელეში |
| 1963 | მარგარეტ სმიტი | 1977(დეკემბერი) | ივონ გულაგონგ კაული | 1992 | მონიკა სელეში |
| 1964 | მარგარეტ სმიტი | 1978 | კრის ონილი | 1993 | მონიკა სელეში |
| 1965 | მარგარეტ სმიტი | 1979 | ბარბარა ჯორდანი | 1994 | შტეფი გრაფი |
| 1966 | მარგარეტ სმიტი | 1980 | ჰანა მანდლიკოვა | 1995 | მარი პირსი |
| 1967 | ნენსი რიჩი | 1981 | მარტინა ნავრატილოვა | 1996 | მონიკა სელეში |
| 1968 | ბილი ჯინ კინგი | 1982 | კრის ევერტ ლოიდი | 1997 | მარტინა ჰინგისი |
| 1969 | მარგარეტ სმიტ კორტი | 1983 | მარტინა ნავლატილოვა | 1998 | მარტინა ჰინგისი |
| 1970 | მარგარეტ სმიტ კორტი | 1984 | კრის ევერტ ლოიდი | 1999 | მარტინა ჰინგისი |
| 1971 | მარგარეტ სმიტ კორტი | 1985 | მარტინა ნავრატილოვა | 2000 | ლინდსი დევენპორტი |
| 1972 | ვირჯინია ვეიდი | 1986 | არ ჩატარებულა | 2001 | ჯენიფერ კაპრიატი |
| 1973 | მარგარეტ სმიტი კორტი | 1987 | ჰანა მანდლიკოვა | 2002 | ჯენიფერ კაპრიატი |
| 1974 | ივონ გულაგონგი | 1988 | შტეფი გრაფი | 2003 | სერენა უილიამსი |

# მოიას მოევლო
## ჰიუიტი სხვებზე დაფიქრდა

**HEINEKEN OPEN**
ოკლენდი. ჰარდი
საპრიზო 404 ათასი $

**ფინალი**

**დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) — რაფაელ ნადალი (ესპანეთი) 4:6, 6:2, 7:5**

დომინიკ ჰრბატი ოკლენდს აქამდეც თავის მეორე სახლს უწოდებდა და თუკი ვინმეს მისი ამ სიტყვების სიმართლეში ეჭვი ეპარებოდა, ამ ფინალის შემდეგ საეჭვო მაინცდამაინც აღარაფერია.

ჰრბატის სასარგებლოდ ფაქტები მეტყველებს — ოკლენდში ის წლეულს მეექვსედ გამოდიოდა, იქაური ტიტული უკვე მეორედ მოიხვეჭა და იქ ნათამაშები 22 მატჩიდან მეტოქეთათვის მხოლოდ 4 დაუთმია. ამგვარ ოკლენდურ მონაგარს კი თანამედროვე მეჩოგნეთაგან ვერავინ დაიკვეხს და მთელი ამბავიც სწორედ ეგ არის!

ისე კი, ჰრბატიმ წინა კვირაში ადელაიდის ტურნირზეც იმარჯვა და გარდა იმისა, რომ წლეულს ნული მარცხის წილ უკვე ათი გამარჯვება დაიგროვა, ამჟამად წლის პირველი ორტიტულოსანი კაციცაა.

მეხუთე საკარიერო ტიტულმა 26 წლის ჰრბატის პირადი ბიუჯეტი 55 ათასი დოლარით გაამდიდრა. რაც შეეხება მასზე ცხრა წლით უმცროს ნადალს, მას სანუგეშოდ თავის პირველ საეიტიპიო ფინალში თამაშიც დაურჩება. ეგ მით უფრო, რომ მთელი კვირა მან მართლაც საარაკოდ ჩაითამაშა და მილეთის ჰალალი სიმპათიაც მოიმკა.

„ჩანს, ის მართლაც დიდი მეჩოგნე უნდა გახდეს“ — თქვა ნაფინალევს ჰრბატიმ. და სლოვაკი არ იყო გამონაკლისი — თავდაჯერებული, აგრესიული მალიორკელი ჯადომუჩაჩოს აღზევებას სხვებიც უახლოეს მომავალში მოელიან. მათ შორის, ცხადია, ჩვენც.

**ADIDAS INTERNATIONAL**
სიდნეი. ჰარდი
**კაცები**
საპრიზო 380 ათასი $

**ფინალი**

**ლეიტონ ჰიუიტი (7, ავსტრალია) — კარლოს მოია (3, ესპანეთი) 4:3 მოიამ შეწყვიტა**

ვაგლახ — თვალმახარა ფინალისთვის დადარაჯებულ სიდნეელ ფანობას ბილეთი ნაცარში ჩაუვარდა. მეშვიდე გეიმში, როცა ჰიუიტს მოიას მოწოდებაზე ბრეიკ პოინტი ჰქონდა, ესპანელმა მარჯვენა კოჭი დაიშავა და მომდევნო გეიმში იძულებული გახდა, თამაში შეეწყვიტა.

საბედნიეროდ, ტრავმა არც ისე მძიმე გამოდგა, როგორც თავიდან ეგონათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოია ავსტრალიის ღია პირველობაზე ალბათ მაინც გამოვა.

სხვაფრივ — ნატიფმა ესპანელმა შანსი გაუშვა, თავისი მეთექვსმეტე ტიტული მოეხვეჭა, შარშანდელი მარტის შემდეგ ვერაფრის მომგებმა ჰიუიტმა კი თავისი ტიტულმონაგარი ოცამდე დაამრგვალა. ამას ზედ გამარჯვებულისთვის დათქმული 48 ათასი დოლარიც და დიდებული წინასამელბურნო განწყობაც დაერთო.

შეგახსენებთ, რომ კისკას ოზბიჭს სიდნეიში 2000-2001 წლებშიც უპირველია.

და კიდევ — ეს მისი და მოიას მეცხრე დაპირისპირება იყო და ესპანელი ახლა მხოლოდ 5:4-ლა იგებს.

**ქალები**
საპრიზო 585 ათასი $

**ნახევარფინალი**

**ამელი მორესმო (3, საფრანგეთი) — ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) 6:3, 7:6 (7:2)**

**ფინალი**

**ჟუსტინ ენენ-არდენი (1, ბელგია) — მორესმო 6:4, 6:4**

ამქრის ჭინკა პირველოსანმა ჟუსტინ ენენ-არდენმა თავის ყველა მეტოქეს აჩვენა, რომ წლეულს ის კვლავაც ოფლის ბოლო წვეთამდე საომრადაა მომართული და არაფრის დათმობას არ აპირებს.

ყოველ შემთხვევაში, სიდნეის 2000 წლის ჩემპიონ ამელი მორესმოს მის წინააღმდეგ იმ დღეს ვერავითარი არგუმენტი ვერ აღმოაჩნდა.

ჟუსტინმა თავიდან თუმც კი ოდნავ ინერვიულა, მაგრამ მერე შეხვედრას ლაგამი ამოსდო და პირველი გათამაშებიდან საათისა და 27 წუთის თავზე კარიერის მეთხუთმეტე ტიტულიც მიითვალა.

ეგ შეიძლება იმანაც გაუადვილა, რომ მორესმოს ფინალამდე რამდენიმე საათით ადრე წინა დღიდან გადმოტანილი ნახევარფინალის თამაშიც მოუხდა, მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ აქვს.

მთავარი ისაა, რომ 21 წლის ბელგოგო ავსტრალიის ღია პირველობას იოლი გამარჯვებით გალაღებული და მორიგი 93-ათასდოლარიანი ჩეკით შეგულიანებული ეგებება.

ხოლო სანამ სიდნეის დავმშვიდობებოდეთ, აქვე იქ მომხდარი ერთი გამორჩეული ამბისაც უნდა გითხრათ. საქმე ის არის, რომ კაცთა საწყვილო შეჯიბრში ლეგენდარულმა ავსტრალიელმა ტოდ ვუდბრიჯმა და მისმა მეჯუფთე იონას ბიორკმანმა ამერიკელ ძმებს, ბობ და მაიკ ბრაიანს 7:6 (7:3), 7:5 აჯობეს და ვუდბრიჯი ყველა დროის ყველაზე მეტი, 79 საწყვილო ტიტულის მომგები კაცი გახდა.

აქამდე ის პირველობას ასევე ლეგენდარულ ტომ ოკერთან იყოფდა.

**ლევან ძელაურაძე**



## რეგულარული ჩემპიონატი

16 იანვარი

**ფილადელფია 4:1 ტორონტო**
**კოლუმბუსი 3:2 ლოს ანჯელესი**
**დეტროიტი 3:3 ფინიქსი**
**ატლანტა 3:4 კაროლინა**
**მინესოტა 4:2 პიტსბურგი**

17 იანვარი

**ნიუჯერსი 2:1 ვაშინგტონი**
**მონრეალი 2:2 რეინჯერსი**
**აილენდერსი 4:2 ბუფალო**
**ოტავა 4:0 ბოსტონი**
**ტორონტო 0:4 ფილადელფია**
**ფლორიდა 2:1 ტამპა**
**ნეშვილი 2:1 ედმონტონი**
**სენტ ლუისი 2:2 მინესოტა**
**კოლორადო 1:2 სან ხოსე**
**კალგარი 2:3 დალასი**
**ვანკუვერი 1:2 ანაჰაიმი**



*„არცთუ დიდი ხნის წინ ამერიკაში „ჯორჯიელი“ „კობრა“ ჩამოვიდა, პროფესიულ კრივს ალღო მშვენივრად აუღო და ახლახან მას ქართული ფურცელიც შემატა“ — წერდა ერთ-ერთი ოკეანგაღმელი მიმომხილველი, როცა კობა გოგოლაძემ შარშან, შემოდგომაზე, WBO-ის ვერსიით ჩრდილო ამერიკის ორგანიზაციის ქამარი მოირგო. თერთმეტიდან თერთმეტი ბრძოლის მომგები ქართველის პოპულარობა მას შემდეგ დღითი დღე იზრდება. ამ შაბათს კი კობამ მეორე, გაცილებით ძნელადმოსაგები IBA-ს (ინტერკონტინენტალ ბოქსინგ ესოუშიეიშენ) ქამარი შემოირტყა. ეს შეხვედრა ცნობილმა სპორტულმა ტელეარხმა „იესპიენმა“ — პირდაპირი ეთერით გადასცა და გვარიანად გარეკლამებული მექსიკელი მოკრივის მეორე რაუნდშივე ნოკაუტით მარცხის ხილვაც მთელ მსოფლიოს შეეძლო.*

*კობა გოგოლაძეს ნუხელ ნიუ ჯერსის შტატის ქალაქ ვაილანდში დავუკავშირდით:*

# ქართული შარი შუგარ რეი ლეონარდს
## კობა გოგოლაძე ამერიკულ ქამრებს აგროვებს



კობა გოგოლაძემ (მარჯვნივ) თავისი მეორე ამერიკული ქამარი მექსიკელ ხუან გარსიას აართვა

— ამ ბრძოლის წინასწარ გახმაურებისაგან თავი შეგნებულად შევიკავე. ჩემს თბილისელ მეგობრებსაც კი მხოლოდ მას შემდეგ შევეხმიანე, რაც ქამარი დავიგულე. ისე სერიოზულად ვემზადებოდი და იმდენად დაძაბულ ბრძოლას ველოდი, რომ თავიდანვე გადავწყვიტე, ანონსი არ გამეკეთებინა.

— არადა, ხალხს რომ სცოდნოდა, „იესპიენით“ შენი ქომაგობა აქედანაც შეიძლებოდა...

— ამერიკაში ამ ბრძოლას ისეთი რეკლამა ჰქონდა, რომ მგონი, ყველა აქ მყოფმა ქართველმა იცოდა. სამწუხაროა, რომ მანდ ვერ უცქირეთ, თუმც მალე ალბათ განმეორებითაც აჩვენებენ.

— მოდი, მანამდე თავად აღწერე შეხვედრის მიმდინარეობა და ცოტა რამ მეტოქეზეც გვითხარი.

— მოწინააღმდეგედ მექსიკელი ხუან გარსია მყავდა და ბრძოლამდე საკმაოდ ხმამაღალ რეკლამასაც უკეთებდნენ. აქამდე ჩატარებული 20 შეხვედრიდან 17 ნოკაუტით მოეგო და მხოლოდ ერთხელ დამარცხებულიყო. მგონი, ეს მონაცემები მასზე გარკვეულ წარმოდგენას შეგიქმნით.

— მისი ბრძოლები ნანახი თუ გქონდათ?

— ორი შეხვედრის ვიდეოფირი მოვიპოვეთ და ორივეში ისე ლამაზად გაიმარჯვა, საჩემპიონო შემართება გამიათმაგდა. მართლა სერიოზულად მოვემზადე და საკმაოდ იოლ გამარჯვებასაც მივაღწიე. თორმეტრაუნდიანი ბრძოლის მეორე რაუნდში უკვე ნოკაუტით მოვიგე. რეიტინგიც საგრძნობლად ავიმაღლე. შარშანდელი ქამრის შემდეგ მსოფლიოს რეიტინგში მე-14 ადგილზე ვიყავი. ახლა კი ალბათ ათეულშიც შევალ.

— მსოფლიოს რომელიმე ქამრამდე ჯერ კიდევ შორია?

— ალბათ 2-3 გამარჯვებაც და მაგის დროც მოვა. საერთოდ კრივში შეხვედრებს შორის დასასვენებლად 3-4 თვეა მიღებული, თუმც ამ იოლი გამარჯვებით მომავალი ბრძოლა დავაჩქარე. სავარაუდოდ თებერვალ-მარტში ათრაუნდიან სარეიტინგო შეხვედრას ჩავატარებ. შემდეგ ერთი-ორჯერ ამ ქამრების დაცვაც მომიწევს და თუ ყველაფერი სასურველი სცენარით წავიდა, მგონი, საშემოდგომოდ მსოფლიოს რომელიმე ქამარისთვის ვიჩხუბებ.

— ისევ ბოლო გამარჯვებას დავუბრუნდეთ. დარბაზში ქართველი გულშემატკივრები თუ გყავდა?

— მინეაპოლისამდე, სადაც ბრძოლა ჩატარდა, ჩვენი შტატიდან ძალიან შორია და საგულშემატკივროდ ვერავინ გამყვა. ახლობელმეგობრებმა ტელევიზორით მიქომაგეს. სამწუხაროდ, ათიათასიან დარბაზშიც არავინ შემინიშნავს ქართველი.

— აქამდე რინგზე ქართულ დროშაში გახვეული ადიოდი. ახალი ხუთჯვრიანი დროშის შოვნა თუ მოასწარი?

— ახალი დროშა ძალიან მომწონს, თუმც ჯერ არ მაქვს. ისევ ძველით გასვლისგან კი თავი შევიკავე. ერთადერთი ეროვნული, რაც ჩემს გამოცხადებას და რინგზე ასვლას ახლდა, სიმღერა „შატილის ასული“ იყო.

— პროფესიული კრივი საკმაოდ სარფიანი საქმეა და ბევრი პრომოუთერიც ცდილობს ძლიერი მოკრივის დახმარებით მოგების ნახვას. ჩემპიონობის შემდეგ ხომ არავინ შეგხმიანებია?

— მინეაპოლისურ შეხვედრას თვით რეი შუგარ ლეონარდი დაესწრო და მისმა პრომოუთერმა უკვე შედგენილი კონტრაქტიც კი შემომთავაზა, მაგრამ პირობების გაცნობის შემდეგ უარი განვუცხადე, რითაც ცოტა არ იყოს, გავანაწყენე. მაქვს უკეთესი შემოთავაზებებიც, რომელთა რიცხვი კიდევ გაიზრდება და ალბათ მალე ერთ-ერთს ავირჩევ.

— ესე იგი შენი პოპულარობა დღითიდღე იზრდება?

— ადგილობრივ თუ საერთაშორისო ტელეარხებზე ჩემი ბრძოლა უკვე ოთხჯერ გადაიცა და პოპულარობაც ამან მომიტანა. ყველა „კობრათი“ მიცნობს და ავტოგრაფებსაც მთხოვენ. მექსიკელთან მოგების მერე კი მაისურებზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, ფეხსაცმელებზეც კი მომაწერინეს ხელი. მხოლოდ ერთი რამეა გულდასაწყვეტი, ამერიკაში უფრო მიცნობენ და მაფასებენ, ვიდრე ჩემს სამშობლოში.

— შენთან ერთად მოვარჯიშე ძმებ ფალიანებზეც გკითხავ. მათაც ხომ არ უწევთ ახლო მომავალში სერიოზული ბრძოლები?

— 30 იანვარს რამაზი იმავე ქამრისთვის იჩხუბებს, შარშან მე რომ მოვიგე, თუმც სხვა წონაში. მისი მეტოქე ჯერ საბოლოოდ არ გარკვეულა. ორ სავარაუდო კანდიდატში ერთი ამერიკელია, მეორე კი მექსიკელი. დარწმუნებული ვარ, 30-იც ჩვენ გამარჯვების დღე იქნება. რამაზი მთელი სულითა და გულით ემზადება და დამატებით სტიმულს ჩემი მოგებაც აძლევს. რაც შეეხება შალვას, მას საჩემპიონო შეხვედრებამდე ჯერ კიდევ დარჩა სარეიტინგო ბრძოლები. ახლახან შემოგვიერთდა კიდევ ერთი ქართველი, 21 წლის ავთო ხურციძე, რომელსაც ყველა ზედმეტსახელ „ჩაქუჩათი“ იცნობს. ძალიან პერსპექტიული მოკრივეა და ამას მალე თავადვე დაამტკიცებს. ამჟამად ოთხივე ერთად ვცხოვრობთ ჩვენი ბერძენი მენეჯერის სახლში და მისივე მანქანით ყოველდღე ფილადელფიაში დავდივართ სავარჯიშოდ.

— გასაგებია, წინ დიდი გეგმები გაქვს, მაგრამ ახლო მომავალში თუნდაც ცოტა ხნით თბილისში ჩამოსვლას ხომ არ აპირებ?

— სამშობლო ძალიან მოგვენატრა, თუმც ალბათ აგვისტომდე ვერაფრით ვერ დავბრუნდებით. მერე კი თბილისშიც ჩამოვალთ და ჩვენს ნაკრებს საქომაგოდ ათენის ოლიმპიადაზეც გავყვებით. დაბოლოს, ამ ორ ქამარს, რომელიც ამ წუთში წინ მიდევს, მთელ ქართველ ხალხს და ახალ საქართველოს ვუძღვნი.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## საქართველოს თასი. პირველი ეტაპი. რუსთავი 16-21 იანვარი

# პირველი ორიანი რუსთავში ზამთარშიც ცხელა

**ირაკლი პერტაია** *რუსთავიდან*

საქართველოს თასს ხუმრობით ·ვნებების თასი რომ ვუწოდოთ, ვერც ვერავინ შეგვედავება. თასის მეორე გათამაშებას პირველივე მატჩში რომ დაებედა ჩხუბი და აყალმაყალი, მას მერე თამაში არ ჩაივლის, რამე ინციდენტი არ მოხდეს. ამ უქმეებზე რუსთავქალაქმა პირველი ეტაპის კიდევ ორი ტურიც მოილია, თუმც „ქიმიკოსთა" დარბაზში მისულმა ქომაგმა ხარისხიან კალათბურთზე მეტი გაწევ-გამოწევა და მიდი-მოადე ნახა.

ჩხუბი იქით იყოს და გუშინ ლამის გაირკვა ბათუმში წამსვლელი ოთხეული. კვირადღის ბოლო მატჩში „ბასკოს" „დინამოსთვის" რომ ეჯობნა, თბილისისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდები ორი ტურით ადრე განზე რჩებოდნენ, მაგრამ დრაჟენ ბრაიკოვიჩის სამწყსომ ზღვისპირელებს შანსი არ დაუტოვა და ტურნირს ირტრიგა შეუნარჩუნდა.

როგორც ვთქვით, ეს იყო გუშინდელი დღის ბოლო მატჩი, ახლა კი თავიდან მივყვეთ. შაბათს ერთობ საინტერსო მატჩები გაიმართა. სამივე შეხვედრა დაძაბული გამოდგა, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ არც საკრივო სცენები აკლდა. შედარებით მშვიდ ატმოსფეროში ჩაიარა, „დინამო" — თსუ-ს მატჩმა.

„დინამომ" მეტად დაძაბულ ბრძოლაში, უკანასკნელ წამზე ჩაგდებული ბურთის წყალობით მოუგო თსუ-ს. არადა, მანამდე თითქმის მთელი თამაში აგებდა. ბოლო მეოთხედამდე ბრაიკოვიჩის გუნდი 11 ქულით ჩამორჩებოდა, თუმც არჩილ ჟღენტის შეუპოვრობითა და კოტე ტულუშის სირენის თანხლებით ჩაგდებული ორქულიანის წყალობით მიჯრით მეორე გამარჯვება იზეიმა.

„სტუ-ჯეოსელისა" და სსუ-ს დაპირისპირებაში კი ბრძოლას არავინ ელოდა, ყველას ეგონა, რომ ტექნიკოსები იოლად აჯობებდნენ სოხუმელებს, მაგრამ მოულოდნელად ხელი გამოიღო ლევან ლუკავამ, რომლის ქებული თამაშის წყალობით სტუ-ს ძვირად დაუჯდა გამარჯვება.

ისე კი, სოხუმელებს ერთგვარად ხელი „წაადვეला" მსაჯმა ზაზა მაჩალაძემ, რომელმაც სრულიად სამართლიანად გააძევა მოედნიდან ტექნიკოსთა ერთ-ერთი ლიდერი ზვიად ბაბიაშვილი. მესამე მეოთხედში მაჩალაძემ ბაბიაშვილს „უწყინარი" პერსონალური ჯარიმა მისცა, მაგრამ როცა იგი შეეკამათა, მსაჯმა ტექნიკურად აქცია, ბილწსიტყვაობის შემდეგ კი — დისკვალიფიკაციად. ბაბიაშვილს ერთი თამაშის გამოტოვება აკმარეს და ის გუშინ ვერ დაეხმარა თავის გუნდს თსუ-სთან „სტუდენტურ დერბიში", თუმც...

სანამ „სტუდენტურ დერბიზე" მოგითხრობდეთ, „ბასკო" — „რუსთავის" მატჩში მომხდარ აყალმაყალზეც გეტყვით ორიოდ სიტყვას, თანაც ამ შეხვედრაში ქართულ კალათბურთში ჯერ არნახული რამ მოხდა.

ბათუმელებმა ეს დაძაბული მატჩი საბოლოოდ კი მოიგეს, მაგრამ რაც მათ მესამე მეოთხედში შეემთხვათ, ყოველთვის ავადმოსაგონარად ექნებათ. გუნდმა ერთ ათწუთეულში 10 ქულა რომ ვერ მოაგროვოს, არავის გაუკვირდება, ხშირად გვინახავს, მაგრამ 2 ქულაზე მეტი ვერ გამოეჩორკნოს, ქართულ კალათბურთში არასდროს მომხდარა და ალბათ მსოფლიოს არც სხვა ჩვენნაირ ან ჩვენზე უკეთეს ლიგებში ხდება ყოველდღე. სწორედ ამდენი, ანუ ერთი ბურთი ჩაუგდო „ბასკომ" დაცვაში გამაგრებულ „რუსთავს" მესამე მეოთხედში. ბედის ირონია ისაა, რომ „ბასკომ" საბოლოოდ მაინც იხეირა — ბათუმელებს მანამდე იმდენი მოეგროვებინათ, რომ ბოლოს ისევ მათ გაიცინეს.

თუმც მხოლოდ ეს არ იყო ამ მატჩის გამორჩეული ამბავი. მესამე მეოთხედში მოედანზე დაკა-დაკა ატყდა — ბათუმელთა მეფარე დავით იმნაძემ ირაკლი ჯაფარიძის უხეშობა ვერ აიტანა და ერთი-ორი მუშტიც გაიცვალა. მერე სხვა მოთამაშეებმაც გამოიღეს ხელი და ორი კაცის საქმის გარჩევა მასობრივ ჩხუბში რომ არ გადაიზარდა, ქართული, უფრო კი რუსთავული კალათბურთისთვის უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია.

კვირის მატჩებშიც იყო მცირე შეხლა-შემოხლა, მაგრამ ჯობს ამ შეხვედრებს უფრო სპორტულ ჭრილში შევხედოთ, თორემ ცოტა არასაკალათბურთო მიმოხილვა გამოგვივიდა.



რუსთავულ „გაფიცხებულ" ატმოსფეროში ჩვეულებრივ მშვიდი ზვიად ბაბიაშვილიც გახელდა

მაშ ასე, „სტუდენტურ დერბიზე" ბევრი რამ იყო დამოკიდებული — ამ მატჩში დამარცხებული ცალი ფეხით იმ ჯგუფში ჩარჩებ)ოდა, საიდანაც 4 საუკეთესო 26 იანვარს ბათუმში განაახლებს თასისთვის ბრძოლას.

დისკვალიფიცირებული ბაბიაშვილის მაგივრობა შედარებით ტანხმელმა ლუკა შანიძემ გასწია და შესანიშნავადაც. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სტუ-ს შანიძემ მოაგებინა, რომელმაც უკანასკნელი მეოთხედის წინ 4 ქულით მოლიდერე თსუ-ს სამწუთნახევარში 13 (!) ქულა ჩაუგდო და თავისიანებს ჯგუფიდან გასვლა გაუნაღდა.

ტექნიკოსთა გამარჯვებაში მოზრდილი წილი უდევს მათ ფეხმარდ გამთამაშებელ გიორგი ნიკოლაძესაც, რომელმაც ბოლო მეოთხედში მოხდენილად აუწყო ფეხი შანიძეს და არაერთ ზუსტ გარღვევასთან ერთად მეტად საჭირო ჩაჭრაც გაახერხა მატჩის უკანასკნელ წუთზე. სამი ქულით ჩამორჩენილი თსუ ტექნიკოსებს თამაშის გადასარჩენად რომ უტევდა, ნიკოლაძემ ბურთი ცნობილ დრიბლიორ დავით თორთლაძეს მოპარა, ორ ქულად აქცია და ჯეოსელელებს გამარჯვება დაუბევა. წაგებული თსუ-სთვის კი ბათუმის გზა იმ შემთხვევაში გამოჩნდება, თუ გუშინ „დინამოსთან" დამარცხებულ „ბასკოს" ხვალ სტუ-ც მოერევა. მაშინ ოთხშაბათს მეორე ეტაპზე გასასვლელი მეოთხე საგზური გათამაშდება თსუ-სა და „ბასკოს" შეხვედრაში.

რაც შეეხება საკუთრივ „დინამო" — „ბასკოს" გუშინდელ მატჩს, „ქიმიკოსთა" სავსე დარბაზის მოლოდინი არ გამართლდა, თანაბარი ბრძოლა მხოლოდ პირველ ტაიმში იყო, მეორეში კი ჩვეულად ძლევრად ათამაშდა „დინამო" და პრინციპულ მეტოქეს მწარე მარცხი აგემა.

პირველი ტაიმი ერთობ მწირქულიანი გამოდგა, რაკი ორივე გუნდი დაცვაში ჩამდგარიყო და უფრო მეტოქის შეტევების ჩაშლაზე ფიქრობდა. დიდი შესვენების შემდეგ კი დრაჟენ ბრაიკოვიჩმა ტაქტიკა შეცვალა, არჩილ ჟღენტს სრული თავისუფლება უბოძა, ამასაც მეტი რა უნდოდა, „ბასკოს" ნახევარზე გადაიტანდა თუ არა ბურთს, მეტოქის დაცვაში ხვრელს ეძებდა და პოულობდა კიდეც. ყველა ბასკოელმა იცოდა, რომ ჟღენტი ფარქვეშ უნდა შეჭრილიყო, მაგრამ ხელს ვერაფრით უშლიდნენ და სხვაობაც განუხრელად „დინამოს" სასარგებლოდ იზრდებოდა.

ბოლო მეოთხედი „დინამოს" ათქულიანი უპირატესობით დაიწყო. ჟღენტმა მეტოქის ფარის გასაღები კოტე ტულუშსა და ვახტანგ მინაშვილს გადაულოცა, რომლებმაც „ბასკოს" კალათს არც შორიდან დააკლეს ხელი და არც ახლოდან. „ბასკო" ცდილობდა, საქმე სამქულიანებით გამოესწორებინა, მაგრამ ტყუპ ბერიშვილებს გუშინ მიზანი ღალატობდათ და ბათუმლების საქმეც სირენამდე სამიოდ წუთით ადრე მოთავდა.

### 17 იანვარი. რუსთავი

**დინამო 79:77 თსუ**

16:18 19:21 14:19 30:19

დინამო: გამყრელიძე (5), ტულუში (13), ბეჟანიშვილი (11), კეიდია (11), მუშკუდიანი (3); ჟღენტი (15), ლოსაბერიძე (8), მინაშვილი (6), აბულაძე (4), ჩუბინიძე (3)

თსუ: თორთლაძე (9), მაისურაძე (12), ნაცვლიშვილი (17), ორმოცაძე (2), შენგელია (8); კილაძე (16), მარხვაშვილი (6), კოკოლიშვილი (4), ვეფხვაძე (3), საყვარელიძე

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**სტუ 97:87 სსუ**

25:18 25:24 22:24 25:21

სტუ-ჯეოსელი: ნიკოლაძე (13), ხეცურიანი (22), მარკოიშვილი (11), ბაბიაშვილი (12), ოგანესიანი (10); შანიძე (18), მიქაძე (6), გაგნიძე (5)

სსუ: ფარლალავა (2), პატარაია (8), კანკია (5), ლუკავა (23), ქვილითაია (14); სორდია (23), ურიდია (7), ფაცაცია (4), ბალათურია (1), ზანგურაშვილი

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: როლანდ გელოვანი

**ბასკო 76:72 რუსთავი**

20:15 32:20 2:15 22:22

ბასკო: ი. ბერიშვილი (21), ბ. ბერიშვილი (7), კეშელავა (17), ტუჯანი (9), ბერძენიშვილი (12); როდუმტა (4), კვიმსაძე (4), ჩხატარაშვილი, იმნაძე

რუსთავი: არწივიძე (11), გოგობერიშვილი (10), ბოისა (9), ტყეშელაშვილი, ჯაფარიძე (16); აბრამიძე (16), ბერუაშვილი (7), ჯიმშელეიშვილი (3), დანელიანი, ჩაჩუა, გაბისონია

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: მურმან ქურიძე

### 18 იანვარი. რუსთავი

**რუსთავი 92:66 სსუ**

21:6 27:24 26:9 18:27

რუსთავი: არწივიძე (13), გაბისონია, ჩაჩუა (18), ბოისა (6), ტყეშელაშვილი (16); ჯიმშელეიშვილი (17), ლიპარტელიანი (10), აბრამიძე (6), დანელიანი (6)

სსუ: ფარლალავა (4), სორდია (22), კანკია (9), ლუკავა (19), ბარბაქაძე (6); პატარაია (6), ურიდია, ბალათურია

მსაჯები: ხათუნა გაბედავა, ლიკა ქაჯაია

კომისარი: როლანდ ხომერიკი

**დინამო 80:61 ბასკო**

16:14 15:19 23:11 26:17

დინამო: ჟღენტი (18), ტულუში (15), ბეჟანიშვილი (10), კეიდია, აბულაძე (10); ლოსაბერიძე (10), მინაშვილი (9), მუშკუდიანი (8), გამყრელიძე

ბასკო: კეშელავა (7), ჩხატარაშვილი (4), ტუჯანი (7), იმნაძე (15), როდუმტა (12); ბ. ბერიშვილი (5), ბერძენიშვილი (5), ი. ბერიშვილი (4), დ. ბერიშვილი (2), კვიმსაძე

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

**სტუ 97:91 თსუ**

22:26 23:20 24:27 28:18

სტუ: ნიკოლაძე (15), ხეცურიანი (18), მარკოიშვილი (15), შანიძე (30), ოგანესიანი (13); მიქაძე (3), გაგნიძე (3)

თსუ: თორთლაძე (23), მაისურაძე (12), ნაცვლიშვილი (19), ორმოცაძე (6), შენგელია (18); კოკოლიშვილი (7), მარხვაშვილი (2), ვეფხვაძე (2), კილაძე (2)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ლიკა ქაჯაია

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 3 | 3 | 0 | 252:220 | 6 |
| ბასკო | 3 | 2 | 1 | 240:216 | 5 |
| სტუ | 3 | 2 | 1 | 276:271 | 5 |
| რუსთავი | 3 | 2 | 1 | 250:218 | 5 |
| თსუ | 3 | 0 | 3 | 244:262 | 3 |
| სსუ | 3 | 0 | 3 | 217:292 | 3 |

## რეგულარული ჩემპიონატი

16 იანვარი

**ორლანდო 124:119 ბოსტონი**

ძირითადი დრო 115:115

ორლანდო: ლუ (2 ქულა, 11 პასი), ბოგანსი (10), მაკგრეიდი (42), ჰოვარდი (11), დეკლერსი (2); გუდენი (32), ფაჩულია (19 წუთი, 9 ქულა, 6 მოხსნა), გირიჩეკი (9), სტრიკლენდი (7), ნეილონი, უილიამსი

ბოსტონი: ჯეიმსი (12), ველში (10), პირსი (20), მიმი (12), ბლუნტი (15); მაკკარტი (14), ბანქსი (14), ბეიკერი (12), დევისი (9)

**დენვერი 88:91 დალასი**

დენვერი: მილერი (28 ქულა, 10 პასი), ლენარდი (10), ენტონი (11 ქულა, 12 მოხსნა), ნენე (12), კემბი (8 ქულა, 19 მოხსნა); ვაიტი (14), ბოიკინსი (3), ანდერსენი (2), ელსონი, ბოუენი

*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

დალასი: ნეში (6), ფინლი (16), ჰოვარდი (2), უოლკერი (13 ქულა, 10 მოხსნა), ნოვიცკი (22); ჯემისონი (16), ფორტსონი (10), ბესტი (2), ბრედლი (2), დანიელსი (2)

**ნიუ იორკი 108:88 სიეტლი**

ნიუ იორკი: ვან ჰორნი (30)

სიეტლი: ალენი (23)

**კლიპერსი 85:87 მაიამი**

კლიპერსი: ბრენდი (22)

მაიამი: ჯონსი (21)

**ინდიანა 89:79 სან ანტონიო**

ინდიანა: მილერი (28)

სან ანტონიო: დანკანი (16)

**დეტროიტი 98:77 ვაშინგტონი**

დეტროიტი: პრინსი (16)

ვაშინგტონი: დიქსონი (14)

**ფინიქსი 104:93 გოლდენ სტეიტი**

ფინიქსი: ჯონსონი (26)

გოლდენ სტეიტი: დაჩპიე (19)

**საკრამენტო 103:83 ლეიკერსი**

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (23)

ლეიკერსი: რაში (30)

17 იანვარი

**პორტლენდი 104:108 დალასი**

პორტლენდი: სტუდემაიერი (11), ანდერსონი (2), ვოლესი (24), რენდოლფი (18 ქულა, 10 მოხსნა), სტეფანია (10 წუთი, 0 ქულა, 2 მოხსნა); პატერსონი (24 ქულა, 10 მოხსნა), პერსონი (12), ვუდსი (5), დევისი (4), მაკინისი (4)

დალასი: ბესტი, ფინლი (33), უოლკერი (10 ქულა, 11 მოხსნა), ნოვიცკი (32), ბრედლი (2); ჯემისონი (16), ფორტსონი (10), ჰოვარდი (5)

**ნიუ ორლეანი 91:90 ორლანდო**

ნიუ ორლეანი: არმსტრონგი (9), დევისი (16), ლინჩი (2), ბრაუნი (8), მაღუა (11 ქულა, 10 მოხსნა), სმიტი (17), ტრეილორი (14), ოგმონი (12), რუქსი (2)

ორლანდო: ლუ (10), ბოგანსი (7), მაკგრეიდი (33), ჰოვარდი (16), დეკლერკი (4); სტრიკლენდი (9), გუდენი (7), ფაჩულია (13 წუთი, 2 ქულა, 2 მოხსნა), გირიჩეკი (2), ნეილონი

**ფილადელფია 87:91 მემფისი**

ფილადელფია: აივერსონი (34)

მემფისი: რაიტი (14)

**ვაშინგტონი 98:94 სიეტლი**

ვაშინგტონი: ჰიუზი (27)

სიეტლი: ლუისი (13)

**ნიუ ჯერსი 84:90 ინდიანა**

ნიუ ჯერსი: კიდი (21 ქულა, 13 პასი, 8 მოხსნა)

ინდიანა: ონილი (20)

**ჩიკაგო 96:101 ნიუ იორკი**

ჩიკაგო: კარი (20)

ნიუ იორკი: ვან ჰორნი (24)

**ჰიუსტონი 95:76 მინესოტა**

ჰიუსტონი: მინგი (22 ქულა, 15 მოხსნა)

მინესოტა: კასელი (25)

**ატლანტა 75:70 ტორონტო**

ატლანტა: აბდურ-რაჰიმი (20)

ტორონტო: მარშალი (16)

**იუტა 96:102 კლივლენდი**

იუტა: კირილენკო (27)

კლივლენდი: ბუზერი (32 ქულა, 18 მოხსნა)

**ლეიკერსი 91:89 კლიპერსი**

ლეიკერსი: პეიტონი (15 ქულა, 15 პასი)

კლიპერსი: ბრენდი (35 ქულა, 20 მოხსნა)

ეროვნული ბიბლიოთეკა




REUTERS ლონდონიდან



REUTERS ჰავანიდან

# მასპინძლობისთვის

ჯერ სად არის, მაგრამ სამმა დიადმა ევროპულმა დედაქალაქმა და ერთმა კიდევ ჯადოსნურმა ქალაქმა უკვე დაიწყეს ბრძოლა 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის. მადრიდი, ლონდონი, პარიზი, ჰავანა და დაუმატეთ ნიუ იორკიც — მასპინძელი ამათში უნდა ვეძებოთ. რევოლუციის მოედანზე ხოსე მარტის ძეგლთან ამაყად ფრიალებს კომუნისტური კუბის დროშა, 1959 წლიდან მოკიდებული კუბას მეტი ოლიმპიური ოქრო მოუგია ვიდრე ფრანგებს, ესპანელებს და ინგლისელებს. ეს სათვალავშია ჩასაგდები, მაგრამ პარიზი მაინც პარიზია და იქაური მერი ბერნარ დელანო (მარცხნივ) და ოლიმპიური თავკაცი — ანრი სერანდურასი თავიანთი შანსისთვის იბრძოლებენ. ბრიტთა პრემიერმინისტრი ტონი ბლერი კი ამბობს, რომ ლონდონის ისტ ენდში 17 ოლიმპიური დარბაზს ააგებენ და თამაშები არა გარეუბნებში, არამედ ქალაქის გულში შედგება. ესპანელთა პრემიერი ხოსე მარია ასნარი, მადრიდის მერი ალბერტო რუის გალარდონი და სპორტის მინისტრი პილარ დე კასტილიო კი ოლიმპიური განაშენების გეგმას დასცქერიან.




REUTERS პარიზიდან



REUTERS მადრიდიდან



REUTERS პალავან სიტიდან

# ისევ პალავანიდან

ფილიპინების ქალაქ პალავანში ათენის ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირი გრძელდება აზიელ მოკრივეთა შორის. გოლიათები აქ იშვიათია, ბრძოლები კი ფიცხელი, აი, ჩინელი ქვემსუბუქი ჟუ შიმინგი ყბაში სდებს ჩრდილოკორეელ პიოკ ჯუკვაკს და ამარცხებს კიდეც ნახევარფინალურ ბრძოლაში.

# შედგა, რაღა

ავსტრალიელი გრანტ შუბერტი ზედ შესდგომია გერმანელთა მეკარე არნოლდ კლემენსს. ავსტრალიელმა მინდვრის ჰოკეისტებმა კი 4:2 მოიგეს და სულთან ასლან შაჰის თასის მეცამეტე გათამაშების ფინალში გავიდნენ, სადაც პაკისტანელებს შეხვდებიან. ღონისძიება კუალა-ლუმპურში მიმდინარეობს.



REUTERS კუალა ლუმპურიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხოჯერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge